ზრდილობის ანბანი

უმანწვილ ქალთა და ვაჟთათვის

შედგენილი

ფ. გაჭრაძისაგან.

ფასი ოქრი აბაზი.

ძუთაისი
სტამბა ფერაძისა და კარნაუხოვის
1914

1146.
ფ. ივანოვი.

ზრდილობის ანბანი

უმანწვილ ქალთა და ვაჟთათვის

შემდგენილი
ფ. ბაქრაძისაგან.

2/266

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
ბიბლიოთეკა
Библиотека
имени
акад. И. Гришашвили
Академия наук

ქუთაისი
სტამბა ფერაძისა და კარნაუხოვის
1914

წინასიტყვაობა.

ახლანდელ დროში ხშირად შეხვდებით ხოლმე ახალ მოზარდებში ეგრეთ პირებს, რომლების საქციელი იქამდის უზრდელია, სხეულის (ნამეტურ ხელის) მოძრაობა ლაპარაკის დროს ეგოდენად უშვერი და თვითონ ლაპარაკიც ეგოდენად ურცხვი და შეუპოვარი, რომ არამც თუ რომელიმე კეთილად დაწყობილი საზოგადოება, არამედ მდაბიერიც კი ზიზღით შეჰყურებს მათ. როდესაც ეგრეთი პირები მოხვდებიან რომელიმე საზოგადოებაში, ან წვეულებაში, ისინი იჩენენ თავის თავს ძალიან დიდად და სხვები კი ფეხებზე ჰკიდიათ: დიდგულობა და თაკილობა, დაცინვა და სხვისი შეურაცყოფა, თავხედობა და ურცხობა, სხვისი ნივთის მითვისება და მოტყუება შეადგენენ მათ საკუთრებას. ეგრეთი პირები თავის უსაქციელობით ხშირათ გამოიწვევენ ჩხუბს, ცემა-ტყეპას, ხანჯლების და რევოლვერების ტრიალს, კაცის კვლას და სხ.; მაშინ, როდესაც რომ ზრდილობა მოითხოვს, რომ თვითეულმა ჩვენგანმა სხვისი პატივის ცემისათვის თავის თავი დაივიწყოს, ამხანაგის სისუსტე ანუ ნაკლულევანება თავისი მოხერხებული მოქმედებით დაჰფაროს და როცა თვითონ მხიარულობს, ეცადოს, რომ სხვებიც გამხიარულობდენ. ხანდისხან ეგრეთ უსაქციელო მოქმედებას ჩვენ შევხვდებით იმისთანა პირებში, რომლებსაც სწავლა-განათლება მიუღიათ. ეს ხდება მიტომ, რომ სასწავლებლებში იგინი აქცევდენ ყურადღებას მხოლოდ გონებით განათლებას, რომ კლასის საგნები შეისწავლონ, და არა ზნეობით განათლებას, რომ გამოვიდენ კეთილნი, პატიოსნები და საყვარელნი საზოგადოებისა, ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ ზნეობითი განათლება თავისი ღირსებით უფრო მაღლა დგას, ვიდრე გონებითი განათლება; ნათქვამია: „წესიერი მოქმედება სჯობს წესიერ ცოდნასა“.

რადგანაც ქართულ ენაში მე არ მეგულებოდა იმისთანა წიგნი, რომელიც ყოფილიყო შედგენილი ახალგაზდა ყმაწვილთათვის როგორც სახელმძღვანელო, საკუთრად ზრდილობის შესასწავლებლად, ამიტომაც შევადგინეთ ეგრეთი წიგნი; მას ეწოდება: „ზრდილობის ანბანი“ (ანუ შფოთის თავიდგან აშორება) და იპყრობს სხვა და სხვა დარიგებებს შესახებ მისა, თუ როგორ უნდა მოიქცეს ყმაწვილი კაცი, რომ მან დაიმსახუროს საზოგადოებისგან მოწონება, სიყვარული და პატივისცემა.

ამ შრომას ჩვენ ვსწირავთ საზოგადოდ ორივე სქესის იმ ახალგაზრდა ხალხს, რომლებსაც ბავშობიდგან არა ჰყოლიათ გამოცდილი აღმზრდელი, მაგრამ განსაკუთრებით კი ქალებს. ჩვენი მზრუნველობის საგნად ქალი უფრო უნდა იყოს, ვიდრე ვაჟი ორის მიზეზით: 1. მიტომ, რომ ქალს თვითონ ღვთის განგებულებამ დაუნიშნა აღზრდა შვილისა, რომელიც მომავალში უნდა იქმნეს მოქალაქე და საზოგადო მოქმედი: მაგ. დედა სთესავს მარცვალს რბილ ნიადაგზე, გამდლები მისის თვალის მიდევნებით ზრდიან ძვირფასს ნაყოფს, მასწავლებლები აძლევენ მას ღონეს, სიმაგრეს და შეგნებას, საზოგადოება აცლის მას ხორკლებს და აელვარებს და ძვირფასი ყვავილი, დედის ხელით დანერგული, დიდ-შვენიერად იშლება მოყვსის სასიხარულოდ და საბედნიეროდ. 2, მიტომ, რომ ქალი, როგორც ნაზი და შემწყნარებელი არსება, უფრო ადვილათ ითვისებს ზნეობით ხელ-მეორედ განათლებას. აი, ამ ორის მიზეზით ქალი უნდა იყოს ჩვენი მზრუნველობის უმთავრეს საგნად, თუმცა კი ეს წიგნი, როგორც ჩვენ ზემოთ ვსთქვით, არის შედგენილი როგორც ქალებისათვის ისე ვაჟებისათვის.

წარმოვსთქვი რა ჩემი შეხედულობა ამ წიგნის შინაარსის შესახებ, მე ნამდვილათ არ შემიძლია ვსაჯო, თუ რამდენ სარგებლობას მოიტანს იგი; მაგრამ ვსთხოვ მკითხველ საზოგადოებას, რომ მიჩვენოს შეცდომები. თვითეული ეგრეთი ჩვენება იქნება ჩემგან მიღებული მომავალი გამოცემის დროს ცნობაში და მათთვის დავრჩები ღრმად მადლობელი შემდგენელი.

ფილარეტ ბაქრაძე.

ზ რ დ ი ლ ო ბ ა.

რა არის ზრდილობა ანუ საერო ეტიკეტი? ზრდილობა, ანუ საერო ეტიკეტი არის თავაზიანობის ცოდნა. ეტიკეტი, დედის ან აღმზრდელისაგან ბავშის გულში ჩანერგილი, მომავალში ბავშისთვის შეიქნება აუცილებელ საჭიროებად მთელს მის ცხოვრებაშიდ, შეუმსუბუქებს მას ხალხთან მსვლელობას და მის გულს მიჰფენს მშვიდობას და სიხარულს. ნამდვილი კეთილ-აღზრდილობა დაუხსნელად შეერთებულია მოყვსის სიყვარულთან; ამიტომ, რომ ზრდილობიანი კაცი ყოველთვის ცდილობს, რომ იგი იყოს მოსაწონი თავის მოყვსის. ზრდილობიან კაცს არ უყვარს დიდგულობა, არც სხვების დაცინვა, არც მოტყუება; ის არის მოწყალე, მომთმინე და მშვიდი; იგი ყოველთვის ცდილობს, რომ ასიამოვნოს თავის მოყვასს და მისის სიამოვნებისათვის ხანდისხან თავსაც ივიწყებს. და აი, ნამდვილათ ამაშით მდგომარეობს ძალა კარგი კილოს ცოდნისა.

ამ აღწერილობას მიუმატოთ ზოგიერთი ეგრეთი წესრიგების შესწავლა, რომლებიც ჩვეულებას და აღზრდილობას გაუნათლებია, და მაშინ ჩვენ შევჰქნით საერო კაცის იდეალს (ნიმუშს), რომელიც უნდა იყოს ეტიკეტის უყვედრელი წარმომადგენელი. და ამნაირად ეტიკეტი ჰქვია შესაფერობის ანუ თავაზიანობის ცოდნას; სხვანაირად, ეტიკეტი არის ზრდილობის ცოდნა, ე. ი. საზოგადოებაში თავის დაკავება ისე, რომ დავიმსახუროთ საზოგადო მოწონება.

ეს ეტიკეტი ჩვენ მარტვა საზოგადოებაში და შეკრებილებაში კი არ უნდა დავიცვათ, არამედ ოჯახშიდაც; ამიტომ რომ ოჯახში ეტიკეტის დაცვა არის ბურჯი მთელი ოჯახის ბედნიერებისა; კეთილად აღზრდილი კაცი ყოველთვის თავაზიანათ ეპყრობა დედას, მამას, ცოლს, შვილს, მოსამსახურეს და სხვებს.

მოვიყვან რა აქ რამოდენიმე დარიგებას, მე მივცემ ჩემს თავს ნებას, რომ მათი შინაარსი გავჰყო 16 თავად და თვითეულს თავში უფრო დაწვრილებით განვიხილო ზრდილობის წეს-რიგი, სახელდობრივ; 1) ეკლესიაში; 2) აუდიენციებზე; 3) რაუტებზე; 4) სამუსიკო საღამოებზე; 5) სატანცავო საღამოებზე; 6) საღამოს დროის წვეულებაზე; 7) ჩაიზე; 8) მსახურის შესახებ; 9) შინაური სტოლის დროს; 10 სასადილო სტოლის (ანუ ჩვეულებრივი სადილის) დროს; 11) მიწვეული ანუ საპარადო სადილის დროს; 12) სეირნობის დროს; 13) დილის და საღამოს ვიზიტები; 14) ბანქოს თამაშობის დროს; 15) საუბრის დროს და 16) სხვა და სხვა შემთხვევებში.

I.

ზრდილობის დაცვა ეკლესიაშიდ, ანუ საეკლესიო ეტიკეტი.

ფარისევლობის ქადაქების აზრი ჩვენგან ძალიან შორსაა, მაგრამ რაც უნდა იყოს, ღვთის ტაძარში დგომას აქვს თავის საკუთარი წესები, რომლების ცოდნა ძალიან საჭიროა ყოველი კაცისათვის. ჩვენ ეკლესიაში უფრო მეტ ყურადღებას უნდა ვაქცევდეთ თავის თავს, ვიდრე ეკლესიის გარედ, რომ არ შეურაცხვყოთ სიწმინდე ადგილისა, სადაც სუფევს სული ღვთისა. ამიტომაც ჩვენი რჩევა ამ საგნის შესახებ იქმნება შემდეგი:

1) ეკლესიაში უნდა შებრძანდეთ (რასაკვირველია ქუდ-მოხდილი) რამოდენიმეთ ნელა, ე. ი. აუჩქარებლათ, კარებში შესვლისათანავე უსათუოდ უნდა წაიძროთ მარჯვენა ხელიდგან თათმანი, ფრთხილად გაძვრეთ კაცების შუა, რომ ლოცვა არავის შეუშალოთ და თუ სალმრთო მსახურება დაწყებულია. სჯობს კედელთან დადგეთ და მაინდამაინც პირველი ადგილის დაჭერას არ ეცადოთ.

2) თუ ვაჟი ახლავს მანდილოსანს. ის უნდა ეცადოს, რომ თავისი მანდილოსანი დააყენოს კედელთან და მეორეს

მხრით კი თვითან ამოუდგეს მას. კედელთან დგომა მანდილოსნის მიტომ არის უკეთესი, ვიდრე შუა კაცებში, რომ კედელთან მდგომ მანდილოსანს ერთის მხრით კედელი დაიფარავს ხალხის მიწოლისაგან და მეორეს მხრით მისი კავალერი.

3) ზოგიერთი ყმაწვილი კაცები და ქალებიც, ეკლესიაში აქეთ იქით იხედებიან, ვითომც ვისმეს ეძებდნენ და მის მაგივრად, რომ კანონიერად პირ-ჯვარი გამოისახონ, პირზე და გულზე ისე იქნევენ ხელებს, ვითომც ბუზებს იგერებდენ. ზოგიერთნი ამ პირთაგანი სახარების კითხვის დროს თავს არ ხრიან, მაშინ როდესაც რომ საეკლესიო ეტიკეტი მოითხოვს ამ დროს თავ-დახრილათ დგომას; ზოგნი კი ზეზე დგანან მაშინ, როდესაც ყველა მლოცველი დაჩოქილია. ეგრეთი თაკილობა და შვურაცხება საეკლესიო წესისა ცხადათ ამტკიცებს ამ სუბიეკტების ჭკუის ნაკლულევანებას.

4) თუ ეკლესიაში ვინმემ ნახა თქვენი ადგილი თავისთვის უფრო მოხერხებულათ და დაგიწყო თქვენ ურცხვათ შეგიწროება იმ განზრახვით, რომ თქვენი ადგილი დაიკავოს, სთხოვეთ მას მდაბლად, რომ არ გავიწროვებდეს; ანა და სჯობს, რომ სრულიად დაუთმო მას ის ადგილი და მით აიცილოთ თავიდგან მაგისთანა უზრდელ კაცთან უსიამოვნო შეტაკება.

5) ლაპარაკი ეკლესიაში საღმრთო მსახურების დროს არის ძლიერ დიდი უწესობა, ამიტომ, რომ სალაპარაკოდ ჩვენ საკმაოდ ბევრი გვაქვს დროცა და ადგილიც. თუ თქვენს ახლოს დგანან იმისთანა პირები, რომლებსაც აქვს სათაკილო ჩვეულება ეკლესიაში მუსაიფობისა, მათ ნუ უჩვენებთ თქვენს გულ-ძვირობას; ყველაზედ უმჯობესი ის იქნება, რომ მოშორდეთ მათ, თუგინდ თქვენგან მოკავებული ადგილი იყოს ძლიერ მოხერხებული თქვენთვის. თუ საჭიროება მოითხოვს, რომ პასუხი უგოთ ვისმეს ეკლესიაში მის კითხვაზე, უპასუხეთ ნახევარის ხმით და მოკლეთ, რომ ამით ის მიხვდეს, რომ თქვენ არა გსურთ მასთან ბაასობის გაგრძელება.

6) თუ მღვდელმა ან დიაკონმა სებისკვერი მოგცეს, ჩა-

მოართვით შიშველის ხელით, მაგრამ მაშინვე ნუ გასტეხთ, თუ ამ დროს თან აბლავხართ მანდილოსანს, და მას არ მიუღია სეფისკვერი, იცოდეთ, რომ საზოგადო ცხოვრების წესრიგი მოითხოვ თქვენგან, რომ ეს ნიშანი პატივისცემისა მოუკითხოთ თქვენს მანდილოსანს.

7) ეკლესიაში უფრო მეტად, ვიდრე სხვა ადგილზე, უნდა სცემდეთ პატივს მღვდელს და, საზოგადოთ, ეკლესიის მოსამსახურეებს, ეგრეთვე მოხუცებულებს და მანდილოსნებს. ამათ დაუთმობენ ხოლმე პირველ ადგილს ყოველ განათლებულ საზოგადოებაში.

8) უზრდელობაა ეგრეთვე მღვდლის წინ წასვლა ხალხში და მისი გზის გადალობვა, როცა ის მიდის საღმრთო მსახურების შესასრულებლათ; ეგრეთვე თუ როშელიმე საეკლესიო ცერემონიის შესრულების დროს, მაგ. მიცვალებულის დამარხვის, ჯვარის წერის, ურიის მონათვლის და მღვდელ მთავრის სამღვრთო მსახურების დროს თქვენ უშლით უკან მდგომ მანდილოსნებს ცერემონიის დანახვას, მაშინ ან სთხოვეთ მათ, რომ თქვენი ადგილი დაიკავონ, ან შეუნიშვნელად გვერდზე ჩამოდეგით, რომ ამითი მათ მიეცეთ შეძლება წამოიწიონ წინ.

9) თუ თქვენ გსურთ შებრძანდეთ ეკლესიაში ხატების სანახავად, ამისათვის უნდა გამოირჩიოთ თავისუფალი დრო, როდესაც მასში არ არის საღმრთო მსახურება; მაგრამ მაშინაც იმისთანა შეკავებულად უნდა გქონდეს თავი, როგორც საღმრთო მსახურების დროს.

10) როდესაც თქვენ შედიხართ სხვა სარწმუნოების ხალხის ტაძრებში, მაგ. თათრების მეჩიტში, ანუ ურიების საღოცავში, იქაც ქუდ-მოხდილი უნდა შებრძანდეთ და ზრდილობა იქონიოთ. ამითი თქვენ უხდით პატივისცემის გადასახადს იმ ადგილს, სადაც ხალხნი ადიდებენ ქვეყნის შემოქმედს.

II.

აუდიენცია და სამეფო კარის ეტიკეტი.

აუდიენცია ქვია ხელმწიფისაგან დესპნების (მოკაჭულე ბის) მიღებას. ეგრეთვე აუდიენცია ეწოდება მაღალ გვამებისაგან (დიდ-კაცებისაგან) მთხოვნელების ან სხვების მიღებას.

ხშირად მოხდება ხოლმე, რომ კაცი სრულიადაც არ მოელის, რომ იგი როდისმე ეჩვენოს Უავგუსტესი გვარის წევრებს, მაგრამ ხანდისხან საქმის გარემოება მოულოდნელად გააბედნიერებს მას მოწყალის აუდიენციით (მიღებით); ან და მთხოვნელი თვითან ისაჭიროვებს გამოითხოვოს, ნება მისცენ მას, რომ მან პირადათ განუმარტოს რომელიმე საქმე ხელმწიფე Imპერატორს, ან სხვა უმაღლეს წევრებს Უავგუსტესის გვარისას. რასაკვირველია, რომ ამისთანა შემთხვევებში გაშოუცდელი და გაუბედავი მთხოვნელი მიმართავს ხოლმე თხოვნით კარის კაცებს, რომ მას ასწავლონ სამეფო კარის ანუ დარბაისელი ეტიკეტი.

1) როდესაც შეგიშვებენ კაბინეტში ან დარბაზში, სადაც დანიშნულია აუდიენცია, ე. ი. მიღება, მთხოვნელი შესვლისათანავე ოთახში მართებულათ თაყვანსა სცემ იმ პირს, ვისაც გინდა რომ ეჩვენო, წასდგამ რამოდენიმე ბიჯს და მეორეთ თაყვანსა სცემ, წაიწევი კიდევ წინ და, როდესაც უმაღლესს გვამს მოუახლოვდები სამს ბიჯზე, კიდევ მესამეჯელ თაყვანსა სცემ და დასდგები სწორა.

ლაპარაკი არ უნდა დაიწყო მანამდის, სანამდის მისი Udიდებულესობა რამეს არ გკითხავს; როდესაც მოგმართავს კითხვით, მაშინ, თუ თხოვნა გაქვს მისართმევი, უნდა მიართვა და თუ მოსახსენებელი გაქვს რამე, უნდა მოახსენო. უნდა უპასუხო, რაც შეიძლება ნამდვილათ და გასაგონათ (მაგრამ ძალიან ხმა-მაღლა არა), აგრეთვე თუ მაინდამაინც საჭიროება არ მოითხოვს, ფრაზები, ანუ საუბარი ძალიან არ უნდა გაგრძელო. წამოსადეგობა (ტანოვანება) მთხოვნელისა უნდა იყოს თავისუფალი: ის უნდა იდგეს სწორა და ხელებ ჩაშვე-

ბული და უნდა ჰქონდეს ნიშანი საკუთარი ღირსების გრძნობისა, ე. ი. მას არ უნდა ეშინოდეს, არამედ გრძნობდეს რომ იგიც კაცია. თუ მთხოვნელმა თავისი ღირსების გრძნობა არ დ კარგა, მაშინ ის უნებურად გამხნევდება და თავის საქმესაც ადვილათ მოიგებს. წინაალმდეგ შემთხვევაში, თუ მას შეეშინა, მაშინ მის სიმკრთალეს და დაურწმუნებლობას პასუხის მიცემაში შეუძლიათ მოახდინონ უმაღლეს გვაშში გლახა შთაბეჭდილება და საქმის გამარჯვებას ავნონ.

როდესაც აუდიენცია გათავდა, ანუ თქვენი თხოვნა მოისმინეს, მაშინ უნდა მართებულათ თაყვანისცე უმაღლესს გვამს და უკანისკენ დაიხიო; კიდევ თაყვანისცე და მოუბრუნებლად უკანისკენ დაიწიო კარებამდის, კარებთან კიდევ ერთხელ უნდა თაყვანისცე და მხოლოდ მაშინ უნდა მოტრიალდე და გამოხვიდე დარბაზიდან; ასე რომ სანამდის კარებთან არ მოხვალ, მანამდის სახე უნდა გქონდეს მიქცეული სულ უმაღლეს გვამისკენ და ეგრე უნდა იწევდე სულ უკან.

2) სასახლის ოთახებში რასაკვირველია თქვენ ნახავთ სხვა და სხვა საგნებს მოდისას და განცხრომისას, მაგრამ არც ერთ მათგანს ხელი არ უნდა მიაკაროთ, არ აიღოთ და არც ადგილი გამოუცვალოთ. ზოგიერთებს აქვსთ ეგრეთი უბედური ჩვეულება, რომ როდესაც სხვის სახლში მოხვდებიან ხოლმე იღებენ ხელში იმ ნივთებს, რომლებმაც მათი ყურადღება მიიქცია, უცვლიან მათ ადგილს, შლიან წიგნებს, ალბომებს, ნოტებს და სტოვებენ მათ სულ სხვა ადგილზე. თუ ეგრეთი მოქმედება კერძო სახლში ითვლება უზრდელობათ, რასაკვირველია, რომ ხელმწიფის სასახლეში ამისთანა უცერემონიო საქციელი შესახებ უმაღლეს სახლის უფალთ საკუთრებისა ნამდვილათ უნდა დაითვალოს ნამეტან თავხედობათ და ურცხვობათ.

3) სასახლეში ლაპარაკი უნდა ნახევრის ხმით და სიარულიც ნელა. სასახლის ნახვის და დათვალიერების შემდეგ თქვენ უნდა დაასაჩუქროთ ის კამერ-ლაქიები, რომლებიც თან-გამყოლებათ გემსახურებოდენ. თქვენ თუ ამ დროს მანდილოსნებს ახლავხართ, ეს ხარჯი სრულიად თქვენს თავზე უნდა იკის-

როთ და არ დაანებოთ მათ კომერ-ლაქიების გასტუმრება. ანბანი ზრდილობისა მოითხოვს, რომ მანდილოსნებისგან მისაცემი ფული თქვენ უნდა მისცეთ (რასაკვირველია, თუ ჯიბეში ბლომათ გიძევს); თუ რამდენი უნდა მისცეთ, ამაზედ ტაკსა არ არის დაწესებული, მაგრამ რასაც მეტს მისცემთ, მით უკეთესია.

დიდ-კაცებისაგან მთხოვნელების მიღებაც მოითხოვს ზოგიერთ ცერემონიალს, რომლის შესრულება არის გადასახადი პატივისცემისა. აქაც, როგორც პირველ აუდიენციის დროს, მთხოვნელი უნდა იყოს თამამად, თორემ ადვილათ შეუძლია, რომ საქმე წაიხდინოს. ზოგიერთი დიდი კაცი ბოროტად იხმარს ხოლმე თავის მაღალ მდგომარეობას, ძალიან იმაღლებს თავის ხმას; როცა გელაპარაკებათ, შეიძლება კიდევაც შამოგყვიროს და უშვერი სიტყვებითაც მოგმართოს, მაგრამ ამ დროს თქვენ ეცადეთ, რომ უშვერი სიტყვებით პასუხი არ უგოთ და არც ხმა აიმაღლოთ ლაპარაკის დროს, რომ გულის მოსვლა არ შეგატყოს. თქვენ ეცადეთ, რომ წყნარათ დაუწყოთ მას ლაპარაკი და მაშინ კარგს გუნებაზე მოვა, დალბება და ეცდება, რომ მოექცეს სრულის ყურადღებით და თანაგრძნობით თქვენი საქმის შესახებ.

თუ ნება მიეცით თქვენს შეურაცხყოფილ თავმოყვარეობას და სამაგიერო უშვერი სიტყვები შეუბრუნეთ, მაშინ თქვენ თავის საქმეს ავნებთ, აუდიენციიდგან გამოხვალთ უკმაყოფილო, როგორც თავის თავზე, ისე სხვებზე და ამას გარდა ხარისხოვან კაცსაც მტრათ გაიხდით, ამისთანა შემთხვევებში თავის შეკავება არის კეთილის-მყოფელობითი გამოჩენა ჭკუისა და ხასიათისა. დიდ-კაცს მთხოვნელმა მისვლისათანავე ერთხელ უნდა დაუკრას თავი, როდესაც გამობრუნებას აპირობს, მეორეთ მაშინ.

III.

რ ა უ ტ ი.

რაუტი არის ინგლისური სიტყვა და ნიშნავს ლამ-ლამობით საუკეთესო პირების კრებას, სადაც მთელი დრო გადის

საუბრობაში უტანცაოდ. რაუტი არის მართლაც მშვენიერი საზოგადოება დროების გასატარებლათ: იქ შესდგებიან გაცალკევებული წრეები იმხანაგთა, ზოგნი ჰყვებიან ახალ ამბავებს, ან სხვა და სხვა შემთხვევებს თავის ცხოვრებიდგან, ან რომელიმე თავის შესაყოლებელ ანეკდოტებს; ზოგნი კი ყურს უგდებენ ამ საუბარს. იგი ჩვენ შემოვიღეთ ინგლისელებისაგან და ამიტომაც რაუტებში შემდეგ მათ წესებს უნდა მივყვეთ:

1) დარბაზში, ანუ სასტუმროში შესვლის წინ, ერთ წამს უნდა შეჩერდე სარკის წინ და დაათვალიერო თავისი ტანისამოსი, გაისწორო თმა, შეიბნიო თათმანების ყველა ღილები და, როდესაც დარწმუნდებით, რომ ყოველისფერი წესიერათ გაქვთ, შებრძანდებით დარბაზში აუჩქარებლად და ალერსიანი ღიმილით. ზოგიერთმა მანდილოსნებმა იციან გზაზე სარკეში მზერა და თავის გალამაზება, მაგრამ ეს ურიგობაა. კაცები შევლიან შლიაპიანად მარცხენა ხელში; ხელ-ჯაგები (თათმანები) უნდა იყვნენ ძლიერ ახლები და მათი ღილები ყველა შებნეული; ხელებიდან წაიძრობენ მათ მხოლოდ ვახშმის მირთმევის და ბანქოს თამაშობის წინ. სხვიმის, ხელის ჩამორთმევის დროსაც კი, მანდილოსნებს იგინი წაუძრობელი უნდა ჰქონდეს ხელიდგან, ვაჟები კი ხელის ჩამორთმევის წინ წაიძრობენ მათ.

2) როდესაც შებრძანდებით დარბაზში, სადაც ზის სახლის პატრონი ქალი, რიგია, რომ პირველად მიეგებოთ მას, მერე კი სხვებს; ამიტომაც სტუმრებთან არ უნდა გაჩერდეთ და არც ლაპარაკი დაუწყოთ მანამდის, სანამდის არ მიეგებებით და თავს არ დაუკრავთ მასპინძელ ქალს. თქვენ უნდა ნელა წაიწიოთ წინ, გაძვრეთ სტუმრებში და თან, თქვენს ნაცნობებს, გავლის დროს ალერსიანათ თავი დაუკრათ, მიხვიდეთ სახლის პატრონ ქალთან და მას დაუკრათ თავი.

თავის დაკვრა, დანიშნული სახლის პატრონის ქალისათვის, უნდა იყოს შესრულებული ისე, როგორც მოითხოვს საზოგადო ცხოვრების წეს-რიგი. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ თუ ეს თავის დაკვრა თქვენ ვერ შეასრულეთ ისე, როგორც რიგია, იგი შეარყევს თქვენს სახელს; ამიტომაც ამ

თავის დაკვრის სწავლა ჰლიერ საჭიროა. ასე მაგ. ხელები უნდა იყოს ჩაშვებული ტანის სიგრძეზე სრულიად თავისუფლად, თანდათან უნდა მოიხარო ჯერ თავი და მერე მის შემდეგ ტანი. თუ ზურგი მოგიხრია და თავი არა, ეგრეთი თავის დაკვრა არის ნამდვილად „საცინად აგდებული თავის დაკვრა“, რადგანაც ეგრეთის მოძრაობისაგან თქვენი ფიგურა მიიღებს უკადრისს შესახედაობას.

თავის დაკვრის დროს უბნობენ იმისთანა მოკითხვას ანუ მილოცვას, როგორიც შეესაბამება გარემოებას. მოსაკითხავი ანუ მისალოცავი სიტყვები ძლიერ ბევრნაირია; ასე მაგ. თუ თქვენ რომელიმე ოჯახში პირველჯერ იმყოფებით და ოჯახის უფროსებთან არა ხართ კარგათ გაცნობილი, მაშინ თავის დაკვრის დროს წარმოთქვამთ შემდეგ სიტყვებს: „ვითხოვ ბატონო, ღირსი გამხადოთ მე თქვენი ალერსიანი ყურადღების“; ანუ „ვსვთლი დიდ პატივისცემათ თქვენგან ჩემს დავალებულ მოწვევას“; ანუ „ვიხმარ ყოველ ღონისძიებას, რომ დავიმსახურო თქვენი მოწყალე განწყობილობა“. თუ თქვენ საკმაოდ გაცნობილი ხართ ოჯახის უფროსებთან, მაშინ მოსაკითხავი სიტყვები რამოდენიმედ გამოიცვლება: მაგ. „მადლობა ღმერთს, რომ მშვიდობით ბრძანდებით, ბატონო“, და სხვა.

3) როდესაც ამ ნაირად გაათავებთ ოჯახის უფროსის მოკითხვას, მაშინ უცებ გადაავლეთ თვალი დარბაზს, სადაც სტუმრები დგანან და მიხვალთ მანდილოსნებთან, მათ თავს დაუკრავთ და ხელს ჩამოართმევთ და თვითეულს მათგანს ეტყვით ალერსიან სიტყვას; მერე მოუბრუნდები კაცებს, სადაც რასაკვირველია, პირველად მიესალმები ოჯახის უფროს კაცს და მერე სხვებს. თუ ოჯახის უფროსი კაცი გართულია ბასობაში, ნუ გააწყვეტიებთ მას საუბარს, შეურჩიეთ მოხერხებული დრო და მაშინ მიესალმეთ.

4) საზოგადოთ ამისთანა შეკრებილებაში ყმაწვილი კაცი უფრო მეტს უნდა იამენდეს, ვიდრე ლაპარაკობდეს; ამიტომ რომ შეიძლება ის ახალგაზდა ჯერ გამოუცდელი იყოს და ამი-

ტომაც მას ადვილად შეუძლია დაიმსახუროს მეჭორხაბარეს (სიკრუვის მროშავის) დიდება.

5) ხანდისხან რაუტებში ძალიან ვიწროობაა, ამიტომ, რომ ხალხი ბევრია და სკამები ცოტა; მაგრამ თქვენ თუ ზიხართ და თქვენს უკან შეხედეთ მოხუც ან ყმაწვილ მანდილოსანს და შენიშნეთ, რომ იგი ზეზე დგომით დაღალულია, „საზოგადო ცხოვრების ამბანი“ ვალათ გდებსთ ყმაწვილ კაცს, რომ თქვენი სკამიდგან ადგეთ და თქვენი ადგილი დაუყონებლივ მას დაუთმოთ. ამგვარ შემთხვევაში ყმაწვილი ქალიც მოვალეა, რომ ადგეს და თავისი ადგილი მოუკითხოს პატივ-საცემ მოხუცებულ ქალს, თუ კი ეს უკანასკნელი უსკამოდ დარჩა.

თავისი სკამი ვაჟმა მაშინ უნდა მოუკითხოს მანდილოსანს, როდესაც სხვა თავისუფალი სკამი არ არის. ბუხრის ან ფეჩისკენ ზურგ-შექცევით ჯდომა ითვლება უზრდელობად დიდ შეკრებილებაში.

6) ხანდისხან ლაქიები შემოიტანენ ხოლმე დარბაზში პადნოსით დესერტს (ხმელ ან ნედლ ხილს, მაგ. კანფეკტებს, სხლებს, ვაშლებს და სხ.), რომელიც დანიშნულია, რომ პირველად მიერთვას, რასაკვირველია, მანდილოსნებს და პატივ-საცემ სტუმრებს; მერე სხვებს. უცებ ხელის ტაცება დესერტის სირცხვილია; სირცხვილია ეგრეთვე ჯიბეში მისი ჩადება და სახლში წაღება; [მოგართმევენ თუ არა პადნოსს, აიღე იქიდგან კანფეკტი, ფორთოხალი, სხალი და სხ. და მაშინვე მიირვი, რადგანაც იგი არის მოტანილი გასაგრილებლად (ე. ი. შესაჭმელად) და არა სახლში წასაღებად. 63 წლის წინეთ ერთმა მოხუცებულმა გრაფინიამ, აპრაკსინამ, ცუდი ხმა დადგდო პეტერბურგში: იგი მთელ კვირაობით, ყოველ დღეს, სტუმრათ დადიოდა ნაცნობებში თავის ორი მოზრდილი გასათხოვარი ქალიანად და, პადნოსის მიმოტარების დროს, უსირცხვილოდ აბოჭავდა ხოლმე ხილს და თავის გასათხოვარ ქალებს ჯიბეებს გაუვსებდა ხოლმე; ხუთშაბათობით კი, როდესაც მასთან ნაცნობები შეიკრიბებოდენ, წაღებულ ხილეულობას მისი ლაქიები ვერცხლის პადნოსზე დაალაგებდენ და

ისე მიართმევდენ ხომლე სტუმრებს. ბოლოს ეგრეთი ხელმარჯვეობით, მან იმისთანა საბრალო საცნაურობა შეიძინა, რომ როგორც კი ლაქიები დესერტს შემოიტანდენ ხოლმე დარბაზში, ოჯახის უფროსები მაშინვე ყარაულებივით უნდა გამოჰკიდებოდენ მას უკან, რომ გრაფინია აპრაკსინამ არ აბოჭოს და სულ ჯიბეში არ სტუცოს თავის ქალიშვილებსო.

7) როგორც დესერტის, ეგრეთვე ვახშმის დროს, კავალერი უნდა ცდილობდეს მას, რომ მის გვერდით მჯდომარე მანდილოსანი, არაფერს არ მოითხოვდეს და თუ ლაქიამ სტოლის შემოვლის დროს, უნებურად მიატოვა რომელიმე მანდილოსანი, კავალერი მოვალეა დაუყონებლივ გაასწოროს ეს შეცდომა. ამგვარ შემთხვევაში სულ ერთია, მანდილოსანი რავარიც უნდა იყოს: მოხუცებული, თუ ახალგაზდა; ნაცნობი, თუ უცნობი; გლახა თვალადიც რომ იყოს იგი, კავალერი მაინც მოვალეა, ზრუნავდეს მისთვის ისე, ვითომც იგი იყოს ყველაზე ულამაზესი ქალი მთელს საზოგადოებაში. კავალერი ასე უნდა მოიქცეს პატივისცემისათვის ოჯახის უფროსებისა, რომლებისათვის ყველა სტუმრები ერთნაირად სასიამოვნოა და საყვარელი.

8) ეგრეთი პატარა სამსახური კავალერმა უნდა შეასრულოს აუჩქარებლად. თუ აჩქარდა, ის ადვილად გამოიჩენს თავის მოქმედებაში უმარჯვეობას. თუ თქვენის უმარჯვეობით, ან თქვენი მეზობლის მოუხერხებელი მოძრაობით გაგივარდათ ხელიდგან საინი, რიუმკა, ფინჯანი, ეცადეთ, რომ ამით ძალიან არ შეწუხდეთ და არ დაჰკარგოთ ხალისი, რადგანაც ეს უფრო ვარესად შეაწუხებს ოჯახის უფროსებს. თქვენ ხმამაღლა სთქვით რამოდენიმე ბოდიშის მოსახდელი სიტყვები: „ოხ ბოდიშს ვიხდი, რომ ეს სწორედ გლახად მომივიდა... და უკაცრავად და სხ.“.

9) როცა ვისმეს ელაპარაკებით, არ არის რიგი უსარგებლოდ და ნამეტანად ძალდატანებით ხმის ამაღლება.

10) გასათხოვარი ქალი არასოდეს არ წავა საზოგადოებაში მარტოდ; მას გაჰყვება დედა, ძმა, აღმზრდელი, ან სხვა ვინმე ახლობელი, რომლებიც თვალს ადევნებენ თვითეულს

მის მოძრაობას, საქციელს და, სხვის შეუმჩნეველად, გაამხნევებენ ანუ დასძრახავენ მის მოქმედებას და ამით წინდაწინ აცნობებენ შეცდომებს წინააღმდეგ საზოგადო ცხოვრებისა. კმიტომაც იმ მშვიდობიან გასათხოვარ ქალს, რომელსაც ჯერ არა აქვს იმედი თავის გამოცდილებაზე, უნდა ეცადოს, რომ შეკრებილებაში ძალიან არ დაშორდეს იმათ, ვისთანაც მოვიდა და მუდამ იყოს მათ თვალის წინ. რასაკვირველია ეს უნდა მოხდეს სხვებისგან შეუნიშნავად. ის ახალგაზდა ქალები, რომლებიც არ ასრულებენ ამ წესს, ხშირად ჩავარდებიან ხოლმე იმისთანა შეუნდობელ ცდომაში, რომელიც შემდგომში მათ სამწუხაროდ დაურჩებათ.

11) როგორც ვაჟი, ისე გასათხოვარი ქალი, როცა იგინი იმყოფებიან უცნობ სტუმრებთან, უადა ეცადონ მათ გაცნობას, დაუახლოვდენ მათ და, რაც შეიძლება, მიიღონ მონაწილეობა მათ საუბარში. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი იქნებიან მოწყენილნი და როდესაც ამ მოწყენილობას შენიშნავენ ოჯახის უფროსები, მათ ეს, რასაკვირველია, არ ესიამოვნებათ, თუმცა ეცდებიან მათ გახალისებას. ეგრეთი მოწყენილი სტუმარი დაიმსახურებს ყოველთვის უზრდელი კაცის რეპუტაციას (სახელს).

რა არის საჭირო იმ ზრდილობიანი კაცისათვის, რომელსაც სურს, რომ სხვა და სხვა შეკრებილებაში დაესწროს. ამისთანა კაცისათვის საჭიროა: ა) თავისუფალი მიხრა-მოხრა, ბ) სრული თავისუფლობა და გ) თამამი და მსუბუქი საუბარი სხვა და სხვა საგნებზე.

12) რაუტზე თქვენ მოვალე არა ხართ, რომ ძალიან დიდხანს დარჩეთ, ნამეტურ იმ შემთხვევაში, თუ იმ დღეს თქვენ სხვაგან ხართ მიწვეული. ამ შემთხვევაში თქვენ ასე მოიქეცით, დიდხანს ერთ ადგილზე არ დაჯდებით, ოთახში იქით აქეთ გაისეირნებთ, ხან ერთ გრუპპასთან (ჯხუფთან) მიხვალთ და რამდენიმე სიტყვებს ეტყვით, ხან მეორე გრუპპასთან, ოჯახის უფროსებსაც ხშირად ეჩვენები თვალწინ. ამისთანა მანევრების (მიხრა-მოხრის) დროს თქვენი გაშორება ი ნებაა სრულიად შეუნიშნავი: თქვენ გაივლით, გამოივლით,

ვითომც დასეირნობდეთ, წამოავლებთ თავის პალტოს ხელს, მოიხურავთ და, გამოუთხოვებლად, წახვალთ სახლში. მასპინძლებს არ უნდა გამოეთხოვოთ, ამიტომ რომ ამითი თქვენ მათ შეაწუხებ და ბაასობასაც შეუშლი. თუ ოჯახის უფროსებმა შენიშნეს, რომ თქვენ წასვლას აპირებთ, ისინი თქვენ არ გაგაჩერებენ და არც უკან დაგაბრუნებენ, რადგანაც ზრდილობა მოითხოვს, რომ მასპინძელმა არ შეავიწროვოს სტუმრის თავისუფალი მოქმედება და, სიამოვნების მაგივრად, უსიამოვნება არ აჩვენოს. შეიძლება მართლაც, რომ იმ დღეს თქვენ სხვაგან იყოთ მიწვეული და არ გსურდესთ, იქ დააკლდეთ, ან ძალიან საჭირო საქმე გქონდესთ თქვენს საკუთარ ოჯახში და რასაკვირველია, ამისთანა შემთხვევაში, რაუტზე დიდხანს აღარ დარჩებით.

21266

მაგრამ როდესაც თქვენ ასე შეუმჩნევლად წახვალთ რაუტიდგან, იცოდეთ, რომ ორი დღის შემდეგ, თქვენ დილით ვიზიტი უნდა გაუკეთოთ თქვენ მასპინძელს და, ადრე წასვლისათვის, მოითხოვოთ ბოდიში და გამოუხატოთ წუხილი, რომ მოულოდნელმა გარემოებამ შეგიშალა ხელი, რომ გესარგებლებიოს წარსული რაუტის სიამოვნებით.

რამოდენიმე ალერსიანი სიტყვა, შვენივრათ შედგენილი სალამოს შესახებ, სასიამოვნოდ დაურჩება ოჯახის უფროსებს და ამიტომაც დილის ვიზიტის წინ, ადრევე უნდა მოამზადოთ რამდენიმე სალამი და ისე უნდა გააწყოთ ლაპარაკში, რომ მომზადება ვერავინ შეგატყოს.

13) როცა ოჯახის უფროსმა ქალმა განიშნოთ ვახშამზე მისვლა, ვაჟმა უნდა მისცეს ხელი ახლო მყოფ მანდილოსანს, რავარიც არ უნდა იყოს იგი და მიიყვანოს სტოლთან, და თუ მან გთხოვა თავის გვერდით ჯდომა, ამაზედ უარი არ უნდა განუცხადოთ. ვახშმის შემდეგ კი მანდილოსანი თავის ადგილზე უნდა მიიყვანოთ,

14) თქვენ თუ დარჩით რაუტის . დასრულებამდი, მაშინ უნდა გამოესალმოთ ოჯახის უფროსებს და უგულითადესი მადლობა შესწიროთ მათ სიამოვნებით გატარებული სალამოსთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

15) ახალგაზდა ქალი უნდა შევიდეს დარბაზში წყნარად, თამამად და მხიარულის სახით. დარბაზის ყველა სარკეებში მზერა არ უნდა დაიწყოს. ნაცნობ ახალგაზდა ქალებს და მანდილოსნებს თავი ალერსიანად უნდა დაუკრას და სტუმარ ქალებში გაძვრეს იმ ადგილამდის, სადაც ზის ოჯახის უფროსი ქალი. ნიშნებით ლაპარაკი უზრდელობაა.

16) თქვენ თუ შეგიხვდათ ოჯახის უფროს ქალთან ჯდომა და მასთან საუბრის დაწყება და ამ დროს შენიშნეთ, რომ მასთან მოვიდა ვინმე სტუმარი ქალი მოკითხვით, ადექით თავის სკამიდგან, მაგრამ საუბარს ნუ გასწყვეტთ; ამიტომ რომ, ძალიან უზრდელობაა საუბრის უცებ გაწყვეტა, ანუ მანდილოსნის საუბრის შეშლა. ოჯახის უფროსი ქალი, რასაკვირველია, ადვილად გაიგებს ეგრეთ თქვენს მანიოვრას და მიიქცევა ახალ მოსულ სტუმართან. მაშინ თქვენ შესწყვეტთ საუბარს, თქვენს ადგილს ახლად-მოსრულს დაუთმობთ, დაიხევთ უკან და შეერევით სხვა სტუმრებში. თუ საზოგადოება სრულიად უცნობია და მასპინძელმა ქალმა, დროს უქონლობით, ვერ გაგაცნო მათ, თქვენ თვითონ ეცადეთ, რომ დაუახლოვდეთ მათ და თვითონ გაეცნოთ. ზოგიერთ ქალებს ძლიერ უყვართ სხვების დაცინვა და ჭორების მოგონება, მაგრამ ახალგაზდა ქალები უნდა ეცადონ, რომ მაგისთანა დაცინვასა და ჭორების მოგონებაში არ მიიღონ მონაწილეობა.

17) მანდილოსანი უნდა ცდილობდეს, რომ სტუმრიანობის დროს არც გადამეტებული ხალისი გამოიჩინოს და არც მოწყენა; წინააღმდეგ შემთხვევაში მას მიიღებენ ხამათ, ე. ი. ეგრეთ თემის ქალად, რომელსაც არ უნახავს კარგი საზოგადოება.

ქალმა მუსაიფობა უნდა დაიწყოს რბილად და წყნარად, მაგრამ ყველას გასაგონად; მუსაიფის დროს თავი არ უნდა დაღუნოს და თვალები ძირს არ ჩამოუშვას და ცხვირსახოცის ან მოსასხამის ნაქსოვ ფოჩებს თითებით არ შლიდეს. კომპლიმენტები (ალერსიანი სიტყვები) თუ გითხრან, მანდილოსანმა უნდა მიიღო ისინი ღიმილით, გულით კი არა; ამიტომ რომ, სალამში, მოკითხვაში, კომპლიმენტებში ხშირად ფარი-

სევლობაა დამალული. კომპლიმენტებს თქვენ ისე უყურებთ, როგორც სასოფლო ჭორებს.

გასათხოვარი ქალი ყურს უნდა უგდებდეს ახალ ამბებს მეცნიერების და ხელოვნების ნაწილში, ახალ სათეატრო პიესას, საბალო რომანსებს. სულ ყველა ესენი შეადგენენ სავსე წყაროს საზოგადო ლაპარაკისათვის.

ინგლისელმა მწერალმა დჟონსონმა სთქვა ძლიერ ჭკვიანად, რომ ის ახალგაზდა ქალი ან კაცი, რომლებიც ვერ ახერხებენ ლაპარაკის დროს უქმ-სიტყვაობას, წააგვანან ეგრეთ მდიდრებს, რომლებსაც წვრილი ფულის უქონელობის გამო, უძნელდებათ გასწიონ თუმცა მცირე, მაგრამ აუცილებელი ხარჯი. ეგრეთი კაცები ხანდისხან თუმცა ძლიერ ჭკუიანები და განათლებულნი არიან, მაგრამ საზოგადოებაში ძლიერ მოწყენილობას იჩენენ.

18) დიდ შეკრებილებაში, სადაც, რასაკვირველია, ყველა სტუმრებს არ შეუძლია, რომ ერთმანეთს იცნობდენ, თქვენ უნდა ეცადოთ, რომ არავის არ დასცინოთ: არც გარეგანი შეხედულობა, არც ჭკუა და არც ტანისამოსი; რადგანაც ადვილად შეიძლება, რომ თქვენგან დაცინული და აგდებული პირი ნათესავად მოხვდებოდეს თქვენს თანამოამბეს. ეს შემთხვევები ხშირად ემართება მას, ვისაც ენა მუდამ ექავება სხვების დაცინვაზე და გაკიცხვაზე. ეგრეთ დაცინვას ხშირად მოჰყვება ხოლმე შფოთი; მაგ. ერთ შეკრებილებაში, სადაც დიდ-ძალი სტუმარი იყო, დაესწრო ერთი უბრალო და გამოუცდელი ყმაწვილი კაცი; მას თავისი თავი ძლიერ მახვილ-გონებიანი და შემაქცევარი ეგონა; დასცინოდა ყველას და წუნს სდებდა ნამეტურ მანდილოსნების თვალადობას და მოკაზეულობას. მისი წარიმარა ლაპარაკი მსმენელებს მართლაც ძალიან აცინებდა და ამან კიდევ უფრო გაათამამა გაუფრთხილებელი მკილავი: ზოგ მანდილოსანს „ბაბილონის აყუდებული გოდოლი“ დაარქვა; ზოგზე სთქვა, რომ მას ცრემლები მოსდისო და სხ. ბოლოს ერთმა ყმაწვილმა კაცმა გამოითხოვა იგი დუელში მისთვის, რომ მან განჰკიცხა გრძელი ცხვირი იმის საცოლოსი, მასპინძლებმა დიდის გაჭირვებით

დააზავეს იგინი უჩხუბრად, და თავხედი მკიცხავი იძულებული იყო შერცხვენილი დაბრუნებულიყო თავის სახლში.

მეორე დღეს ეს ამბავის მთელმა ქალაქმა შეიტყო და, იმ დღიდგან, სადაც უნდა მოსულიყო ეს გაუფრთხილებელი მკილავი, ყველგან კარს მოუკეტავდენ ხოლმე და სახლში არ უშვებდენ.

IV.

სამუსიკო სალამოებზე.

ჩვენ აქ არ დავიწყებთ ლაპარაკს იმ კანცერტებზე, რომლებში მონაწილეობას ღებულობენ ვირტუოზები ანუ ნამდვილი არტისტები. ჩვენ შევეხებით მხოლოდ იმ სამუსიკო სალამოებს, რომლებზედ თვითეული იმღერის და უკრავს მოუმზადებლად ისე, როგორც იცის—არა იმ განზრახვით, რომ იგი აქონ და ადიდონ, არამედ მიტომ, რომ პატივი სცეს მასპინძლის და სტუმრების თხოვნას.

სამუსიკო სალამოებზე იგივე წესები იხმარება, როგორნიც რაუტებზე გარდა შემდეგი საკუთარი კანონებისა:

1) როცა მიბრძანდებით შეკრებილებაში, სადაც იცნობენ თქვენს სამუსიკო ნიჭს მასპინძლები, თავის სტუმრების გასამხიარულებლათ, მაინდამაინც გთხოვენ, რომ რაიმე იმღეროთ ან დაუკრათ. თუ ბუნებას მოუნიჭებია თქვენთვის სამუსიკო მეხსიერება და ზეპირად გახსობთ სიმღერები, მაშინ, რასაკვირველია, ნოტების თან ტარება საჭირო აღარ არის და მაგისთანა საზოგაროებაში უნოტოთ მიბრძანდებით და პატივს სცემთ მასპინძლის თხოვნას. წინააღმდეგ შემთხვევაში კი თან წაიღეთ ნოტები, მაგრამ ყოველ შემთხვევაში დასტოვეთ იგი მისავალ ოთახში და პირველ შემთხვევისთანავე ნუ შეიტანთ დარბაზში, სადაც სტუმრებია.

2) როცა თქვენ ბრძანდებით სხვის სახლში, ნუ გახსნით სხვის საკრავ იარაღებს მათი პატრონის ნება დაურთველად, და ნურც დაუკრავთ მას, ნურც სიმღერას დაიწყებთ მანამდის, სანამდის არ გთხოვონ; ამიტომ, რომ ადვილათ შეიძლება,

რომ თქვენმა სიმღერამ, ან საკრავის კვრამ შეაწუხოს ვინმე, ან დაუშალოს სტუმრებს მუსაიფობა.

3) თუ მასპინძელმა ქალმა ან სტუმრებმა გთხოვეს რომელიმე საკრავის დაკვრა, ან სიმღერის დაწყება და თქვენ დარწმუნებული ხართ თქვენს ცოდნაში, შეასრულეთ მათი თხოვნა უარის უთქმელად, რომ მორცხვობა არ გეტყობოდეს, მაგრამ ამასთანავე უნდა იცოდეთ, რომ არც ძალიან თავის მოწონებაა კარგი; სჯობს დაარწმუნოთ იგინი, რომ თქვენ სრულიად მზათ ხართ, რომ მათი თხოვნა შეასრულოთ, მხოლოლ ერიდებით მას, რომ შეიძლება თქვენი სიმღერა, ანუ დაკვრა ვერ იქმნეს მათი სასიამოვნო. ეგრეთი წინდაწინ დასწრების შემდეგ კრიტიკა აღარ შეიძლება და მსმენელები პატივს სცემენ თქვენს ნაკლულევანებას.

4) როდესაც თქვენ ემზადებით ნოტებზე სასიმღეროთ, ამოირჩიეთ ეგრეთი ნოტი, რომლის შესრულება კარგათ შეგიძლიათ. დამერწმუნეთ, რომ თქვენ მაშინ უფრო გამოიჩენთ თქენს ბუნებით ნიჭს, ვიდრე იმ შემთხვევაში, როცა საძნელო სამუსიკო პიესას ხელს მოჰკიდებთ და მასში კარგათ განვითარებული კი არ იქნებით.

5) თქვენ თუ ამ დროს ბანქოს სათამაშო სტოლს უზიხართ, უნდა მოიქცეთ ისე, რომ მუზიკის დამკვრელი ქალიც ასიამოვნოთ და თქვენს მომხრეებთან, ე. ი. ქალალდის მოთამაშე ამხანაგებთანაც უზრდელობა არ მოგვიდესთ; ამისათვის საჭიროა, რომ სტოლს არ უნდა მოსცილდეთ და რამოდენიმე სიტყვებით და შეხებულებითაც უნდა აჩვენოთ მას, რომ თქვენ ყურს უგდებთ საკრავის კვრას, ანუ სიმღერას. თუგინდ არ მოგწონდეს მისი სიმღერა, ანუ საკრავის კვრა, მაინც ეგრე უნდა მოიქცეთ; ამიტომ რომ ამას მოითხოვს საზოგადო ცხოვრების წეს-რიგი.

ეს პატარა პანტონიმა (ანუ გარეგანად გამოხატვა თქვენის გრძნობისა მის შესახებ, რომ თამაშობა მოგწონთ) აუცილებლად საჭიროა, თუ ამ ქალალდის მოთამაშე ამხანაგათ გიჩევიათ მამა, ძმა, ან ქმარი მომღერალი, ან მკვრელი ქალისა.

6) როცა თქვენ იმყოფებით სხვის სახლში, ნუ აძაგებთ სხვის იარაღს ანუ ნივთებს, ამიტომ, რომ ყოველ კაცს აქვს თავის სახლის მორთულობა თავის შეძლების გვარად და ამაზედ ვარესი აღარა იქნება რა, რომ სხვის სახლში იმყოფებოდე და მასპინძელს უძაგებდე იმ ნივთებს, რომლებიც მას ძლიერ უყვარს, ან რომლებიც მას დიდის შრომით შეუძენია, სხვისი იარაღის ეგრეთ ძაგებას ხშირათ შფოთიც მოჰყვება ხოლმე.

7) თუ თქვენ შეგიხვდებათ მღერა, ან საკრავის დაკვრა იმისთანა პირთან, რომელიც თქვენზე უფრო სუსტია, ეცადეთ, რაც შეიძლებოდეს, რომ მისი ნაკლულევანება სიმღერაში ან კვრაში დაჰფაროთ თქვენი მოხერხებული სიმღერით, ანუ კვრით.

V.

სატანცავო საღამოებზე.

ახალ-გაზრდა ხალხის აზრით ტანცავობა თავის უპირატესობით ყველა საზოგადო სიამოვნებას სჯობია. მაგრამ ის მოითხოვს ბევრს სხვა და სხვა წეს-რიგების ცოდნას, რომლების შეუსრულებლობა ანუ თაკილობა ხდის დამნაშავეს ძლიერ უსიამოვნო პირად მთელს საზოგადოებაში. თქვენ მიბრძანდებით სატანცავო საღამოებზე თქვენის სიამოვნებისათვის, მაგრამ არ უნდა დაივიწყოთ, რომ თქვენმა მოქმედებამ უნდა სხვებიც ასიამოვნოს; არ უნდა დაივიწყოთ, რომ მასპინძლებმა მოგიწვიეს თქვენ სტუმრების შესაყოლიებლათ და მაშასადამე, როდესაც მხიარულობთ, უნდა ცდილობდეთ, რომ სხვებიც გამხიარულდენ.

1) ყოველ ტანცაობას უნდა ჰქონდეს უსათუოდ რიგის მიმცემი, რიგის მიმცემათ ამოირჩევენ ხოლმე იმისთანა კაცს, რომელიც ამ საქმეში გამოცდილია. მისი მოვალეობის შესრულება საადვილო საქმე არ არის; ამიტომ, რომ მან წინათვე უნდა იფიქროს, თუ როგორ გაარიგოს ტანცები და მორთოს

ბალი ანუ წვეულობა და წაიყვანოს ეს საქმე ისე, რომ ყველას სიამოვნოს.

კლუბის ბალებში ტანცების რიგი აღნიშნულია ფიცრებზე, რომლებსაც ჩამოჰკიდებენ კედლებზე, ასე რომ თვითეულს შეუძლია შეიტყოს მათი რიგი.

ხანდისხან დიდი ბალების დროს ტანცების რიგს ბეჭდავენ პატარა ქარტებზე და შესვლისთანავე დარბაზში მიართმევენ მათ თვითეულ მანდილოსანს და მოიწვევენ სატანცაოდ. ეს პატარა ქარტა მიტომ არის საჭირო, რომ მანდილოსანი დასწერს მასზე (თვითეული ტანცის გვერდით) თავის კავალერის სახელს, რომელსაც მისცა სიტყვა მასთან ტანცაობისა. ხან კი თვითონ მისცემს კავალერს ნებას, რომ მან თავისი სახელი დაუწეროს მას ქარტაზე.

2) ამ დროს ვაჟებს უნდა ეცვას ფრაკები, ღილებიანი ბატინკები ანუ პოლსაპოშკები, თეთრი ხელთათმანები, თეთრი ჟილეტკები და უნდა ჰქონდესთ თეთრი ყელ-სახვევები. რაც შეიძლება მანდილოსნების მორთულობას, ეს კი დამოკიდებულია მოდაზე. რა მოდაც იქნება შამოღებული ტანცაობის დროს, იმ მოდის მორთულობა უნდა ჰქონდეს მანდილოსანს; მხოლოდ ამ დროს მას უნდა ეცვას თეთრი ფეხსაცმელები.

4) ტანცები ძალიან ბევრნაირია, მით უფრო, რომ ყოველ წელიწადს სულ ახალ-ახალი ტანცები შამოდის. ამ დროში — ბალებში (წვეულებაში) მიღებულია შემდეგი ტანცები; პოლონეკი, ვალსი, პოლკა, კადრილი, პადეკარტი, შაკონი, მინიონი, პადეპატინერ, პადესპან, ვენგერკა და სხვა.

5) ტანცების სწავლა მარტვა სიტყვიერი დარიგებით არ შეიძლება. ვისაც ჰსურს ამათი სწავლა, მას ან თავის სახლში უნდა ჰყავდეს ტანცაობის მცოდნე, რომ მისგან ისწავლოს ან ტანცების მასწავლებელი მონახოს და მისგან გაკვეთილები აიღოს.

6) თვითეული ტანცაობის წინეთ კავალერი მიდის მანდილოსანთან, მსუბუქათ თავს უკრავს მას და იწვევს მას სატანცაოთ. თუ მანდილოსანი ამ დროს სატანცავო დარ-

ბაზში არ იმყოფება და ჰსურს იტანცავოს, იგი ადგება, ართმევს ხელს კავალერს და გაჰყვება მას დარბაზში. თუ მანდილოსანი ამ დროს სატანცავო დარბაზშია, მაშინ იგი, ტანცვის მიხედვით ადგება და ან ხელს მისცემს კავალერს, ან სდებს თავის ხელს მის მხარზე (მაგ. ვალსისათვის).

7) კადრილზე და კატილიონზე მოწვევა უნდა მანამდის, სანამდის მუზიკას დაუკრავდენ და, რასაკვირველია, ამასთანავე კავალერმა უნდა მონახოს თავისუფალი ადგილიც თავის მოპირდაპირესთვის (ვიზავა) და სკამიც თავის მანდილოსნისათვის.

8) თქვენ უნდა ითამაშოთ როგორც უკვეთეს და ძალიან ლამაზ მოცეკვე ქალებთან, ეგრეთვე მათთან, ვინც ბუნებას ვერ დაუჯილდოებია. წინააღმდეგ შეათხვევაში, თუ თქვენ იცეკვეთ მხოლოდ ლამაზ ქალებთან, მაშინ თქვენი მოქმედება იქმნება უკანონო. მიტომ, რომ ისინი ნამეტანის თაყვანისცემით საზოგადოთ გადიდგულებულნი არიან და იგინი ყოველს სიამოვნებას ღებულობენ ვაჟ-ბატონებისაგან ისე, როგორც ნამდვილ ნასესხებ რაიმეს, მაშინ როდესაც რომ ბუნებისაგან დაჩაგრული ქალები, როგორც კი შენიშნავენ თავის ნაკლულევანებას, შეიქნებიან მოწყენილნი. თუმცა ამხანაგობაში კავალერებმა ხშირად იციან ერთმანეთის დაცინვა, მაგრამ თქვენ არ უნდა შეგეშინოსთ ეგრეთი დაცინვის და თამამად უნდა გამოითხოვოთ როგორც ლამაზი, ის ნაკლები თვალადი ქალი. ამითი თქვენ დიდ პატივსა სცემთ როგორც თქვენს მასპინძელს, ეგრეთვე იმ მანდილოსანს, რომელსაც თავისი თავი ბუნებისაგან დაჩაგრულათ მიაჩნია.

გასათხოვარმა ქალებმაც ეგერთვე თავმდაბლობა უნდა გაუწიოს იმ მოცეკვე ვაჟებს, რომლებიც ვერ არიან კარგი მარჯვე და მოხერხებულნი, გამოიჩიონ იგინი და მათი უშნოება თავისი საკუთარი სიმარჯვით გაასწორონ. ერში გამოსაჩენი გასათხოვარი ქალი როგორც კი შეატყობს კავალერს მორცხობას, მაშინვე ეცდება მოეპყრას მას რბილათ და გაათამამებს მას.

9) როდესაც თქვენ გსურთ, რომ სატანცავოდ გამოიწ-

ვიოთ მანდილოსანი ანუ გასათხოვარი ქალი, უნდა მიბრძანდეთ მასთან, თაყვანი სცეთ მას და წარმოსთქვათ შემდეგი სიტყვები: „ნება გვიბოძეთ ქალბატონო, გვქონდეს პატივი მოგიწვიოთ კადრილზე...“ თუ თქვენგან გამორჩეული მოცეკვე ქალი თქვენი ნაცნობია, მაშინ შეგიძლიათ მოახსენოთ უბრალოდ: „უარს ნუ მიყოფთ მე, რომ ვისიამოვნო თქვენთან კადრილის თამაშით.

10) გასათხოვარი ქალი, როდესაც ერთსა და იმავე დროს გამოიწვიეს რამოდენიმე კადრილზე, უნდა ეცადოს, რომ დაინახოვლოს თავისი კავალერები, რომ არავის არ შეახვედროს უსიამოვნება და ამნაირად თვითან არ გახდეს შფოთის მიზეზათ, რადგანაც არა ერთ გზით უნახავთ მაგალითი, რომ ამისთანა ხუმრობებში საქმე სისხლის ქცევით გათავებულა ხოლმე. ამ ნაირად შფოთის მოსარიდებლად მიღებულია დიდ წვეულებაზე პატარა ქარტები, რომლების შესახებ ზევით მოხსენებულია და რომლებზედაც დასწერენ კავალერის სახელებს. მაგრამ თუ დაბეჭდილი ქარტა არ დაარიგეს, საჭიროა, რომ როგორც გასათხოვარმა ქალებმა, ისე მანდილოსნებმა მზათ იქონიონ ბალისათვის პატარა წიგნები, რომლებშიდაც ჩასწერენ მოცეკვე ვაჟების სახელებს და მათ რიგს. თუ გასათხოვარ ქალს დაებნა უნებურად კადრილების წესი და დაჰპირდა ორ კავალერს ერთისა და იმავე კადრილის თამაშობას, მაშინ სჯობს, მან მოიგონოს დაღლილობა, კადრილს თავი დაანებოს და მასში მონაწილეობა აღარ მიიღოს. მაშინ მისი კავალერები მთელი კადრილის თამაშის დროს მასთანავე დარჩებიან და შეიყოლიებენ მას თავისი მხიარული და მახვილ-გონივრული მუსაიფით. მხოლოდ ეს შემთხვევა ნებას აძლევს კავალერს, რომ მასპინძელ ქალს უარი განუცხადოს და შეორე ქალი სატანცავოდ არ ამოირჩიოს და არც იტანცავოს. მაგრამ თუ მას მაინდამაინც ჰსურს ტანცავობა სხვა ქალთან, მაშინ წინდაწინ ნება უნდა გამოითხოვოს იმ ქალისგან, რომელმაც დაჰკარგა კადრილი და, ნების მიღების შემდეგ, იტანცავოს სხვა მანდილოსანთან. კადრილის დაკარგვისათვის გასათხოვარი ქალი არ უნდა სწუხდეს.

11) რაც უნდა კარგი, მარჯვე და სატრფო არ იყოს თქვენი მოტანცავე ქალი, შეიკავეთ თავი, რომ ძალიან ხშირათ არ გამოითხოვოთ იგი სატანცავოდ, ამიტომ, რომ ეგრეთი უპირატესობა შენიშნული იქნება სხვებისაგან და გახათხოვარ ქალს სახელი დაუვარდება; მაშინ, როდესაც რომ კეთილ-ზრდილობიანი ვაჟი ყოველთვის ცდილობს, რომ თავისი მოქმედებით, მოვლით და საზოგადოდ, ნამეტანის უკან დევნილით სეპუტაცია (სახელი) არ წაუხდინოს გასათხოვარ ქალს. ეგრეთვე თუ გასათხოვარი ქალიც შენიშნავს, რომ მისი კავალერი, რომელიც მასთან ტანცაობდა, ნამეტანად ახშირებს მის წვევას სატანცავოდ (ასე რომ იქ მყოფნი პირნი იწყებენ ნიშვნას ეგრეთი უპირატესობისას, მაში სჯობს, რომ მან უარი განუცხადოს დაღლილობის გამო და სთხოვოს ზრდილობიანი სიტყვებით, რომ მან კავალერმა ეხლა სხვა ქალი გამოირჩიოს საცეკვავოდ. თუ გასათხოვარი ქალი ამ დროს გაჩერდა თავის ამხანაგ ქალებში, ეს კიდევ უკეთესი იქნება; ამიტომ, რომ მათში ყოფნა უფრო ადვილათ შეაჩერებს კავალერის დაჯინებულ თხოვნას. როდესაც ქალი ამ დროს უარს განუცხადებს ვაჟს, მაშინ მას არა აქვს ნება, რომ იმ თამაშშიდ სხვა კავალერთან იტანცავოს.

12) როცა მოიწვევთ ყმაწვილ ქალს სატანცავოდ, ან დარბაზში გასავლელათ, ზრდილობა მოითხოვს, რომ წაიყვანოთ იგი ხელ-ქვეშ (подъ руку), მაგრამ მანდილოსნის ხელი უნდა ნელა იყოს შეხებული თქვენს სახელოზე და არ შეადგენდეს, როგორც სეირნობის დროს, რგოლს.

13) გააცილებ თუ არა თავის მანდილოსანს უწინდელ ადგილზე, კავალერი ან დაუკრავ მას თავს და მოშორდები, ან ჰკითხავთ: ჰსურს თუ არა მათ რაიმე ხილეულობა ან ლიმონათი და თუ ჰსურთ, რიგია დააკმაყოფილო მისი სურვილი.

თუ ის თქვენი რამოდენიმეთ ნაცნობი ქალია, შეგიძლიათ, რომ რამდენიმე წამს მოკლე მუსაიფიც განაგრძოთ მასთან დაბალის ხმით; მაგრამ ამ შემთხვევაში კავალერი იმ ნაირად უნდა იჯდეს, ან იდგეს, რომ თავის ქალს არ ჰფარავდეს

და სხვა მოტანცავე ვაჟებს არ უშლიდეს თავისუფლად მასთან მოსვლას. ამისთანა უმარჯვეობისაგან ხშირათ მოხდება ხოლმე, რომ ქალმა გამოსტოვოს კადრილი, ან ვალსი.

საზოგადოდ, თუ ყიაწვილ კაცს არა ჰსურს ტანცაობა, მხვებს მაინც არ უნდა შეუშალოს ხელი.

8) როდესაც ვალსს თამაშობთ, ეცადეთ, რომ თქვენი ქალი მაგრა ხეჭიროსთ, რომ არ წაიქცეს, მაგრამ ნამეტანად ნუ მოიახლოვებთ თქვენთან, საკმაო მისი ხელი გეკავოსთ მაგრად გულთან, ტანი და მხრები კი უნდა იყვნენ სრულიად თავისუფალნი

9, როცა გასათხოვარი ქალი კავალერიანად დაბრუნდება თავის ადგილზე, მაშინ მას, კავალერს, მადლობა უნდა გადუხადოს, მაგრამ არ უნდა მიაბაროს შესანახავად თავისი მარაო (ვეერი), ცხვირსახოცი, თაიგული, ფლაკონი და სხ.; ამიტომ, რომ ეს იმისი ნიშანი იქნება, ვითომც გასათხოვარი ქალი სთხოვდეს იმ კავალერს, რომ სულ ჩემთან დარჩიო. და ამისთანა მოქმედება კი ცუდად გამოაჩენს გასათხოვარ ქალს ვაჟის თვალში ცოტა ლაპარაკი ამ დროს შეიძლება.

10) ზოგიერთ ყმაწვილ ქალებს სხვების გაკიცხვა, დაცინვა და საზოგადოდ, ბოროტ-ენაობა დიდ სიბრძნედ მიაჩნიათ, მაგრამ ეს სიბრძნე კი არა, დიდი ნაკლულევანებაა. კეთილად აღზრდილი გასათხოვარი ქალი მაგისთანა დაცინვაში მონაწილეობას არ მიიღებს. უნდა იცოდეთ, რომ ის პირნი, რომლებიც თქვენთან ზურგს უკან სხვებს დასცინიან, უსათუოდ თქვენაც დაცინვას დაგიწყებენ შემდგომში, რა კი მათ მოსცილდებით.

11) ხანდისხან მოხდება ხოლმე, რომ მოურიდალი და უზომოთ გამომცდელი სტუმარი მოინდომებს გაიგოს თქვენგან, მხიარული ბრძანდებით, თუ არა, ამ წვეულებაზე? თქვენ მასპინძლის პატივისცემისათვის ეცადეთ, რომ თავი მხიარულად უჩვენოთ მას და უპასუხეთ, რომ დროება გაატარეთ ერთის სიტყვით დიდის სიამოვნებით, რომ ყოველისფერი მშვენივრად იყო და რიგიანად დაწესებული და მასპინძლებიც მეტის-მეტად დასავალებულნი არიან. ეგრეთი თქვენი პა-

სუხი შეაჩერებს ყოველ კრიტიკას და მკილავი სტუმარი მოგ-
შორდება; შეიძლება, რომ თავის გუნებაში პატარა ფარისევ-
ლობა შემოგწამოს, მაგრამ ამაზედ ნუ შესწუხდებით, რადგა-
ნაც იმნაირ გამოსაცდელ კითხვას, ეგრეთი პასუხი შეეფერება.

12) როცა მოგართმევენ ჩაის, სასმელებს ანუ დესერტს
(ხილეულობას), აიღეთ და მიირთვით, თორემ თქვენ მიგიღე-
ბენ იმ ნაირ პირად, რომელსაც არ უნახავს კარგი საზოგა-
დოება. ეგრეთ შემთხვევაში სტუმრებსაც თქვენზედ ექმნებათ
ყურადღება მოქცეული და უარის თქმით მასპინძლებსაც შეა-
წუხებთ და ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ ეგრეთი შეწუხება მა-
სპინძლების არის უზრდელობა.

13) თქვენ რაც უნდა მოწყენილი არ იყოთ წვეულებაზე
უნდა ეცადოთ, რომ მოწყენა არავინ შეგატყოსთ: ეცადეთ,
რომ სატანცავო დარბაზიდგან გამოხვიდეთ შეუნიშნავად; თუ
მაინდამაინც იძულებული ხართ, რომ თავი დაუკრათ ოჯახის
უფროსებს, გამოეთხოვეთ მათ მხიარულად; მოახსენეთ მად-
ლობა თქვენი გამხიარულების სურვილისთვის. თუ რაიმე უსი-
ამოვნობა მიიღეთ, უცხო პირებთან ნურას ეტყვით მასპინძ-
ლებს მის შესახებ და ნუ გახდით მათ მეპასუხედ მოტყუებუ-
ლი იმედის, ანუ უსიამოვნობის მიღების შესახებ. ამისათვის
არის მეორე დღე და სამოქალაქო ფოშტა: შეგიძლიათ მეორე
დღეს პირადათ ანუ წერილით გამოელაპარაკოთ ოჯახის უფ-
როსებს, თუ თქვენ მათ ხდით მეპასუხედ იმ უსიამოვნების
შესახებ, რომელიც წინა ღამეს მიგიღია. მაგრამ ყველაზე უმ-
ჯობესი იქნება, რომ რადგან სიამოვნების მაგივრად უსიამოვ-
ნება შეგახვედრეს, სრულიად დაანებოთ თავი იმ ხალხში სი-
არულს და ამით აიცილეთ ხელმეორედ უსიამოვნების მი-
ღება.

14) დიდ სატანცავო საღამოებზე, სადაც ყველა სტუმ-
რები ერთმანეთს იცნობენ, გასათხოვარ ქალს შეუძლია იტან-
ცაოს გაურჩეველად ყოველ კავალერთან და ოჯახის უფროსი
ქალი ან რიგის მიმცემი არ აშრომოს მოტანცავე ვაჟის წარ-
დგენით. მაგრამ პიკნიკებში, კლუბებში და დიდ ბალებში,
მოტანცავე ვაჟი უსათუოდ რიგის მიმცემმა ან მასპინძელმა

უნდა წარუდგინოს ქალს, ისეც მაშინ, თუ კავალერს აქვს იმედი, რომ ითამაშოს მასთან კადრილი, ვალსი, პოლკა. რაც შეეხება მაზურკას და კატილიონს, ეს ორი ცეკვა გაგრძელებულნი არიან და მაშინ ითამაშებს ვაჟი და ქალი, თუ ისინი არიან ძლიერ დაახლოვებულნი და ადრიდგანვე გაცნობილნი.

15) თუ გასათხოვარმა ქალმა უარი განუცხადა ტანცორ ვაჟს კადრილში იმ მიზეზებით, ვითომც რომ იგი სხვისგან იყოს მიწვეული კადრილზე, ზრდილობა მოითხოვს, რომ ვაჟმა ჰკითხოს მას, თვლით რომელი კადრილი შეუძლია, რომ წინადაუდვას მას და, პასუხის მიღების შემდეგ, დაიწიოს უკან. ამ კითხვის მიუცემლობა ითვლება უზრდელობად, ვინაიდგან მოხდება, რომ მისი აგენდით თავისუფალი კადრილის განმავლობაში არც ერთმა სხვა კავალერმა აღარ გამოიწვიოს იგი სატანცაოდ და თქვენ კი დაიწყოთ ტანცავობა სხვა მანდილოსანთან და მაშასადამე დასცინოდეთ მას, რომ იგი მარტო ზის და არავისთან ტანცაობს.

16) ზრდილობა მოითხოვს, რომ თავის მოპირდაპირეთ (визава) უნდა ამოირჩიო სხვა ვინმე თავისი ქალის თანხმობით; ეგრეთვე თუ იგი არ დათანხმდა, ისე არ უნდა ამოირჩიო მისი ძმა, ან ქმარა.

17) ხანდისხან მოხდება ხოლმე, რომ ერთსა და იმავე დროს ორი კავალერი ერთსა და იმავე ქალს გამოითხოვენ ხოლმე; მაშინ ქალზე ჰკიდია, თუ რომელთან ითამაშოს, მაგრამ რომ ეგრეთმა მოქმედებამ ის კავალერები ერთმანეთს არ გადაამტეროს, სჯობს მანდილოსანმა პატარა ტყუილიც იხმაროს და განუცხადოს ორივეს, რომ იგი მიწვეულია სხვასგან. ზოგიერთნი ახალგაზრდა ქალები ძალიან მარჯვეთ იქცევიან ამ გვარ შემთხვევაში მით, რომ გამოსკვნიან თავის ცხვირსახოცის ყურს. შემთხვევა გადასწყვეტს, თუ რომელთან უნდა ითამაშოს ქალმა და კავალერებში განაქარვებს ყოველ უკმაყოფილებას.

თუ ვაჟი ძალიან ზრდილობიანია, ამ შემთხვევაში დაუთ-

მობს ქალს, რო მან თვითონ ამოირჩიოს ის, ვისთანაც ჰსურს ტანცავობა.

18) კადრილების წესი რომ არ აირიოს, და კავალერებს რომ თავისი მოცეკვე მანდილოსნები საძებნათ არ გაუხდეს, საჭიროა, რომ ისინი ძალიან არ მოშორდენ სატანცავო დარბაზს და უნდა დაბრუნდენ დარბაზში მაშინვე, როგორც კი რიტურნელს გაიგონებენ, რომელიც იწვევს მოტანცავე წყვილებს სათამაშოთდ.

19) მოწყენილი სახე და ჩუმობა ბალზე, საღამოებზე საზოგადოთ ყოველ გამამხიარულებელ შეკრებილებიდგან უნდა იყოს განდევნილი გარეთ, თუმცა კი რასაკვირველია უგნურად ლაპარაკს ისევე გონივრული ხმის ამოუღებლობა სჯობია.

20) თუ გინდა, რომ „სული და გული“ იყო საზოგადებისა, ეცადე, რომ სულ ყველა შეიყოლიო, ყველას ასიამოვნო და სხვებისთვის შენი თავი დაივიწყო.

21) რაც უნდა მეგობრული საღამო იყოს გამართული, უნდა ეცადოთ, რომ თავი არ გამოისახო მასხრად, რომელიც შეასრულებს ბევრნაირ თავის დასამდაბლებელ მოქმედებას მხოლოდ იმ განზრახვით, რომ სხვები აცინოს. შასხარაობა არასოდეს არ ესიამოვნება კეთილად აღზრდილ ყმაწვილ ქალს.

22) ბალზე ხელ-ჯაგებს არ იძრობენ. შიშველი ხელები უნდა გქონდეს მხოლოდ ვახშმობის დროს.

23) ბალიდგან წასვლა შეგიძლიათ ყოველთვის, როდესაც კი ინებებთ და ეს მოხდება ხოლმე სახლის პატრონისაგან მალვით, რომ ისინი არ მოაცდინო სხვა სტუმრებს; მაგრამ როდესაც თქვენ დასტოვებთ ბალს (ლხინს) ისე ნამალევად, მაშინ ორი დღის შემდეგ უნდა გაუკეთო სახლის პატრონს დილის ვიზიტი და კმაყოფილებისათვის მადლობა გადაუხადოთ.

VI.

საღამოს დროის წვეულება (вечеринка).

ჩვენ განვიხილეთ სამნაირი შეკრებილება: რაუტი, კანცერტი და ბალი; განვიხილეთ, რომ ისინი მოითხოვენ ეტიკეტის საკუთარ წესებს, რომლების უცოდნელობა შეამთხვევს ყმაწვილ კაცებს მრავალგვარ უსიამოვნებას და შფოთს.

ეხლა ჩვენ დაგვრჩება კიდევ სათქმელი საღამოს დროს წვეულებაზე, რომელსაც რუსები ეძახიან „на чашку чая", სადაც ბევრი ცერემონია არ მოითხოვება; რაც შეეხება ზრდილობას, იგი, რასაკვირველია, ყოველ საზოგადოებაში უნდა იყოს დაცული.

საღამოს დროს წვეულება შეადგენს სასიამოვნო დასვენებას დღიური შრომის შემდეგ თვითეული სტუმრისათვის; აქ მასპინძელ ქალს შეუძლია სტუმრებს გამოურჩიოს რაიმე თამაშობა, და იგინი უარს ვერ განუცხადებენ მას; აქ ყველა თავს იყოლიებს მითი, რაც მას ესიამოვნება: ზოგნი სტოლს შემოუსხდებიან ბანქოს თამაშობენ, ზოგნი ფორტოპიანს უკრავენ, ზოგნი ვალსს და პოლკას თამაშობენ, მანდილოსნები ერთმანეთს ჭორებს უყვებიან და ხანდისხან იმ ჭორებში მართალსაც გამოურევენ. კარგი მოამბე თავის გრულშამო აგროვებს ამხანაგებს და ამბვებს უყვება, სხვები კი ისმენენ, ეთანხმებიან, ან არ ეთანხმებიან; თვითეული მსმენელი თავის აზრს ამბობს, მახვილ გონიერება და სიტყის ნიჭი ერთმანეთთან ბრძოლაში შედიან და ამასობაში დრო შეუნიშვნელად და მხიარულად მიჰქროლავს.

1) თქვენ თუ გრძობთ თქვენს თავს უძლებად, დაღლილად და გლახა გუნებაზე, სჯობს, რომ სტუმრად არსად წახვიდეთ. თუ სტუმრად ვისმესთან მიდიხართ, თქვენ უნდა მიიღოთ მხიარული და სასიამოვნო შეხედულობა, შესაფერი იმ კეაყოფილებისა, რომელიც თქვენ მიგელისთ.

2) თუმცა ეგრეთ შეკრებილებაში ეტიკეტი ძლიერ გაადვილებულია და ცერემონიის ხასიათს სრულიათ ჰკარგავს,

მაგრამ თავისი შლიაპის დაგდება დივანზე და ოთახში უთათ-მანოთ შესვლა ყველგან და ყოველთვის უზრდელობათ ითვ-ლება.

3) დაჯდომა შეიძლება გაურჩეველად სკამზედ, სავარძელ-ძელზედ (კრესლოზე) და დივანზედაც, მაგრამ ფეხები იატაკზე არ უნდა გაჭიმო და ცუდათ არ გაიშხლართო, ეგრეთვე თა-ვი დივნის ბალიშს, ან კრესლოს ზურგს არ მიაჭიროთ, თო-რემ ეგრეთი თქვენი მანევრები არ ესიამოვნება იქ მყოფ პი-რებს.

4) თქვენ შეგიძლიათ, რომ ძალიან კარგ საზოგადოება-შიდაც შეჰხვდეთ ხოლმე იმისთანა პირებს, რომლებს ძლიერ უყვარს ორატორობა, მჭევრ-მეტყველობა და დოკტორულის კილოთი გამოთქმა თავის აზრების, ვითომც რომ მისი აზრები შეადგენდენ უტყუარს და უსაცილო ჭეშმარიტებას. ამისთანა პირები ძლიერ სასაცილონი არიან, მაგრამ მათი ადავება არ არის რიგი, რადგანაც ისინი, რაც უნდა ბევრი დამტკიცება არ წარმოუდგინო, მაინც არ დაგეთანხმებიან, თავისას დაი-ჯინებენ და უზომოდ გაგულისდებიან ხოლმე. როდესაც სტუმრები შენიშნავენ, რომ მოლაპარაკე ძალიან ფიცხდება და მის ლაპარაკს მოსდევს ჩხუბი, მაშინ რიგია, რომ სხვა სა-განზედ ჩამოუგდონ ლაპარაკი, ანა და მოშორდენ მას. ასე უნდა მოიქცე თქვენ მასპინძლის პატივისცემისათვის, რომელ-თანაც თქვენ სტუმრად ბრძანდებით.

5) თქვენ თუ შენიშნოთ, რომ მოლაპარაკეს ცხადათ ჰსურს ვინმეს გინება ან დაცინვა, ეცადეთ, რომ არ გიმოიჩი-ნოთ ღიმილი, რადგანაც ეგ არ ესიამოვნება მას, ვისაც დას-ცინიან. ამ გვარ შემთხვევაში ან მოშორდებიან მკიცხავ მო-ლაპარაკეს, ან მიიღებენ ცივს შეხედულობას; რომ ამითი უჩვენონ მას სრული უსიამოვნება მისი მუსაიფის შესახებ.

6) როდესაც თქვენ ეცნობებით რომელიმე სახლს, და-ისწავლეთ წინდაწინ იმ ოჯახის მთელი ისტორია, მათი ხასი-ათი, მათი ავი და კარგი, ამიტომ რომ ეს ძლიერ საჭიროა თქვენთვის მომავალში.

7) თუ ოთახში ხურდება ბუხარი, ან ფეჩი, ნუ დაუწ-

ყებთ ნაკვერცხლებს მაშათი ქექას, ან ჯოხით ჯირკვებს ჩიჩ-ხინს. ეგრეთვე მასპინძლის ნება დაურთველად მიხურულ ფან-ჯარას ნუ გააღებთ და გაღებულს ნუ მიხურავთ, მის ბაღში ყვავილებს ნუ სწყვეტთ, როიალს ან სხვა საკრავ იარაღს ნუ დაუკრავთ, ნუ შეეხებით ხელით სხვა და სხვა ნივთებს, რომ-ლებიც აშვენებენ მასპინძლის სტოლებს და ეტაჟერკებს.

8) უცხო პირთან უნდა მიიქცეთ სიტყვით; „თქვენ“, სიტყვა „შენ“ ეთქმის ერთ ოჯახის შვილებს და ერთად გაზრ-დილ ამხანაგობაში. კაცი რომ ერთი კვირის გაცნობილი გყავდეს, მას არ ეთქმის სიტყვა: “შენ“.

9) მსმენელებს შეგიძლიათ გადასცეთ ის ამბავი (ან ცუ-დი ხმა), რომელიც თვითონ თქვენის თვალით გინახავთ და არასოდეს არ აჩქარდეთ იმის გადაცემას, რაც სხვისგან გაგი-გონიათ, მით უფრო, თუ ეს ცუდი ხმა შეეხება ქალს, რად-განაც ეგრეთ მოქმედებას ხშირათ მოსდევს შფოთი.

10) თქვენ როდესაც იმყოფებით სამეგობრო საღამოებზე, უნდა მიიღოთ ცოცხალი მონაწილეობა ლაპარაკში; თუ ოჯა-ხის უპროსი სამხედრო კაცია, უნდა დაუწყოთ მას საუბარი ჯარიანობაზე, თუ სამოქალაქო სამსახურისაა, მას მოქალაქურ სასარგებლო საქმიანობაზე; თუ მოხუცი ქალია, იგი დაწვრი-ლებით მოგიყვება თავის სისუსტეს, უძლურებას და მით შე-გიყოლიებს; ბოვშები კი გიჩვენებენ თავიანთ სათამაშოებს და გადაგეკიდებიან, რომ მონაწილეობა მიიღოთ მათ თამაშში; ზოგიერთ ოჯახებში ბავშები ნამდვილი მწვალებელნი არიან სტუმრებისათვის, მაგრამ ზრდილობა მოითხოვს, რომ გმირუ-ლი მოთმინება იქონიოთ მათ შესახებს: არავინ შეგატყოს უკმაყოფილების ნიშანი, რომ ამით არ აწყენიოთ მათ მშობ-ლებს.

11) ეს მეგობრული საღამოები მოითხოვენ უფრო ცოტა კეკლუცობას, ვიდრე მრავალ-ხალხოვანი შეკრებილება; მხო-ლოდ ტანისამოსი, ხელ-ჯაგები, ფეხსაცმელი და საცვალი უნდა გქოდესთ სუფთა და თუგინდ ძველებიც იყვნენ, არა უჭირს რა. აქ ყველა მიდის მიტომ, რომ მეგობრებთან დროება გაატაროს და არა მიტომ, რომ იგი გაშინჯონ. აქ უფულობა

არ არის ნაკლულევანებად ჩასათვალი და ამიტომ ძალიან საჭესაცილო არიან ისინი, ვინც თეატრში წასასვლელად ფულს სესხულობენ და შემდგომ კი გადახდა უჭირთ, ანუ ნათხოვლობენ ოქროს საყურეებს, მაშინ, როდესაც ყველამ იცის, რომ მათ ეგრეთის ოქროს საყურეების ყიდვა თავის საკუთარი საშვალებით არ შეუძლიათ. კაცი უნდა იყოს კეთილზრდილობიანი გრძნობით და ხასიათით და არა მარტო გარეგანი ფორმით, ე. ი. ტანისამოსით.

12) სტუმრიანობის დროს გასათხოვარი ქალები უნდა უფრთხილდენ ნიშნებით ანუ ფუჩუნით ლაპარაკს, ნახევარის სიტყვით რაიმეს მიხვედრებას, სხვების ზურგს უკან სახის ჩამოფარებას და ისე სიცილს. ეგრეთი ხერხიანობა გამოაჩენს ყმაწვილ ქალს უზრდელად და ადვილი შესაძლებელია, რომ ამისთანა მათი მოქმედება სტუმრებმა თავის თავზე ლანძღვათაც მიიღონ.

13) კოცნა, გაგრძელებული და ძლიერ მაგრად ხელის ჩამორთმევა ითვლება უზრდელობათ ძალიან ახლო საზოგადოებაშიდაც. ამათთვის არის სხვა დრო და სხვა ადგილი ეგრეთი მოქმედება არის უზრდელობა არამც თუ ვაჟსა და ქალს შორის, არამედ თვითონ გასათხოვარ ქალებშიდაც.

14) საზოგადოდ რომ ვსთქვათ; თამაშობის მოსიყვარულე პირნი ცოტანი არიან, მაგრამ თუ მაძპინძელმა ქალმა გთხოვა თქვენ გართობა რომელიმე მათგანით, თქვენ უნდა ეცადოთ, რომ მონაწილეობა მიიღოთ მასში; წინააღმდეგ შემთხვევაში, უარის თქმით თქვენ შეგიძლიათ დაიმსახუროთ უკოდინარი კაცის სახელი.

რომ რამოდენიმეთ დაიცვათ თავისი ღირსება, შეგიძლიათ ღიმილით განუცხადოთ მათ, რომ თქვენ სრულიად მზათ ხართ, რომ საზოგადო კმაყოფილებას თანამოქმედათ გაუხდეთ, მაგრამ არა გაქვთ იმედი, რომ წინადაგებული თანამდებობა შეასრულოთ რიგისამებრ.

ეგრეთი მოხერხების შემდეგ, გამოცდილი მოთამაშენი მიგიღებენ თქვენ ახალ მოთამაშეს — თავის მფარველობის ქვეშ და შეცდომამდის აღარ მიგიშკებენ.

15) როდესაც კავალერი გამოითხოვს ყმაწვილ ქალს საცეკვოდ, ან სხვა თამაშობაში, ამ უკანასკნელმა არ უნდა დაიწყოს ტანში ნამეტანად გრეხა-პრანჭვა, თორემ ეგრეთი მოქმედება არის ნამეტანი თავმოწონების და კეკლუცობის ნიშანი. ამ შემთხვევაში ვაჟი ან სულ მოშორდება მას ან ნებას მისცემს თავის თავს მოეპყრას მას რამოდენიმეთ უფრო თავისუფლად და ეს არარის კარგი.

16) საღამოს დროის წვეულებაზე (вечеринка) კავალერები ტანცაობენ ყველასთან გაურჩევლად, და ოჯახის უფროსი ქალი არ საჭიროებს წარუდგინოს ეგინი ყმაწვილ ქალებს, თუ მან არ შენიშნა, რომ რომელი მათგანი მოწყენილად ზის და დიდი ხანია, რაც არ ტანცავობს.

VII.

ჩ ა ი.

როდესაც ოჯახის უფროსი ქალი მოელის ჩაიზე მიპატიჟებულ სტუმრებს, ის დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მისი სამოვარი გაწმენდილია, სტაქნები, ჩაშკები, კოვზები და სხ. გასუფთავებული. რუსეთში მიღებულია, რომ თუ სტუმრები ცოტაა, მაშინ ჩაის მიირთმენ სტოლის გასაშლელ ოთახში. სტოლის ერთ ბოლოში, რომელსაც გადაფარებული აქვს თეთრი სუფრა, სდგამენ სამოვარს და იმის გვერდით, ოჯახის უფროსი ქალის წინ, ტაბაკს (პადნოსს) ჩაშკებით და სტაქნებით. პატარა საინებზე აწყობენ დაჭრილ ხაჭაპურებს, მათ შორის ნალბაქებზე დაჭრილ ლიმონს, მოიტანენ კარაქს, ნალებს; იქვე გვერდში უდგამენ გრაფინკებს რომით და კონიაკით. სდგამენ პატარა საინებს, რომლებზედაც დაწყობილია მორჩილი ხელსახოცები.

პირველ ჩაშკებს ან სტაქნებს შამოატარებენ ლაქიები; შემდეგ კი, თუ სტუმრები ცოტაა, მასპინძლის ქალიშვილები, ან ვაჟები, რომლებიც, შეხედავენ რა თქვენს წინ ცალიერ სტაქნებს ან ჩაშკებს, მიუტანენ მათ ოჯახის უფროს ქალს.

თუ ამ უკანასკნელს მოზრდილი ქალიშვილები ჰყავს, სტუმრებისთვის ჩაის დასხმას მათ მიანდობს. თუმცა ეს საძნელო საქმე არ არის, მაგრამ რაც უნდა იყოს, საჩაე სტოლზე თავმჯდომარეობა მოითხოვს რამდენიმე სიმარჯვეს, რომლის შეძენისათვის საჭიროა მიჩვევა. ჩაის დამსხმელმა ჩაშკები და სტაქნები თავამდის არასოდეს არ უნდა გაავსოს. მასპინძელი ქალის და მისი შვილების მევალეობა მდგომარეობს მასში, რომ მიაწოდონ, ან შეაძლიონ სტუმრებს ნაღები, ხაჭაპური და სხვა.

ხანდისხან, როცა სტუმრები ძალიან ბევრია, საზოგადოება განიყოფება რამოდენიმე ჯგუფათ: ახალგაზდები გავლიან სტოლის გასაშლელ ოთახში, მეორე ნაწილი სტუმრების დარჩება სასტუმროში, ვაჟ-კაცები კი ოჯახის უფროსთან კაბინეტში. ამ შემთხვევაში თვითეულ ჯგუფს ჩაი მიერთმევათ ლაქიის ხელით, რომელიც მიიტანს სტუმრებთან ტაბაკს (პადნოსს) სტაქნებით, ჩაით, ლიმონით და სხ.

თქვენ თუ ჩაის დროს არ უზიხართ სტოლს და ისე მოგართვეს ჩაი, მაშინ თქვენ დაიფენთ მუხლებზე პატარა ხელსახოცს, მასზე დასდებთ პურის ნაჭრებს და ჩაის ისე მიირთმევთ. როცა ჩაის სმას გაათავებთ, სტაქანი ნალბაქით და ხელსახოცით უნდა გადასცეთ იქვე მდგომარე ლაქიას; თუ ის არაარის იქ, ამათ ყველას დასდგამთ იქვე სტოლზე.

სულის ბერვით ჩაის გაცივება მიღებული არ არის.

ჩაის დრო არის საღამოს 8 საათიდგან 11 საათამდის, ამაზე უფრო ადრე, ან გვიან მოსვლა ჩაიზე ურიგობაა.

წარდგენა როგორც საღამოებზე ისე ბალებზე აუცილებელია; სტუმრები სახლის პატრონმა უნდა გააცნოს ერთმანეთს. თუ სტუმრები სახლის პატრონმა ერთმანეთს არ გააცნო, ანუ თუ ერთმანეთს თავიანთი გვარი მათ არ უთხრეს, მიღებული არ არის, რომ მათ ერთმანეთს ლაპარაკი დაუწყონ. ბალზე (წვეულებაში) ვაჟს სრულიად არა აქვს ნება, სატანცავოდ გამოიწვიოს მანდილოსანი, თუ იგი წინდაწინ არ გააცნეს.

VIII.

მსახური.

კარგი კილო მოითხოვს ჩვენგან, რომ ზრდილობიანათ ვეპყრობოდეთ არამც თუ ჩვენზე უფროსებს, ანუ ტოლებს, არამედ ჩვენზე უმცროსებსაც. ამ უკანასკნელებს ყველაზე უწინ ეკუთვნიან მსახურნი, რომლებთან ოჯახის უფროს ქალებს ხშირად შეხვდება ხოლმე შეტაკება, და უმეტეს ნაწილად ეს საჩივრები მართალია, მაგრამ ამაში ოჯახის უფროსი ქალები თვითან დანაშაურნი არიან: ზოგნი მათგანნი მსახურებს ეპყრობიან ძლიერ ფიცხლად, ზოგნი კი არ მოითხოვენ ხოლმე მათგან თავის მოვალეობის კარგათ შესრულებას, ამ-ხანაგათ იხდიან მათ და ამითი თვითონვე უფუჭებენ მათ ხასიათს.

მსახურის ცოტა შეცდომა ან გულმავიწყობა ოჯახის უფროსმა ქალმა არ უნდა ჩაუთვალოს მას ძლიერ დიდ დანაშაულობათ. ეგრეთ შემთხვევაში საყვედური, რასაკვირველია, საჭიროა, მაგრამ საყვედურის გამოცხადება მსახურს უნდა ცალკენ, რომ მესამე პირს ეს საყვედური არ ესმოდეს.

თქვენს მსახურს ერთხელავე უნდა ჩააგონოთ, რომ იგი ემორჩილებოდეს ოჯახის უფროსს და ასრულებდეს მის ბრძანებას. ცოლმა და ქმარმა მსახურთან არ უნდა დაიწყოს დავობა მის შესახებ, ან საოჯახო საქმეებზე. ამიტომ რომ როდესაც ცოლ-ქმარი ეგრეთ დავობას გააგონებს მოსამსახურეს, ის აღარაფრად არ ჩააგდებს ოჯახის უფროს ქალს და მის ბრძანებას აღარ შეასრულებს ისე, როგორც რიგია; მაშინ როდესაც რომ ოჯახის უფროსი ქალი უნდა ასწავლიდეს მას სისუფთავეს, წესიერებას, ოჯახში საქმის კეთებას და ხელზე საქმსახურსაც.

როდესაც ოჯახის უფროსი ქალი დაუნიშნავს მსახურს რომელიმე შინაური საქმის გაკეთებას, მან ნამდვილათ უნდა უჩვენოს, თუ როგორ გააკეთოს და პირველად ჰკითხოს, გაიგო თუ არა მან იგი და, თუ საჭიროება მოიითხოვს, ერთხელ

კიდევ აუხსნას და მერე მიუშვას საქმეზე გასაკეთებლათ. ამ შემთხვევაში მსახურს მის თანადაუსწრებლად შეუძლია საქმის შესრულება.

სტუმრები მსახურს ხელს არ ჩამოართმევენ. ეგრეთვე არც მსახურებმა უნდა დაუწყონ ლაპარაკი სტუმარს.

ბავშები უნდა ეუბნებოდეს მსახურს: „თქვენ". ეგრეთვე უნდა ვასწავლოთ ბავშებს, რომ ისინი თავაზიანათ ეპყრობოდენ მსახურს; არაფერს არ უბრძანებდენ მას; თუ რაიმე უნდათ, სთხოვონ.

მსახურათ არ უნდა მიიღო იმისთანა კაცი, ვინც უწინ ემსახურებოდა თქვენს ნათესავს ანუ ნაცნობს, რადგანაც ეგრეთ მოქმედებას ხშირად უსიამოვნება მოსდევს.

ზოგიერთი ოჯახის უფროსი ქალი, მსახურს რომ იქირავებს, პირველად მისცემს მცირე სამუშაოს და მერე თანდათან მოუმატებს; პირველად სიზარმაცისათვის და საქმის შეუსრულებლობისათვის არაფერს არ ეუბნება, მერე კი თანდათან წყრომას დაუწყებს. ეგრეთი მოქმედება არ არის კარგი. მან პირველიდგანვე უნდა უჩვენოს მსახურს ყველა მისი სამუშაო და გასაკეთებელი საქმე და მოითხოვოს მათი კეთილ-სინდისიანათ შესრულება.

ოჯახის უფროსმა თუ რაიმე ცუდი ჩვეულება შეუნიშნა მსახურს, მაშინავე უნდა გააჩეროს იგი და უგინებელად აუხსნას მას, რომ იმისთანა საქმეები მის ოჯახში არ შეიძლება და აუხსნას, რომ მომავალში მან ეგრეთი მოქმედება აღარ გაიმეოროს.

ოჯახის უფროს ქალს უმართებს დიდი მოთმინება, ამიტომ რომ მსახური მოკლე ხანში ძნელი გასასწორებელია. ხშირათ შეგხვდებათ, რომ მას თქვენ გამოუცხადებთ შენიშვნას და საყვედურს.

მსახური როდესაც საქმეს კარგათ გააკეთებს, მაშინ საჭიროა, რომ აქო. ქებით უფრო შეგიძლია მისი გასწორება, ვიდრე საყვედურით და გინებით.

საგინებელი სიტყვების ხმარება და მოთმინების დაკარგვა

არამც თუ გვამცირებენ ჩვენ; იგინი გვხდიან ჩვენ სასაცილოდ სხვების თვალში.

როცა მოსამსახურეს ემუსაიფებით, არასოდეს არ უნდა უწოდოთ ოჯახის შვილებს ანუ ნაცნობებს მარტვა სახელი, ან მარტო გვარი; მის სახელს უნდა მიუმატოთ მამის სახელიც.

თუ სტუმარი ან მნახველი მოვიდა, მსახური უნდა შეავიდეს ოჯახის უფროსთან და მოახსენოს მისი მოსვლა, მერე გამოვიდეს სტუმართან და შეიყვანოს იგი. მოუხსენებლათ მსახურმა სტუმარი არასოდეს არ უნდა შეუშვას ოჯახის უფროსთან.

მსახური ძალიან ზრდილობიანათ უნდა ეპყრობოდეს მოსრულ სტუმარს. როდესაც ის ემსახურება სტუმრებს, სტოლზე, წინდაწინ უნდა იცოდეს, რა საჭმელები და ჭურჭლები იქნება მოტანილი სტოლზე და რომელი რიგით. ეს დაწვრილებითი ცნობები წინადვე უნდა ასწავლონ მსახურებს.

როდესაც სტუმარი წინა ოთახშია და წასვლას აპირობს, მსახურმა უნდა ჩამოიღოს ჩამოსაკიდებლიდგან ზედა ტანისამოსი და მიართვას წამსვლელ სტუმარს.

ჩვენ უნდა მოვიყვანოთ აქ რამოდენიმე სიტყვა ძიძის შესახებ. ხანდისხან შემთხვევა მოითხოვს, რომ ძიძა იქირავოთ. ძიძა უმეტეს ნაწილად უბრალო, გაუნათლებელი და ანჩხლი ქალია. რადგანაც პატარა ბავშს ის უწევს დედის მაგივრობას, მას კარგათ ესმის თავის მნიშვნელობა და ამიტომაც შეიძლება, რომ თქვენს ოჯახში მან მოიმდომოს გაქალბატონება, მაგრამ თქვენ ნუ შეუსრულებთ მას იმისთანა მოთხოვნილებას, რომელიც ნამეტანია. უწინ მისი ცხოვრება იყო უბრალო და მძიმე. ეხლა მიეცით მას რა მე საქმე გასაკეთებელი, როგორც თქვენს მსახურებს; ნუ გამოარჩევთ მათში, ნუ მოუჯენთ სტუმრებს გვერდით და ნურც თქვენ მოიჯენთ გვერდში სადილობის დროს. თუ მას უბრძანებენ, იგი შამოიყვანს პატარა ბავშს სტუმრების საჩვენებლად, მაგრამ როგორც კი სახლის პატრონი ქალი ანიშნებს, იგი უნდა წავიდეს თავის ოთახში.

მდიდარ ოჯახში ძიძას საჩუქარსაც აძლევენ ბავშის კარგათ

მოვლისთვის, მაგ. როცა ბავშს პირველი კბილი ამოუვა, იმის დაბადების დღეს და სხვიმის.

IX.

შინაური სტოლი.

დილის ჩაის და ყავის შესახებ საოჯახო სტოლზე ჩვენ უნდა მოვიყვანოთ რამდენიმე შენიშვნა.

მშობლები და აღმზდელნი ადრე წლებიდგანვე უნდა აქცევდნენ ყურადღებას ბავშებს და ასწავლიდენ მათ საჭმლის და სასმლის მიღებას. ქვეყანაზე კაცს ტყუილათ არაფერი არ ეძლევა, ყოველისფერი მოითხოვს სწავლას.

ბავშები უდა მოვიდნენ ჩაიზე სტოლთან წმინდათ ჩაცმულნი, ხელ-პირ დაბანილნი და თავ-დავარცხნილნი. უამისოდ ბავშები დედამ ან გადიამ საუზმეზე არ უნდა მიუშვას. ცხადი საქმეა, რომ დედ-მამამ თვითონ უნდა უჩვინონ თავის ბავშებს ეგრეთი მაგალითი.

ბავშები პატარაობიდგანვე უნდა შეეჩვიონ სტოლთან ჯდომას სწორა. არ უნდა მიაწვენ სკამს ზურგით, არც სტოლს გულით და ამ დროს ფეხებს და ხელებს არ ათამაშებდენ.

თვითეულ ბოვშს უნდა ჰქონდეს სტოლზე დანიშნული თავისი სამუდამო ადგილი. პატარა ბავშები უფრო ახლოს უჯდებიან დედას, მოზრდილი კი უფრო მოშორებით. ეს იმიტომ, რომ დედამ უფრო ადევნოს თვალყური მათ. ბავშები უნდა უჯდენ სტოლს წყნარათ, ეკავოსთ თავი ზრდილობიანათ, ხმამაღლა არ ლაპარაკობდენ, უფროსების ბაასობაში მონაწილეობას არ ღებულობდენ, არ დავობდენ და არც ერთმანეთს ახელებდენ.

საჭმლის თხოვნა შეუძლიათ ზრდილობიანათ; მაგრამ დაჯინებულათ აჩემება რამესი კი არა. ბავშებს უნდა ასწავლონ, რომ კმაყოფილნი იყვნენ მით, რაც მისცეს და სტოლზე არ გაარჩიონ უკვეთესი და უდარესი საჭმელი. რომ იგინი პურზედ არ წაიკიდონ, საჭიროა, რომ პატარა ბავშებს

დედამ თვითან დაურიგოს პურის ნაჭრები; დიდ ბავშებს კი თვითან შეუძლიათ მათი აღება.

არასოდეს არ უნდა მისცე ბავშებს ძალიან ცხელი ჩაი, ყავა, ან რძე. ჩაის გაგრილება სულის ბერვით არ შეიძლება; ჩაის დასხმა ნალბაქზედ უზრდელობაა. ბულკის და სუხარის ჩაფშვნა ჩაეში. შეუძლიათ მხოლოდ ბატარა ბავშებს და უკბილო მოხუცებულებს. რაც შეეხება მოზრდილ ბავშებს, დედ-მამამ უნდა დაუმალოს მათ პურის ჩაფშვნა ჩაეში.

დედ-მამამ პატარაობიდგან უნდა ასწავლოს თავის ბავშებს კოვზის, დანა-ჩანგლის, სალფეტკის და სხვების ხმარება.

სასადილო სტოლის გამართვა და გაწყობა ეკუთვის მხოლოდ ოჯახის უფროს ქალს. სტოლის საფენი ანუ სუფრა უნდა იყოს ძალიან სუფთა და თეთრი; ხელსახოცებიც უნდა იყვნენ ეგრეთივე და არა ჭუჭყიანი.

საოჯახო სადილზე სუფრის თვითო იარაღთან ჩვეულებისამებრ სდგმენ თითო თხელ თეეშს ანუ საინს; რღმა საინები კი სდგას ოჯახის უფროსის ქალის გვერდით. დანა, ჩანგალი და კოვზი უმეტეს ნაწილად დაწყობილია საინის მარჯვნივ (წვერებით შუშის ქვეშ-სადებზე). შეიძლება ეგრეც: ჩანგალს დასდებენ თეფშის მარცხნით, დანას მოუდებენ მარჯვნით და კოვზს კი თეეშის უკან. სტაქნის ადგილია თეეშის იქით, ცოტათი მარჯვნივ. სტაქნიდგან სდგამენ რიუმკას. დაკეცილი ხელსახოცი უნდა გაშალო და დაიფინო მუხლებზე.

ჩვეულებრივ სადილზე მასპინძელი თვითონ ასხამს ცივ ხვით (დიდი სასხმელი კოვზი) წვენს რღმა თეეშებზე და მიაწვდის სტუმრებს და ოჯახის წევრებს; ესენი კი ჩამოართმევენ სავსე თეეშებს და სდგმენ თავის თხელ საინებზე. თუ სტუმარი ისე შორს ზის მასპინძლიდგან, რომ ვერ მისწვდება მას თეფშის ჩამოსართმევად და თქვენ მათ შუაში ზიხართ, რიგია, რომ მასპინძელს თქვენ ჩამოართვათ წვნით სავსე თეეში და გადასცეთ, ვისაც ეკუთვნის.

ცხელი წვენი კოვზის რევით უნდა შეაგრილო და მაშინ უნდა მიირთვა. ცხელი წვენის გაცივება ზოგიერთმა სულის შებერვით იცის და ეს დიდი სირცხვილია; არ არის რიგი ეგ-

რეთვე მასში პურის ჩაყრა და მისი დალბობა. წვენის მირთმევა უნდა კოვზის გვერდიდგან და არა წვერიდგან. კოვზის წვერიდგან ავადმყოფები სმენ აფთიაკიდგან გამოტანილ წამლებს. წვენი ნამეტანი ხლაპა-ხლუპით არ უნდა მიირთვა, რომ ამითი არ შეიქნე საზოგადო ყურადღების საგნად. კოვზით არასოდეს არ უნდა აილო ისე ბევრი წვენი, რომ კოვზის ნაპირიდგან იგი გადადიოდეს და იქცეოდეს.

ჩვეულებრივ მიღებულია, რომ ჩანგალი მარცხენა ხელში უნდა გეჭიროსთ და მარჯვენა ხელში დანა. როდესაც საჭმელს სჭრი, ჩანგალი უნდა გეკავოს დახრილად საინისკენ და არა პირდაპირ. თქვენი დანით სამარილიდგან მარილი არ უნდა ამოიღოთ, თუ იმ სამარილეს აქვს თავისი ხოწი (ვერცხლისა ანუ რქისა); არც პური უნდა დასჭრა თქვენი დანით. პურის დასაჭრელად საკუთარი დანა უნდა იყოს სტოლზე.

ხან კი სტოლზე მოგართმევენ სხალს, ვაშლს, ატამს და სხვა ხილს; მათთვის საკუთარი დანა უნდა. თქვენ დანით გასთლით მათ, მაგრამ უდანოთ უნდა მიირთვათ. თუ გათლილი სხალი ან ვაშლი დანით მიიტანეთ პირთან, შეგიძლიათ ან ტუჩები გაიჭრათ, ან ენა.

ყოველ ოჯახში არა აქვთ თვითეული საჭმელისათვის სხვა და სხვა დანა-ჩანგლები; ამიტომაც როცა პირველ, ან მეორე თავს მიითმევთ, დანა-ჩანგალი თქვენთან დაიტოვეთ და ლაქიას ნუ გაატნევთ.

ნედლი თევზი იჭმება უდანოთ, მარტო ჩანგლით, რომელსაც დაიკავებენ მარჯვენა ხელში, მარცხენა ხელში უკავიათ პურის ნატეხი, რომელსაც ნელა დააჭერენ თევზს, რომ იგი ჩანგლის დაჭერის დროს არ წაცოცდეს თეფშიდგან; პურითავე შეეწევიან თევზის წამოგებას ჩანგლის წვერზე. დანის ხმარება ამ დროს მიტომ არ არის საჭირო, რომ თევზის ხორცი უფრო ადვილათ მოსცილდეს პაწაწა ძვლებს.

ეგრეთვე მარტვა ჩანგლით მიითმევენ ხოლმე ერბო-კვერცხს, ზოგიერთ მწვანილს, სტაფილოს, ახალ მუხუდოს და სხ.

საჭმლის გადანარჩენი, ძვლები, პილპილა და სხ. სტოლ-

ზე არ უნდა დაიდვას; ისინი უნდა დარჩეს საინზევე და საინი მარჯვნით უნდა გადასდგათ.

სადილის შემდეგ სტუმრებთან კბილების ჩხრეკა უზრდელობაა.

როცა სტუმარი თქვენთან მოვა, რიგია მაშინ, იმის პატივისცემისათვის, ყველამ ტანისამოსი გამოიცვალოთ.

მონაწილეობის მიღება ლაპარაკში სტოლზე შეუძლია უფროსებს, უმცოსები უნდა იჯდეს წყნარათ და პასუხს უგებდენ მხოლოდ მაშინ, როცა მათ ჰკითხავენ.

ხელსახოცი ხმარების შემდეგ არ უნდა დაკეცო; იგი დაუ ეცელათ უნდა დასდვა თეფშის გვერდით.

X.

სასადილო სტოლი (ანუ ჩვეულებრივი სადილი).

შეიძლება ამ სათაურის წაკითხვაზე ზოგიერთებმა გაიღიმონ და იფიქრონ: მე რალა უნდა ვისწავლო სასადილო სტოლზეო? განა არ ვიცი, რომ სტუმრები სადილზე ცალიერ ძვლებს არ იღებენ ხელში და არც პურის ლუკმეის თებშებში ალბობენო? მაგრამ ამაზედ მე მკითხველს ვუპასუხებ, რომ ზრდილობიანათ სადილის მირთმევა არც ისე ადვილია, როგორც ზოგიერთებს ჰგონია; ხშირად მომხდარა, რომ გვარიანად აღზრდილ პირებს შეშლია ხოლმე სასადილო წეს-რიგი. ჩვენ თვითონ ვყოფილვართ მოწამე მისა, თუ ერთი სტუმარი როგორ ხმა-მაღლა ხვლაპა-ხვლუპით შეექცევოდა წვენს და მადიანად აკლაპუნებდა ყბებს მაშინ, როდესაც მას მოართვეს მოხრაკული. გვინახავს, რომ ზოგიერთი სტუმარი იმხელა ლუკმებს იდებდა ხარხაში, რომ თუ გვერდში სჯომოდეთ მას, შეგეშინდებოდათ და იფიქრებდით, რომ ეს კაცი ნამდვილად დაიხრჩობაო.

გასტრონომიის ისტორია სავსეა ანეკდოტებით, რომლებიდან სჩანს, რომ ზოგიერთ კაცს აფიციალურ სადილზე აუღია დანა არა იმ ხელით, რომლითაც უნდა აეღოს; ანუ აუ-

ღია თევზიდგან გემრიელი დანარჩენი საჭმელისა და ეგრეთვე თევზზედ დაუყოლებია არა ის ღვინო, რომელიც ამისთვის იყო დანიშნული, არამედ სხვა და ეგრეთ მისს დანაშაურებას ეტიკეტის უცოდნელობაში ჰქონია მისთვის ძალიან დიდი და უსიამოვნო შედეგი. სასადილო წეს-რიგების ცოდნა ძლიერ საჭიროა.

ჩვენ აქ განვიხილავთ: ა) სტუმრების მოსვლის დროს; ბ) სტუმრების დაჯდენის რიგს მეგობრულ და მიწვეულ სადილზე; გ) სტუმრების დაჯდენის რიგს საპარადო სადილზე; დ) სადილის მირთმევის რიგს და ე) წესრიგებს სადილის შემდეგ.

ა) სტუმრების მისვლის დრო. სტუმრის ძალიან ადრე მისვლა სადილის წინ რამოდენიმეთ შეავიწროვებს როგორც მასპინძელს, ეგრეთვე მის მსახურებს, ამიტომ, რომ ხელს შეუშლის მათ მომზადებას.

ეგრეთვე უზრდელობაა მისვლა სადილზე გვიან, როდესაც ყველა სტუმრები სტოლს უსხედან და სადილს შეექცევიან. გვიან მიმსვლელ ვაჟს შესწამებენ ან დიდგულობას, ან უზრდელობას, გასათხოვარ ქალს კი კოკობზიკაობას, ვითომც მას ჰსურდეს ისე მოირთოს, რომ თავი ნამეტანად მოაწონოს სტუმრებს. არც მასპინძელს იამება დაგვიანებული სტუმრების ლოდინი, რადგანაც მას იმათ მაგივრად შეხვდება მოსრულ სტუმრებთან ბოდიშის მოხდა. გვიან სტუმრად მისვლას ისევე ისა სჯობს, რომ სახლში დარჩეთ, ან რესტორაციაში შებრძანდეთ და იქ ისადილოთ, ვიდრე სხვა სტუმრები თქვენზე უკმაყოფილო ჰყოთ და თქვენის დაგვიანებისათვის მასპინძლებს მათთან ბოდიში ახდევიოთ. მაშ რამდენად ადრე უნდა მივიდეს დაპატიჟებული სტუმარი მასპინძელთან? სტუმარი უნდა მიბრძანდეს თუთხმეტი წამით (მინუტით) წინეთ იმ დროზე, რომელიც მასპინძლმა დანიშნა თავისი დიდ-მშვენიერი სადილისათვის.

როდესაც ზოგიერთი სტუმრები დაიგვიანებენ, მაშინ მასპინძელმა უნდა გაიხსენოს ანდაზა, რომელიც უბნობს: შვიდი

კაცი ერთს არ უცდისო და ამიტომ თვითონაც ბევრი ლოდინი არ დაუწყოს დაგვიანებულ სტუმრებს.

თუ მოულოდნელმა გარემობამ შეგიშალა ხელი და მიწვეულ სადილზე გვიან მიბრძანდით, რიგია, რომ შესვლისთანავე ოთახში საზოგადო თავის დაკვრით ბოდიში მოითხოვოთ როგორც მასპინძლებთან, ისე სტუმრებთან, და თუ სულ ყველა სტუმრები სხედან, სთხოვოთ მასპინძელ ქალს, რომ თქვენის გულისათვის არ შესცვალოს სხდომის რიგი; თუ გინდ ძალიან პატივ-საცემი ბრძანდებოდეთ, უნდა ეცადოთ, რომ მოიკავოთ პირველი თავისუფალი ადგილი, რომ სტუმრებს არ შეხვდეს ადგილიდგან დაძვრა ან მიწევ-მოწევა. მაგრამ ეგრეთ გვიან სტუმრად მოსვლას ისევე ისა სჯობს, რომ სახლში დარჩეთ, როგორც ზევითა ვსთქვით.

ბ) სტუმრების დაჯენა მეგობრულ და მიწვეულ სადილებზე. მეგობრულ სადილზე ცდილობენ, რომ ზრდილობა დაიცვან, ხოლო ცერემონიალურ ეტიკეტს ძალიან არ მისდევენ. მეგობრილ სადილზე უნდა დაბრძანდეთ იმ ადგილზე, რომელი მასპინძელმა გიჩვენათ.

მიწვეულ სადილზე იმ ოჯახებში, სადაც ერთნაირი ღირსების სტუმრები იკრიბებიან წყვილების გარიგება სრულდება რამოდენიმეთ სხვანაირად, აი მაგ. ოჯახის პატრონი კაცი თავის მეუღლეს წარუდგენს იმ სტუმარს, რომელიც მის ოჯახში სხვაზე უფრო ნაკლები ნაცნობია და სთხოვოს, რომ იგი მიიყვანოს სტოლთან; თვითონ კი მისცემს ხელს იმ სტუმარ ქალს, რომელიც მის ოჯახში ძვირი სტუმარია, მაგრამ უფრო პატივ-საცემი და მიუძღვება სტოლთან. მასპინძელი მოიქცევა ასე სტუმრის ყურადღების და პატივისცემისათვის. იმისთანა საზოგადოებაში, სადაც სტუმრები ერთნაირი ღირსებისაა, გასათხოვარ ქალზე უფრო მეტი უპირატესობა აქვთ ქმრიან ქალებს, მაგრამ ამათ, თავის მხრით პირველი ბიჯი ქვრივ ქალებს უნდა დაუთმონ.

როდესაც ოჯახის უფროსმა გთხოვათ სტოლზე მისვლა, ან როცა სახლთ-ხუცესმა საკმაოდ ხმა მაღლა განაცხადა, რომ „წვენი მორთმეულია“ — ოჯახის პატრონი კაცი მისცემს

ხელს უფროსს მანდილოსანს და მიჰყავს ის სტოლის გასაშ-ლელ ოთახში. იმას მიჰყვება ოჯახის უფროსი ქალი ხელგაყ-რილად ერთ პატივ-საცემ სტუმართან; ამას კიდევ სხეები მიჰ-ყვებიან იმ წესზედ, რომელიც ზევით ახსნილია.

როცა შებრძანდებით სტოლის გასაშლელ ოთახში, იქ მასპინძლები გიჩვენებენ, თუ სად დაბრძანდეთ თვითეული თქვენგანი, მაგრამ სანამდის პირველად თვითონ ოჯახის უფ-როსი ქალი არ გაათავებს თავის განკარგულებას და არ დაჯ-დება, მანამდის არც ერთი სტუმარი არ უნდა დაჯდეს. თუ ოთახში ნამეტანი სივიწროვე არ არის, სტუმრები ისე უნდა დააჯდინო თავიანთ ადგილზე, რომ სტუმარსა და სტუმარს შუა დარჩეს დაახლოვებით ორი მტკაველი ადგილი. მასპინძე-ლი უნდა ეცადოს, რომ ერთმანეთს გვერდით არ მოუჯინონ იმისთანა პირნი, რომლებიც წაკიდებულნი ყოფილან, ან უსი-ამოვნოდ უყურებენ ერთმანეთს. ერთმანეთს უნდა მოუჯდინო გვერდით იმისთანა სტუმრები, რომლების ხასიათი, შეგნება, მოქმედება და განათლების ხარისხი რამოდენიმეთ ეთანხმებიან ერთი მეორისას.

ამისი შესრულება ძნელია, მაგრამ ამ საგანზედ მასპინ-ძელს დიდი ყურადღება უნდა ჰქონდეს მიქცეული, რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში სხვანაირად სტუმრების დაჯდენას ადვილათ მოჰყვება ხოლმე ცუდი შედეგი.

მასპინძელი ქალი ყოველთვის დაჯდება სტოლის თავში და მარჯვენა გვერდით მოიჯდენს თავის კავალერს; ხოლო ის ვაჟი, რომელიც თავისი ქალით მიჰყვებოდა ამ პირველ რწყვილსა, დაიკავებს ადგილს მასპინძლის ქალის მარცხნით. ეგრეთვე მასპინძელი ქალი მოიჯენს: მარჯვნივ თავის მანდი-ლოსანს, მარცნივ შემდეგ წყვილის მანდილოსანს.

კავალერი, რომელიც მოჰყვა ოჯახის უფროს ქალს სტოლთან, მოვალეა შეეწიოს მას მოვალეობის შესრულებაში და ამითი ასიამოვნოს მას, მაგ. ღვინო დაუსხას, მსახურებს გაახსენოს პურის ან სხვა რაიმეს მოტანა და სხვა.

ხელ-ჯაგები (თათმანები) რასაკვირველია ამ დროს ხე-ლიდგან წაძრობილი უნდა ჰქონდეს ყველას.

როცა თქვენ უზიხართ სტოლს, უნდა ეცადოთ, რომ არ შეაწუხოთ მეზობლები; ამისთვის საჭიროა, რომ ფეხები სტოლის ქვეშ არ გაჭიმოთ, ან არ აათამაშოთ. სირცხვილია ეგრეთვე ხელის თითებით სტოლზე თამაშობა, კბილების ჩხრეკა ჩანგლით და სტვენა.

რადგანაც უმეტეს ნაწილად სტუმრები სხდებიან ხოლმე ისე, რომ ვაჟი გვერდით უზის მანდილოსანს, ამიტომაც რიგია, რომ ის კავალერათ გაუხდეს მას, ყურადღება ჰქონდეს მიქცეული მასზე, რომ ის მანდილოსანი არაფერში არა გრძნობდეს დანაკლისს და იხმაროს ყოველი ღონის ძიება, რომ მას ასიამოვნოს.

ხანდისხან დაუდევნელი მოსამსახურე მოიტანს სტოლზე გლახათ მორეცხილ თეფშებს და ზოგიერთ სტუმრებს, რომლებიც თავის ოჯახებში სუფთათ ცხოვრებას შესჩვევიან, რასაკვირველია, სძაგთ ეგრეთ ბინძურ ჭურჭლებზე საჭმლის მირთმევა, მაგრამ ამ შემთხვევაში საინი უნდა გადასცე მსახურს და ჩუმეთ უთხრა, რომ ის გამოსცვალოს. ხელსახოცით მისი გაწმენდა ურიგობაა, შეიძლება, რომ მასპინძელმა შენიშნოს ეგრეთი თქვენი მოქმედება, მაგრამ სტუმრების პატივისცემისათვის იქ თავის უკმაყოფილებას არ გამოიჩენს მსახურებზე. თქვენზე კი ძლიერ მადლობელნი იქნებიან მაგრე თავაზიანათ მოქცევისათვის.

საჭმელების მიტანის წესი ბევრ-ნაირია; მაგ. ჩვეულებრივ სადილზე მასპინძელი ქალი თვითონ ასხამს ციცხვით (დიდი სასხმელი კოვზით) წვენს რლმა თეფშებზე და მიაწვდის სტუმრებს; ესენი კი ჩამოართმევენ სავსე თეფშებს და სდგმენ თავის თხელ საინებზე. თუ სტუმარი ისე შორს ზის მასპინძლიდგან, რომ ვერ მისწვდება მას თეფშის ჩამოსართმევად, და თქვენ მათ შუაში ზიხართ, რიგია, რომ მასპინძელს თქვენ ჩამოართვათ წვნით სავსე თეფში და გადასცეთ, ვისაც ეკუთვნის.

დანარჩენი დარიგებანი სადილის მირთმევის შესახებ იხილე ამა წიგნის მე IX და მე-X თავში.

XI.

მიწვეული ანუ საპარადო სადილი.

რჩევა იმის შესახებს, თუ რა საჭმელებიდგან უნდა შესდგებოდეს დიდი სადილი, ადვილათ შეგიძლიათ მონახოთ თვითეულ სამზარეულო წიგნში.

ამას გარდა, ამ საქმეს ხშირათ მიანდობენ ხოლმე კარგ მზარეულს, ანა და საპარადო სადილის გასამართავად იქირავებენ მცოდნე კაცს, რომელიც ამ საქმეში გამოცდილია. ზოგი კი რესტორანებში მოამზადებიებს სადილს და მოატანიებს თავის სახლში.

დროს დიდი სადილისათვის ოჯახის უფროსები აცნობებენ სტუმრებს მოსაწვევი ბილეთებით, მაგ. „დიმიტრი პავლეს ძე და ელისაბედ ნიკოლოზის ასული უმორჩილესად გთხოვთ თქვენ მობრძანდეთ მათთან სადილზე 15 ამა მაისს 19 წელსა ნაშუადღევის „ „ საათზე“.

დიდი სადილი დაიწყება 5 საათიდგან 7 საათამდის, მაშინ, როცა სამთლებს და ლამპებს აამთებენ. დანიშნული დროსთვის ოჯახის უფროსი კაცი უნდა იყოს კარების ახლოს, რომ თუ ვინიცობაა მანდილოსანი მობრძანდა, მიაწოდოს მას ხელი და მიძღვეს მას თავის მეუღლესთან. ამ უკანასკნელს კი უნდა ეკავოს დარბაზში საკუთარი ადგილი სტუმრების მისაღებად.

თვითან მისვლა აფიციალურ სტოლთან, სადილის მისართმევად, სრულდება ამნაირად. თუ ყველა სტუმრები მობრძანდენ და მეტს აღარავის მოელიან, ოჯახის უფროსი ქალი უბრძანებს ლაქიას დახურონ სტოლი, ანუ მოიტანონ სადილი. რამოდენიმე წამის შემდეგ, როდესაც ლაქიამ მოახსენა, რომ „სტოლი მზათაა“ ანუ „საჭმელი მოტანილიაო“, იგი ადგება და ანიშნებს მობრძანდენ სტოლთან. მაშინ ოჯახის უფროსი კაცი უჩვენებს, თუ რომელი კავალერი რომელ მანდილოსანს მიუძღვეს სტოლთან. ოჯახის უფროსის ქალის მიყვანა შეჰხვდება ყოველთვის ძალიან პატივ-საცემ ანუ მაღალ-

დადგენილ სტუმარს. ეს გარიგება სრულდება ჩინისა და წოდებისამებრ: უფრო პატივ-საცემი სტუმრები მიბრძანდებიან პირველ წყვილათ, მათ უკან მათზე ნაკლებნი—მეორე წყვილათ და სხვებიც ამ წესით მიჰყვებიან მათ თავის ღირსებისამებრ.

პირველად შედის სტოლის გასაშლელ ოთახში ოჯახის უფროსი ქალი და როცა მივა თავის ადგილზე, თავის დაკვრით მადლობას უხდის თავის კავალერს. სხვა კავალერებმა თავიანთი მანდილოსნები უნდა მიიყვანონ დანიშნულ ადგილზე. ამ დროს თვითეულ სტაქანზე ან ხელსახოცზე აწყვია პატარა ქარტები, რომლებზედაც აღნიშნულია მოწვეული სტუმრების ადგილი, თუ თვითეული მათგანი სად უნდა იჯდეს. წყვილათ გარიგება სტუმრების და მათი ადგილების საადვილო საქმე არ არის. ერთმანეთს გვერდით უნდა მოუჯინონ იმისთანა სტუმრები, რომლების ხასიათი და განათლებიხ ხარისხი რამოდენიმეთ ეთანხმებიან ერთი მეორეს.



ოჯახის უფროსი ქალი და კაცი დასხდებიან შუა ადგილზე სტოლის იქით. ოჯახის უფროს ქალს მარჯვენა ხელისკენ მოუჯდება პირველი კავალერი, მარცხნით კი მეორე კავალერი.

პირველ კავალერს მარჯვენა ხელისკენ მოუჯდება მისი მანდილოსანი და იმას მესამე კავალერი. მეორე კავალერს მოუჯდება მარცხენა ხელისკენ მისი მანდილოსანი და იმას მეოთხე კავალერი. მესამე კავალერს მარჯვნივ ჰყავს თავისი მანდილოსანი და მეოთხე კავალერს მარცხნივ თავისი მანდილოსანი და ასე შემდეგ.

ოჯახის უფროსი ქალი თუ ქვრივია, თავისთვის კავალერი თვითონ შეუძლია ამოირჩიოს.

სტოლზე ადგილების დანიშვნის უპირატესობა უნდა მიეცეს კაცის წლოვნობას და საზოგადოებაში მის მდგომარეობას და არა სიმდიდრეს.

ქორწილზე უკვეთესი ადგილი ეკუთვნის ახალ ჯვარ-დაწერილებს, ძმადებს, დედ-მამას და სხვებს.

ორი ძლიერ ახლობელი ნათესავი, დები ანუ ძმა დ და ერთმანეთს არ უნდა უჯდენ გვერდით.

ოჯახის უფროსმა ქალმა უნდა გამოირჩიოს, თავის დასაჯდომათ, იმისთანა ადგილი, რომ ჰხედავდეს იმ კარებს, საიდგანაც საჭმელები შამოაქვთ.

თუ ოჯახის უფროსი ქალი წვენს უსხამს სტუმრებს, ამ უკანასკნელებმა არ უნდა დაიწყონ მისი მირთმევა მანამდის, სანამდის თვითეული მათგანი არ მიიღებს თავის კერძს.

თუ წვენი შემოაქვთ ლაქიებს ტაბაკით (პადნოსით), თქვენ მიიღებთ თუ არა თქვენს ჯერს, სხვებს ალარ უნდა უცადოთ: მაშინვე უნდა დაიწყოთ მისი მირთმევა.

საჭმელებს მიართმევენ ლაქიები სტუმრებს ყოველთვის მარცხენა მხრიდგან.

საჭმლის მირთმევას დაიწყებენ უფრო პატივსაცემი სტუმრიდგან, ე. ი. ჯერ მიართმევენ პირველ კავალერს, რომელიც მარჯვენა ხელისკენ უზის ოჯახის უფროს ქალს, მერე მანდილოსანს, რომელიც მარჯვნითაა პირველი კავალერიდგან, მერე მეორე კავალერს, მის მანდილოსანს და ამ ნაირად ტაბაკს შამოატარებენ სტოლის გრულშამო და ყველაზე ბოლოს მიართმევენ ოჯახის უფროს ქალს.

ოჯახის უფროსი ქალი უნდა ცდილობდეს, რომ ძალიან

საკვლევ ბლიუდოები არ მოჰქონდესთ სტუმრებთან. ამისათვის უმჯობესი იქნება, რომ მოართვან სტუმრებს ნამეტანი ბლიუდო ერთი და იმავე საჭმლისა.

რაც შეეხება დანა-ჩანგლის მხარებას, იგი აღწერილია ამ წიგნის მე-IX თავში.

საზოგადოთ დიდ სადილებზე ლაქიებს შამოაქვთ სტუმრებთან ტაბაკები, რომლებზედაც აწყვია წვნით სავსე ღრმა თეფშები და სტუმრები ჩამოართმევენ მათ და სდგმენ თავის თხელ საინებზე.

ცხელი წვენი კოვზის რევით უნდა შეაგრილო და ისე უნდა მიირთვა სულის ბერვით მისი გაცივება სირცხვილია. არ არის მიღებული ეგრეთვე მასში პურის ჩაყრა და ჩალუბა. წვენის მირთმევა უნდა კოვზის გვერდიდგან და არა წვერიდგან.

წვენი ნამეტანი ხლაპა-ხლუპით არ უნდა მიირთვა, რომ ამით არ შეიქნეთ საზოგადო ყურადღების საგნად. კოვზით არასოდეს არ უნდა აიღო ისე ბევრი წვენი, რომ კოვზის ნაპირიდგან გადადიოდეს და იქცეოდეს.

თუ საჭმლიან საინზე დავარდა თმა, ჩხირი, ან სხვა რაიმე იმისთანა, რომელიც კაცს გულს ურევს, მაშინ მასპინძლების პატივისცემისათვის, სხვის შეუნიშნავად უნდა ამოიღო იგი და დაადგო იატაკზე, ან გადასცე თეფში მსახურს.

არასოდეს არ უნდა გადმოიღო ბლიუდოდგან სხვის თეფშზედ საჭმელი შენის ჩანგლით, ან კოვზით, რომელიც გიხმარია; ამიტომ, რომ ამისთვის ბლიუდოზე ჩვეულებრივ არის საკუთარი კოვზი და ჩანგალი.

ბლიუდოზე ხორცის ნაჭრები არ უნდა ამოირჩიო. სჯობს აიღო ის, რომელიც შეგხვდება; ეს პირველად იმიტომ, რომ ხორცის ნაჭრების ამორჩევით თქვენ დაადგვიანებთ სხვა სტუმრებს. მეორედ მიტომ, რომ თუ კარგი ნაჭრები ამოირჩიეთ, სხვებისთვის გლახები დარჩება და ეს იმათ არ ესიამოვნება, და ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ სადილზე, როგორც რომ სხვაგან, მნახველი მოვალეა, რომ თავისი თავი დაივიწყოს სხვების პატივისცემისათვის. როცა დაიდებთ თავის საინზე რომელიმე

ხორცს, ქათამს, გოჭს და სხვას, მაშინვე უნდა დაუწყო მას მოთლა და მირომევა. ამისათვის მარცხენა ხელში აიღებ ჩანგალს, მარჯვენაში დანას და ჯერ ერთ ნათალს მოსთლი და მიირთმევ, მერე მეორეს მოსთლი და მიირთმევ, მერე მესამეს და სხ. ჯერ ლუკმა-ლუკმა დათლა ხორცისა და მერე მათი მირთმევა ურიგობაა. როდესაც ლაქიის მოტანილ ბლიუდოდგან იღებთ რაიმეს და გადმოგაქვთ თავის თეფშზედ, უნდა ეცადოთ, რომ რაც უნდა კარგი არ იყოს მოტანილი თავი საჭმელი, ზომიერად აიღოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, სტუმრებთან თქვენ გამოჩნდებით გაუმაძღრად. ეგრეთვე ძალიან ცოტა თუ აიღეთ, ეგ იქმნება თქვენის მხრით დაწუნება, ვითომც ის თავი საჭმელი თქვენდა საკადრისათ ვერ იყოს გაკეთებული.

გაუმაძღრობა ძლიერ საზიზღარია, მაგრამ არც ეგრეთი სტუმარი არის საქები და მოსაწონი მასპინძლებისათვის, რომელსაც თავისი სასიამოვნო ვერაფერი უნახავს სტოლზე და არა სვამს და არცა სჭამს. მასპინძლებს ძლიერ სძულთ ეგრეთი სტუმარი.

თუ საჭმელი ძალიან გემრიელად არ არის გაკეთებული, მაიც უნდა ეცადოთ, რომ თქვენი უკმაყოფილება არ გამოიჩინოთ ამაზედ. თუ მზარეულს უხეირობა მოუვიდა სადილის მომზადებაში, თქვენ მასპინძლის პატივისცემისთვის ეგრეთი მისი უხეირობა ხუმრობათ უნდა გადააკეთო, თუგინდ ნახევარ-მშიერი გამოხვიდოდე იმ სახლიდგან. ასე უნდა მოიქცე პატივისცემისათვის მასპინძელთა, როლმებიც უიმისოთაც შეწუხებულნი დარჩებიან თავის მზარეულის უთაურობისგამო.

ხანდისხან სადილის შემდეგ სტუმრებს მოართმევენ ხოლმე ახალ ხილეულობას, რომელიც ჯერ არ არის შამოსული, მაგ. იანვრის თვეში თეთრ სოკოებს, მარტში ახალ მარწყვს და სხ.; იცოდეთ, რომ ეს ხილი მოაქვთ, რასაკვირველია, როგორც ახალი ხილი, გემოს გასაშინჯავათ და არა გასაძღომათ; ამიტომაც ძალიან ბევრი არ უნდა აიღოთ, ისა სჯობს, რადგანაც ადვილათ შეიძლება, რომ სხვა სტუმრებს აღარაფერი ხვდეს.

არც ყმაწვილმა ქალმა ვაჟს და არც ვაჟმა ყმაწვილ ქალს არ უნდა მოუკითხოს თავის გადანარჩენი ხილი, ფორთოხალი, ყურძენი, სხალი ან სხვა, თუ არ გსურთ, რომ იქ მყოფმა პირებმა შეადგინონ მათზე ცალახა აზრი. ეგრეთი თამაშობა შეიძლება მხოლოდ ძალიან დაახლოვებულ პირთან და ნათესაობაშიდ და არა სხვებთან.

დასხმული სანელებელი რომ საინზე გადარჩება, მასზე პურის ლუკმის დაწება და მისი აღება ურიგობაა.

თევზი ბლიუდოდგან უნდა აიღოთ და გადიტანოთ თავის თევშზედ სათევზე ხოწით.

უნდა ეცადოთ, რომ სხვა სტუმრებზედ უფრო გაგრძელებულად არ მიირთვათ საჭმელი, რომ არ გილოდინონ თქვენ და ამით ხელი არ შეუშალოთ მსახურების მოქმედებას. გაგრძელებულად სადილის მირთმევა შეგიძლიათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა გვერდში გიზის უკბილო მოხუცი. ზოგიერთ მოხუცებულ კაცს უკბილობა ისე უჭივრებს საქმეს, რომ როცა სტუმრებში ზის, საკმაო საჭმლის მიღებას ვერ ასწრებს და ამიტომაც ღვინოს უფრო ეძალება. რომ ჰკითხო მიზეზი ეგრეთის მოქმედებისა, ის მაშინვე აგიხსნის, რომ რადგანაც უკბილობა მიშლის საყოფი საჭმლის მიღებას, ამიტომაც ღვინოს ვეძალები, რომ ამითი მაინც გამოვივსო ფერდებიო. რასაკვირველია, რომ ეგრეთ მოხუცებულთან ყმაწვილმა კაცმა ცოტა გაგრძელებულად უნდა მიირთვას სადილი.

სასმელების მირთმევის წესი ეგრეთია: სტუმრები შემოუსხდებიან თუ არა სასადილო სტოლს, დაიხსმენ თითო რიუმკა კონიაკს, და თუ კონიაკი არ არის, თითო რიუმკა ოტკას და მიირთმევენ; მას ჩაატნევენ ყველის, ან ხმელი თევზის ნათალს, ან ხიზილალას. მასპინძლის თხოვნით, ვისაც ჰსურს, შეუძლია, რომ კონიაკის, ან ოტკის მირთმევა გაიმეთროს, ე. ი. მეორე რიუმკაც მიირთვას. ამას მოჰყვება პირველი თავი საჭმელი, მაგ. წვენი და ამის შემდეგ კი დაიწყებენ ღვინის სმას. ღვინის სმა შეიძლება ერთმანეთის დღეგრძელობით და უიმისოთაც. ეს დამოკიდებულია საქმის გარე-

მოებაზედ და როგორც მასპინძლის, ისე სტუმრების სურვილზე.

სადღენგრძელოების მიღების წეს-რიგს ჩვენ აქ, რასაკვირველია, არ ავხსნით, რადგანაც ქართველები ამ საგანში ისე დახელოვნებულნი ვართ, რომ ზოგიერთნი დაცინვით უბნობენ ჩვენზე: ქართველებისაგან ღვინის სმის მეტი არაფერი გამოვაო. აქ მე მოვიყვან მკითხველისათვის მხოლოდ რამოდენიმე ცნობას იმის შესახებს, თუ ზოგიერთ დიდ სადილებზე მდიდარი გვარები, რომლებსაც ფულები არ ეზოგებათ, რანაირ წესებს მისდევენ ამ საგნის შესახებ.

მდიდარი პირები ზოგიერთ საჭმელებზე მიირთმევენ ხოლმე ერთ რომელიმე სორტ ღვინოს, მაგ. წვნის და თევზის შემდეგ სმენ, თანახმად ჩვეულებისა, ხერესს და სოტერნს; ნანადირევის მოხრაკული ხორცის შემდეგ ბურგუნდის ღვინოს; ყველის შემდეგ—პორტვეინს; მოხრაკულ საჭმელსა და ხაჭაპურს ანუ კუპატს შუა მიირთმევენ იმისთანა ღვინოს, რომ შიშინი გაჭრონდეს, დესსერტის (ხილეულობის) მირთმევის დროს სმენ ღვინოებს: ტოკაისას, მოდედას, კლარეტს ანუ ხერესს.

შამპანის ღვინო შენახული აქვთ ყინულში და ამოიღებენ მხოლოდ სმის დროს, როდესაც ლაქიებმა უნდა ჩამოატაროს სტოლის გრულშამო და დაუსხან სტუმრებს ბაკალებში (გრძელ რიუმკებში). ამ დროს პრობკა ისე უნდა მოხადონ ბოთლებს, რომ მიი დგვეფა არ გახდეს და მანდილოსნები არ დაგვიფრთხოს. ბოთლების დგვეფა და პრობკების ჭერში მირტყმა მხოლოდ რესტორაციებში და უკოლო ყმაწვილების შეკრებილებაში შეიძლება და არა იქ, სადაც მანდილოსნებია.

სხვა და სხვა ნაირ ღვინისათვის სხვა და სხვა ნაირი რიუმკები იხმარება, მაგ. შამპანისათვის—ბაკალები; რეინვეინისათვის—ცოტა ბრტყელი და მოშავო ფერის რიუმკები; ტოკაისათვის მწვანე შუშისა და პორტვეინისათვის ზარების მსგავსი დიდი რიუმკები.

დიდმა გვარებმა ძალიან კარგათ იციან ეს განსხვავებანი

და ამიტომაც უბრალო რიუმკას არ გაუწვდენენ ლაქიას მაშინ, როდესაც ის ასხამს პორტვეინს.

რეინვეინს მოიტანებენ ხოლმე ბოთლებში, კლარეტს და ბურგუნის ღვინოს მათთვის გამგებ მომზადებულ შუშის დოქებში.

სადილი თავდება დესსერტით (ხილეულობით). როდესაც სტოლზე მიირთმევთ კურკიან ხილს, უნდა ეცადოთ, რომ კურკა პირიდგან ხელის გულში ჩაიგდოთ და ხელიდგან საინის ნაპირში. ეს უფრო ადვილია, ვიდრე პირიდგან კოვზზე დააგდოთ კურკები, როგორც ზოგიერთები იქმოვენ.

დესსერტის შემდეგ რომ 15 წამი გაივლის, ლაქიები მოართმევენ სტუმრებს ყავას და ტკბილ ლიქორს. ყავას და ყავაზე ლიქორს სმიან როგორც ვაჟები, ისე მანდილოსნები მიტომ, რომ კუჭმა კარგათ მოინელოს საჭმელი.

ყავა და ლიქორი საჭიროა ნასადილევს, სხვა და სხვანაირის ბევრი და უმეტეს ნაწილად, მძიმე საჭმლის მირთმევის შემდეგ. უარის თქმა დესერტის, ყავის ან სხ. მიღებაზე სირცხვილია, რადგანაც უარის მთქმელი სტუმარი ამ შემთხვევაში ღირსია გაკიცხვისა.

სტოლიდგან ადგომის ნიშნება ოჯახის უფროსის ქალის საქმეა. უამისოთ ადგომა სტუმრების მხრით დიდი უზრდელობაა. ასე, რომ სადილის გათავებისათანავე მასპინძელი ქალი ცოტახანს შესწყვეტს ლაპარაკს, წამოდგება, დასწევს თავის სკამს უკან, თავს დაუკრავს სტუმრებს და თავის კავალერიანათ გავა სასტუმროში. მაშინ კავალერები, უწინდელის რიგით გამოჰყვებიან სასადილო ოთახიდგან თავის მანდილოსნებს სასტუმროშივე და იქ რიგისამებრ ყველანი მადლობას გადუხდიან მასპინძლებს. სადილის გათავების შემდეგ ნახევარი საათი მაინც უნდა დარჩე მასპინძლისას და მიიღო მონაწილეობა სხვების მუსაიფობაში; ამ დროს შეგიძლია პაპიროსიც მოსწიო და მერე გამოეთხოვო მასპინძელს და დაბრუნდე სახლში.

ძალიან ჩქარა სადილის შემდეგ სახლში დაბრუნება არ არის რიგი, რომ არავინ არ იფიქროს, რომ თქვენ მოსრულ-

ხართ მარტვა „სმისა და ჭამისათვის“. გამორიცხვას ამ წესიდგან შეადგენს სამსახურის ანუ საოჯახო საქმის რომელიმე მძიმე შემთხვევა. ამისთანა შემთხვევებვი სტუმარს შეგიძლია, რომ არამც თუ უცებ ნასადილევს, არამედ შუა სადილობაზედაც ადრე, მოითხოვო ბოდიში მასპინძელ ქალთან, რომ თუმცა თქვენ გულითადი მოსურნე იყავით, რომ მასთან მთელი ღამე, ანუ მთელი დღე დაგეყო, მაგრამ არას გზით არ შეგიძლიათ ამის შესრულება; ამიტომ, რომ შეგხვდათ ამნაირი და ამნაირი გარემოება და სხვა, და შემდეგ ეგრეთი ბოდიშისა უნდა დაუკრა თავი სტუმრებს და დაბრუნდე შინ.

XII.

ზრდილობის დაცვა სეირნობის დროს.

პირველი ადგილი სეირნობის დროს თავის დაკვრას უჭირავს. გლახად თავის დაკვრას ხშირად ცუდი შედეგიც მოსდევს. თავის დაკვრა, უბნობს ერთი ნასწავლი კაცი, არის იგივე წერილი, რომელზედაც უნდა ცდილობდე მალე პასუხის გებას, თუ არა გსურს, რომ უზრდელად გამოჩნდეო. თავის დაკვრაში (როდესაც ორნი პირნი ერთმანეთს შეხვდებიან) გამოიხატება: მეგობრობა, გულგრილობა, პატივის-ცემა, მეძიებლობა, ე. ი. წყალობის შოვნის ცოდნა, შეურაცხება, იმედი და უიმედობა. თავის დაკვრა უნდა ქუდის მოხდით და არა უიმისოდ, თავის დაქნევით.

როცა თქვენ შეხვდებით გზაზე მომავალ ნაცნობ მანდილოსანს, თუ გინდ გზაც გაგიბრუნდეს, მაინც რიგია მიეგებოთ, თავი დაუკრათ და ცოტაზე მუსაიფით გაჰყვეთ, მერე თავის დაკვრით გამოეთხოვოთ და უკან დაბრუნდეთ; ძალიან შორს გაყოლა, მის ნენა დაურთველად კი უზრდელობაა.

თუ თქვენ შეხვდით სრულიად უცნობ, ანუ ცოტათი ნაცნობ მანდილოსანს და არა ხართ დარწმუნებული მასში, რომ იგი თქვენ გიცნობდეს, ნუ უჩქარით მის მიგებებას; მაგრამ თუ მან მცინარის სახით შამოგხედა, ეს მისი ნიშანი იქ-

ნება, რომ მან გიცნო თქვენ და ეგრეთ შემთხვევაში, რასაკვირველია, უნდა მიეგებო.

თუ ქალს არ ჰსურს, რომ მას კავალერი გაჰყვებოდეს, მან უნდა შესწყიტოს მუსაიფობა ანუ, გამოთხოვების ნიშნად მსუბუქათ თავი დაუკრას, მოშორდეს კავალერს და ბიჯი გაუჩქაროს. თუ კავალერმა ველარც ეს გაიგო და კიდევ არ მოშორდა მანდილოსანს, ეს იქნება იმის მხრით დიდი უზრდელობა. ამ შემთხვევაში გასათხოვარი ქალი გაუღიმებლად, სრულიად უკმაყოფილოს სახით და გულ-გრილად მოშორდება თავის კავალერს და ჩქარის ბიჯით წავა თავის გზაზე.

როცა თქვენ სეირნობთ მანდილოსანთან ხელ-გაყრილი, უნდა ეცადოთ, რომ

თუ ნელა დასეირნობენ, თქვენც ნელ-ნელა უნდა ისეირნოთ, თუ ჩქარა, თქვენც ჩქარის ბიჯით უნდა გაჰყვეთ.

როცა თქვენ შეკრებილებაში დასეირნობთ, ადვილათ შეგიძლიათ, რომ ვისმეს ხელი, ან ფეხი უნებურად წაჰკრათ, ამ შემთხვევაშით უცებ ბოდიში უნდა მოითხოვოთ, და თუ იგი ქალია, ბოდიშის მოთხოვის დროს, ცოტატი ქუდიც უნდა აიწიოთ, რომ ამისთანა დატაკება არ შეგხვდეს, საჭიროა, რომ მარჯვნისკენ წაბრძანდეთ და თქვენსკენ მომავალნი პირნი მარცხნისკენ გაუშვათ. მაგრამ თუ მანდილოსანს ხელგაყრით მიჰყვებით, შეიძლება მარჯვნისკენ ვერ იშოვნოთ გასაძრომი ადგილი ხალხში, მაშინ ეცადეთ, თქვენის მანდილოსნიანათ მარცხნივ გაძვრეთ.

ზურგის შექცევით ლაპარაკი ძლიერ უზრდელობაა; ეგრეთვე უზრდელობაა ჯოხის, ქორგის ან თითის მიშვერა უცნობ პირზე და ისე მისი ჩვენება.

თუ თქვენი ნაცნობი კაცი მოდის თქვენთან მარჯვენა მხარეზე, მაშინ მარცხენა ხელით უნდა მოუხადო მას ქუდი, და თუ მარცხენა მხარეზე, მაშინ კი მარჯვენა ხელით, რომ ქუდის მოხდის დროს თქვენი ხელი თქვენს პირის სახეს არა ჰფარავდეს მისგან, ვისაც თავს უკრავთ.

უზრდელობაა ძალიან ხმა-მაღლა ლაპარაკი, გამვლელ-გამომვლელების შესახებ საკიცხავი შენიშვნები, რხმლის ჟღარუნი, ტროტუარზე გაჩერება ნაცნობების, რომლებიც სხვა პირებს უშლის გავლა-გამოვლას, ქორგის წაკვრა მოსეირნეების ქუდზე და სხ.

როცა თქვენ იმყოფებით სხვის სახლში, უნდა ეცადოთ, რომ თქვენი ხასიათი დიუმორჩილო სხვების გემოს.

როდესაც ოჯახის უფროსები მოგიჩენენ თავის რომელიმე მოსამსახურეს და თქვენ იქ დარჩებით რამოდენიმე დღეს, რიგია, რომ უკან დაბრუნების წინ უნდა ცოტათი მაინც დაასაჩუქროთ ის შინა მოსამსახურე.

საზოგადო ცხოვრებაში სწორი და მარადის მოგობრული განწყობილება ჩაითვლება ყოველთვის კეთილ საქმეთ, რომელიც ხშირად გაუწევს ხოლმე მაგიერობას სილამაზეს, ტალანტს

და თვით ჭკუასაც. მოწყენილი, თავის ნება და წუნია სტუმარზე უარესი ვინლა უნდა იყოს მასპინძლისათვის?

როცა ხიხართ საზოგადო ეკიპაჟებში და ვაგონებში, არ უნდა დაუწყოთ მუსაიფი უცნობ მოგზაურებს და არ დაუახლოვდე, არც ძალიან პატივი სცე უცნობ მანდილოსნებს, რადგანაც არ იცი, თუ ვის ან რანაირი ხასიათის პირებს უზიხართ გვერდით.

ფრანცუზებს და რუსებს აქვთ ჩვეულება ეგრეთი, რომ როდესაც ზიან ცხენზე და მათ შეხვდებათ ნაცნობი მანდილოსანი, ისინი ცხენიდგან არ გადმოხტებიან, მხოლოდ გაიჩერებენ ცხენებს, თავს დახრიან ნაცნობ ქალისკენ და ისე დაუწყებენ მას ლაპარაკს; თუ მუსაიფი გაგრძელდება რამოდენიმე წამი, მაშინ, რასაკვირველია, ვაჟი უნდა ჩამოხტეს ცხენიდგან, ლაგამი ხელში დაიჭიროს, თან წაუძღვეს ცხენს და ისე გაჰყვეს მანდილოსანს და ესაუბროს.

პაპიროსის წევა ქუჩაზე ყველას შეუძლია, მაგრამ როცა მანდილოსანთან მიბრძანდებით სამუსაიფოდ, პაპიროსი ხელიდგან უნდა გააგდოთ.

თუ თქვენი ციგარი ან პაპიროსი გაქრა და თქვენ გსურთ მისი მოკიდება ქუჩაზე, ამის შესახებ თავაზიანათ სთხოვეთ გამვლელს, მაგრამ ხელში ნუ აიღებთ მის ციგარს, თქვენ რამოდენიმეთ დაიხარეთ იმისკენ, მოსწიეთ თავის ციგარი და როდესაც ცეცხლი მოეკიდება, მჩალტეთ ქუდი აიწიეთ და მადლობა შესწირეთ.

XIII.

დიდის და საღამოს ვიზიტები.

ვიზიტი ჰქვია სანახავად მისვლას რომელიმე პირთან. დროების მიხედვით, ვიზიტი ორ ნაირია; დილით ნახვა, ანუ დილის ვიზიტი, და საღამოთი ნახვა ანუ საღამოს ვიზიტი; ხოლო სამძიმოების ანუ ღირსების მიხედვით იგი არის ცერემონიალური ანუ თავაზიანი და მოუმზადებელი. ვიზიტით ანუ

ნახვით ჩვენ ვუხდით პატივისცემის გარდასახადს წლოვნობას, წოდებას, გავლენას, სილამაზეს და ტალანტს რომელიმე პირისას,

უმეტესობა ვიზიტებს აკეთებს 11 საათიდგან 12 საათამდის; მაგრამ ჩვეულებრივი დრო ვიზიტებისა, რასაკვირველია იცვლება გარემოების მიხედვითაც, ასე მაგ. ზოგნი სადილობენ 3 ან 4 საათზე; ამიტომაც მათ შეგიძლიათ გაუკეთოთ ვიზიტი 12 საათის შემდეგ 3 საათამდის; ზოგნი კი სადილობენ საღამოს 6 საათზე და ამიტომაც მათი ვიზიტების გაკეთება შეიძლება 1 საათიდგან მეხუთე საათამდის. ამას რასაკვირველია ჩვენ ვუბნობთ იმ პირზე, რომელნიც არ არიან ჩვენი მეგობრები ან ახლობელნი ნათესავები. ძალიან ახლობელ ნათესავის და მეგობრის ნახვა ყოველთვის შეიძლება.

ვიზიტები არ შეიძლება თედრობის და ვნების კვირაში და შობის შამოლოცვას, რადგანაც ოჯახის უფროსებს ამ დროს სტუმრის მისაღებათ არ სცალიათ.

საზოგადოთ თუ ვიზიტს უკეთებთ რომელიმე ოჯახს, საჭიროა წინადვე გაიგოთ საკუთარი ჩვეულება იმ ოჯახის, თუ მნახველებს რა დროს ღებულობს.

უფროსებს შეუძლიათ, რომ არ მისცენ ვიზიტი თავის უმცროსებს. მანდილოსანი ვაჟს ვიზიტს არ აძლევს; პრატეკციის გაწევა ან დაპატიჟება მისი კი შეუძლია.

თუ გასათხოვარ ქალს თავის დედ-მამა სახლში არა ჰყავს, შეუძლია თქვენ არ გინახულოს, ე. ი. არ მისდოს თხვენი ვიზიტი. როდესაც ფაიტვნით სანახავად მიბრძანდებით ვისმესთან, შეაგზავნეთ ლაქია—გაიგოს: შინ არის ოჯახის უფროსი და ღებულობს მნახველს თუ არა? თქვენ თუ იქ ძვირათ იმყოფებით, საჭიროა გაატანოთ მას სავიზიტო ქარტა. თუ ოჯახის უფროსი გღებულობს, მაშინ უნდა ჩამოხტე ფაიტვინდგან და ნახო; თუ ლაქიამ მოგახსენა, რომ ოჯახის უფროსი ქალი შინ არ არის, მაშინ ყური უნდა გადუკეცო ქარტას და გაატანო ლაქიას ნიშნად ნახვისა.

აფიცრის ანუ საზოგადოთ სამსახურის კაცის ცოლები-

ჯვარის დაწერის შემდეგ, თავიანთ ქმრებიანათ ნახულობენ თანამოსამსახურეებს და მათ ცოლებს.

ოჯახის უფროსი ქალი, მნახველის მიღების დროს, ცოტათი წამოიწევა თავის ადგილიდგან, ანუ ადგება და გადასდგამს წინ 2—3 ბიჯს მნახველი ვაჟის მისაგებებლათ, მერე ეტყვის რამოდენიმე მოხერხებულ სიტყვას, დაჯდება თავის დივანზე, გიჩვენებს ხელით სკამს და გთხოვს, რომ დაბრძანდეთ მასზე. მანდილოსანი კი, რომელმაც მას ვიზიტი გაუკეთა, მოუჯდება მას გვერდით დივანზე. პირველი ვიზიტი 15 წამის მეტი არ უნდა გაგრძელდეს. როგორც კი შამოგელევა სამუსაიფო, უნდა ადგე და გამოეთხოვო. მნახველს უნდა გამოუცხადოთ სიხარული, რომ იგი ნახეთ, ჰკითხოთ როგორ მშვიდობით ბრძანდება, ან რასა იქს, რა მოხელობაზედ ადგია; როგორ მშვიდობით არის მისი დედ-მამა და სხ. ეს მოკლე ფრაზები უმეტეს ნაწილათ ზეზე ითქმის. შემდგომ ამისა სთხოვეთ, რომ დაბრძანდეს. მანდილოსანი დაჯდება რასაკვირველია ვაჟზე უწინ. თუ ამ დროს მანდილოსანი შამოვიდა, ვაჟები ადგებიან თავიანთ ადგილებიდგან, ოჯახის უფროსი ქალი კი მიეგებება მას რამოდენიმე ბიჯზე.

ცერემონიალური ნახვა (ვიზიტი) გრძელდება 15 წამიდგან ნახევარ საათამდის, მეტი გაჩერება ურიგობაა, მაგრამ თუ ძალიან ახლობელია ანუ ნათესავია ის პირი, რომელიც ნახე, მაშინ შეგიძლია მეტი ხანიც დარჩე.

ვიზიტისათვის წინდაწინ დაამზადებენ პატარა მოსაკითხავ ქარტებს, რომლებსაც ერთ ყურში უნდა ჰქონდეს ასო: „მ“, რომელიც ნიშნავს მილოცვას; მეორე ყურში „წ“—რომელიც ნიშნავს წასვლას ქალაქში ანუ სადმე მოშორებით; მესამე ყურში „ს“—სურვილს, რომ თქვენ გსურთ გაიგოთ, თუ როგორ მშვიდობით იმყოფება თქვენი ნაცნობი, ვისაც იკითხავთ; მეოთხე „დ“—თქვენს დაბრუნებას რომელიმე მხრიდგან, სადაც თქვენ დაჰყავით რამოდენიმე თვე ან წელი.

თუ თქვენ ვისმესთან მიბრძანდით პასექის, ახალ-წლის, შობის ან სხვა რომელიმე დღის მისალოცავად, მაშინ ამოიღებთ ჯიბიდგან მოსაკითხავ ქარტას და გადუკეცავთ იმ ყურს,

რომელზედაც აწერია ,,მ'', ე. ი. მილოცვა, დაუტოვებთ ლაქიას და წაბრძანდებით. ამ ვიზიტს ჰქვია მისალოცავი ნახვა. თუ თქვენ მიბრძანდებით ნაცნობთან გამოსათხოვებლათ, მაშინ ქარტას გადუკეცავთ იმ ყურს, რომელსაც აწერია ასო ,,წ'' და დაუტოვებთ ლაქიას. ამ ვიზიტს ჰქვია გამოთხოვების ვიზიტი. ასოების ,,ს'' და ,,დ''-ს შესახებაც ეგრე მოიქცევით.

საწლო უქმეებზე ქარტები ყურ გადუკეცელად უნდა გაუგზავნო ფოშტით, ან მსახურის ხელით ნაცნობებს, და თუ ძალიან ახლობელი ნათესავი ან ნაცნობია, ქარტის მეორე გვერდზე მისალოცავი სიტყვებიც უნდა დასწერო.

დიდ-კაცების სასახლეში, სადაც დღესასწაულზე და სხვისაც მრავალი მნახველი მიდის, ოჯახის უფროსებს ძლიერ ღალავს მათი მიღება. ამიტომაც ეგრეთ სასახლეებში შამოღებულია დავთრის ქონება. როგორც კი მისავალ ოთახში შებრძანდებით, თქვენ მოსთხოვთ შვეიცარს დავთარს, რომელშიდაც ჩასწერთ თქვენს სახელს და გვარს. ამისი შეუსრულებლობა, ნამეტურ სამსახურის კაცისაგან, არამც თუ უზრდელობაა, არამედ ნამეტანი თავხედობა, რადგანაც ეგრეთი მოქმედება ამტკიცებს უყურადღებობას იმ მაღალ დადგენილ პირთან, რომელიც ღირსია პატივისცემისა თავის ქვეშევრდომისაგან.

გარდა უქმეებისა, სხვა გარემოებების დროს, მაგ. როდესაც ეთხოვები ვინმეს, ან სათხოვარი გაქვს რაიმე, ან გსურს, რომ თავისი დაბრუნება შორი მხრიდგან აცნობო ვისმეს, ან მადლობა შესწირო რაიმე კეთილი საქმისათვის და შემდგომად ავადმყოფობისა, ქარტის გაგზავნა არ უნდა. ამისთანა შემთხვევაში ქარტით მოკითხვას პირდაპირ ნახვა სჯობია.

როდესაც აპირობთ ვისმესთან მისვლას სანახავად (სავიზიტოდ). უნდა ეცადო, რომ წინათვე მოემზადო მათთან სამუსაიფოდ და იფიქრო, თუ როგორ მოიქცე, რომ თქვენ თავი მოაწონოთ და შეიყოლიოთ იგინი იმ დროების განმავლობაში, რომელსაც თქვენ ერთმევთ მათ თქვენის ნახვით.

არასოდეს არ უნდა მიხვიდეთ ვისმესთან სანახავად იმ

დროს, როდესაც თქვენ ხართ მწუხარე, უკმაყოფილო, დაფიქრებული და გაჯავრებული. ამ ნაირად სხვის სახლში მისვლა სირცხვილიცაა და უზრდელობაც; ნაბადი, კალოშები, ჯოხი, ქოლგა და ეგრეთი საკუთარი ფიქრები, მისავალ ოთახში უნდა დასტოვო და უამათოთ შეხვიდე სხვის სახლში.

როცა ვისმეს სანახავად მიდიხართ, თან არ უნდა წაიყვანოთ არც ძალიან პატარა ბავშები და არც ძაღლები. პატარა ბავშები მიტომ, რომ ისინი ვერ ჰფლობენ თავის გრძნობას, რომლის მიზეზიდაც სხვის სახლში ხშირად იციან აჩემება სხვა და სხვა ნივთების, ან და რადგანაც თავის შესაყოლიებელს ვერაფერს ნახულობენ, ამიტომაც ხშირად გამოიჩენენ ხოლმე მოწყენას და დაღლილობას.

თქვენი ძაღლი, რაც უნდა კარგი, ჭკვიანი და ლამაზი არ იყოს, და რაც უნდა ძალიან არ გიყვარდეს, მაინც არ უნდა წაიყვანო სხვის სახლში, რადგანაც ბევრია იმისთანა ოჯახის უფროსი, რომ ძაღლი არ უყვარს, და თქვენი მაგნაირად მისვლა მას სასიამოვნოდ არ დაურჩება; ამას გარდა შეიძლება, რომ მის, ვისთანაც თქვენ მიბრძანდებით, თავისი ძაღლი ჰყავდეს, ის ძაღლი თქვენს ძაღლს წაეკიდება და მასპინძელი თქვენი მიღების მაგივრად ძაღლების გაზავებას მოუნდება და ეს ხომ თქვენის მხრით უზრდელობა იქმნება?

როცა თქვენ შეხვალთ ოთახში და ახსნით თქვენი ვიზიტის (ნახვის) მიზანს, უნდა დაბრძანდეთ იმ ადგილზე, რომელსაც ოჯახის უფროსები გიჩვენებენ. ჯდომის დროს ფეხები წინ არ უნდა გაჭიმოთ, დივანზე გლახათ არ გაიშხლართოთ, თავი არ უნდა მიაჭიროთ არც დივნის ბალიშს, არც კრესლოს ზურგს, ხელებით სტოლზე თამაში არ უნდა დაიწყოთ. ფშტვინვა, ნივთების სტოლიდგან აღება და ხელში თვალიერება ძლიერ სირცხვილია.

თუმცა ცერემონიალური ნახვა (ვიზიტი) დიდხანს არ გაგრძელდება, როგორც ჩვენ ზევით ავხსენით, მაგრამ სასოფლო ვაჟი მაინც მოასწრებს რამოდენიმე ახალი ამბავის თქმას. გრძელი ისტორიების მოყოლის დრო იქ არ არის,

თვითან ანეკდოტებიც რამოდენიმედ შემოკლებულად უნდა ითქვას.

თუ ნახვის დროს იქ იმყოფებიან იმ ოჯახის სხვა წევრნი, საჭიროა, რომ თვითეულ მათგანს უთხრა რამოდენიმე სასიყვარულო ფრაზები, რომ ამითი უჩვენო მათ თქვენი ყურადღება.

თუ თქვენი ვიზიტის დროს მოსამსახურემ მოახსენა მასპინძელს ახალი მნახველის მოსვლა, თქვენ მაშინვე უნდა ადგეთ და გამოეთხოვოთ მასპინძელს, მაგრამ თუ მან დაგიწყოს თქვენ თხოვნა დარჩენის, მაშინ დარჩით; შემოსრულ სტუმარს, თუ გინდ მას ვერც კი იცნობდე, თავი დაუკარით და ერთ პიჯზე დაიწიეთ უკან, რომ მას ოჯახის წევრებთან მიგებება არ დაუშალო. როდესაც სტუმარს დააჯენენ, თქვენ თქვენივე ადგილი მოიკავეთ და ეცადეთ, რომ მაშინვე მიიღოთ მონაწილეობა საზოგადო საუბარში. მაგრამ გაწყვეტილ საუბარს კი ნუ განაახლებ იმ საგნის შესახებ, რომელზედაც მუსაიფობდი ახალი სტუმრის შამოსვლამდის, თუ მასპინძელმა არ გთხოვოს.

თუ, თქვენის იქ მყოფობის დროს, ვინმე სტუმარი ადგა და გამოეთხოვა ოჯახის უფროსს, თქვენც მაშინვე უნდა ადგეთ და როდესაც ის, გამოთხოვების ნიშნად, დაგიკრავს თავს, თქვენც რასაკვირველია სამაგიეროდ დაუკრავთ თავს და არ დაბრძანდებით მანამდის, სანამდის მას არ გაისტუმრებენ ოთახიდგან; მაგრამ თუ წამსვლელი მანდილოსანია და თქვენ გთხოვა გაყოლა, უნდა მაშინვე გამოეთხოვოთ მასპინძელს და იახლო მას, მანდილოსანს.

ვიზიტის დროს უნდა ეცადოთ, რომ საათში ცქერა არ დაიწყოთ, რადგანაც ეგრეთი მოქმედება დაამტკიცებს ან თქვენს მოწყენილობას მასპინძლის სახლი, ან იმას, ვითომც რომ თქვენ იყოთ მოუთმენელი ტეტრრ (პედანტი), რომელსაც მარტვა თავისი თავი მოსწონს და სხვისი ყოველისფერი არა-რად მიაჩნია. თუ მაინდამაინც თქვენ დროება ისე გამოანგარიშებული გაქვთ, რომ თვითეული ვადაზე გადაცილებული წამი შეადგენს საგრძნობელ დანაკარგს, მაშინ, როგორც კი შენიშნო მოშორების საჭიროება, ჩაიხედეთ ერთხელ საათ-

ში და ბოდიში მოითხოვეთ მასპინძელთან, რომ სავადო საქ-
მეები ნებას არ გაძლევსთ, რომ მეტი ხანი დარჩეთ იქ, გამო-
ეთხოვეთ და დაბრუნდით სახლში.

ცერემონიალური ნახვა უნდა გადუხადო მნახველს ხუთი
დღის განმავლობაში. რამდენათაც უფრო მეტს პატივს სცემ
მნახველს (ვიზიტორს), მით უფრო ადრე უნდა უგო პასუხი
ნახვით, ე. ი. თუ ვინმემ გნახა დილას და თქვენ ძალიან
გიყვართ იგი, უნდა ეცადოთ, რომ სამაგიეროთ ნახოთ იმავე
დღის საღამოს, ან მეორე დღეს, თვარა და მესამე დღეს.
თუ ხუთი დღის განმავლობაშიდაც სამაგიეროთ არ გინახავსთ,
მაშინ მას—მნახველს შეუძლია, რომ თავისი თავი ჩასთვალოს
გალანძღულად თქვენგან და სრულიად მოსპოს თქვენთან მე-
გობრობა.

მოუმზადებელი ნახვა (визитъ за просто). მოუმზადებ-
ლად სანახავად მიდიან იმისთანა ნათესავებთან და მეგობრებ-
თან, რომლებიც ძალიან დაახლოვებულნი არიან. თუმცა მო-
უმზადებელი ნახვა ექვემდებარება უფრო ცოტა წესრიგებს,
მაგრამ რაც უნდა ახლობელი არ იყოს თქვენგან ნახული პი-
რი, თავაზიანობა და ზრდილობა თქვენს მოქმედებას მაინც კი
უნდა ეტყობოდეს.

ზარის დაუკრელად, ან კარზე დაურახუნებლად არასო-
დეს არ უნდა შეხვიდე სხვის სახლში. თუ ზარა აქვს იმ სახ-
ლის კარს, რომელშიდაც შესვლას აპირობ, უნდა დარეკო ის,
და თუ არა აქვს კარზე, ხელით უნდა დაურაკუნო, რომ
გამოგხედონ და როდესაც გამოგხედავენ, შებრძანდეთ, ან მა-
თის მიპატიჟებით, ან ნების გამოთხოვით.

მწუხარის სახით მხოლოდ დედ-მამის სახლში შეგიძლია
შესვლა, რაც შეეხება სხვა სახლებს, იქ მხიარულად უნდა
შებრძანდეთ. სხვის სახლში მხოლოდ ერთ შემთხვევაში შე-
გიძლია მწუხარედ შესვლა, მაგ. მაშინ, როცა თქვენი დაფიქ-
რების საგანი შეიქნება მიზნად ვიზიტისა, არუ ნახვისა.

რაც უნდა დაახლოვებული არ იყო სახლში, ნუ დაჯდე-
ბით დივანზე, მასპინძლის ქალის გვერდი თ; წასწიეთ მისკენ
წინ კრესლო და ისე დაბრძანდით. დივანზე ჯდებიან ხოლმე

მანდილოსნები და წარჩინებულნი პირნი, რომელთაც ოჯახის უფროსი ქალი სთხოვს, რომ მას მოუჯდეს გვერდით.

ხანდისხან ოჯახის უფროსი, ავადმყოფობის გამო ვერ შეიძლებს სტუმრობაში თქვენთან გამოსვლას და მიგიწვევს თავისთან მოსასვენებელ ოთახში. ამ დროს თქვენ უნდა მიიღოთ მხიარული შეხედულობა, ლაპარაკი წყნარად უნდა დაუწყოთ მას, უნდა მოუყვეთ რაიმეს თავ-შესაყოლიებელს და ნუ შეანიშვნიებთ, რომ თქვენ ხედავთ მასში გამოცვლას. ეგრეთვე სხვა და სხვა ავადმყოფობაზე და მათ ნიშნების აღწერაზე საუბრის ჩამოგდება გლახაა, რადგან ავადმყოფი ეგრეთ საუბარს თავის თავზე მიიღებს და, მაშასადამე, თუ იგი ძლიერ ავად არის, მას ადვილათ მოჰყვება ცუდი შედეგი.

XIV.

ბანქოს თამაშობა.

ბანქოს ეხლა თამაშობენ მანდილოსნებიც, გასათხოვარი ქალებიც და ყმაწვილი კაცებიც. ეს თამაშობა ძალიან უკარგავს დროებას საზოგადოდ მოთამაშე პირებს და ზოგიერთებს კი, დროს გარდა—სხვასაც, მაგრამ ნათქვამია: ,,ამყოლს აჰყევი, დამყოლს დაჰყევიო''. ეს ძველი ანდაზა ძლიერ მართლდება ბანქოს თამაშობის შესახებ. ბანქოს თამაშობა ამ საუკუნეში ისე გავრცელებულია, რომ ზოგიერთისათვის იგი ნამდვილ კერპ-თაყვანისცემათ გადაიქცა.

რადგანაც ბანქოს თამაშობა სასოგადოებისაგან მიღებულად და სავოველთაო სათამაშოდ შეიქმნა, ამიტომაც მისი შესწავლა ყმაწვილი ხალხისათვის ძლიერ საჭიროა. უამისოდ ყმაწვილი კაცი ხშირად ჩავარდება ხომლე მოუხერხებელ და უმარჯვო მდგომარეობაში; უამისოდ იგი ადვილად შეიქმნება საზოგადო კმაყოფილების ხელის შემშლელი. ბანქოს თამაშობის სწავლა საჭიროა, მაგრამ საქმე იმაში მდგომარეობს, რომ ეს თამაში, არ უნდა გადაიქცეს მავნებელ გულის თქმად: ,,თამაშეთ, როცა თავისუფალი ბრძანდებით მეგობრების პატი-

ვისცემისათვის, რომ ასიამოვნოთ ისინი და არ შეუშალოთ ხელი საზოგადო კმაყოფილებას, მაგრამ ვერცხლის მოვვარეობას კი გულში ნუ ჩაუშვებთ, რადგანაც ფულზე კარტის თამაშობას ბევრისთვის დიდი ქონება გამოუცლია ხელიდგან და ზოგნი მათგანი უპურ-ლუკმოდ დაუტოვებია, როდესაც თავისუფალი ხართ, ითამაშეთ, მაგრამ უფულოდ და არა ფულზე; თამაშობა უნდა დარჩეს თამაშობად და არა ეგრეთ საქმედ, რომელსაც შემდეგში შეუძლია შეარყიოს თქვენი სულიერი მშვიდობიანობა.

როცა თქვენ მოხვდებით იმისთანა სახლში, სადაც ბანქოს თამაშობენ და თქვენ გთხოვეს მონაწილეობის მიღება იმ თამაშობაში, აუსრულეთ მათი თხოვნა, მაგრამ თუ კარგათ არ იცით ბანქოს თამაში, წინდაწინ განუხცადეთ მოთამაშეებს თქვენი სისუსტე; ითამაშეთ ფრთხილად და ძალიან დიდხანს ნუ გააგრძელებთ მას.

ბანქოს არ უნდა თამაშობდენ ერთად: ქმარი და ცოლი, მამა და შვილი, ანუ ძმა და და ორის მიზეზით: პირველად მიტომ, რომ ახლობელი ნათესავი პარტნიორები ხშირად დავობენ და ერთმანეთს აყვედრიან ხოლმე თამაშობის წესის დარღვევას; მეორეთ მიტომ, რომ რადგანაც ისინი ერთ ოჯახში სცხოვრობენ და სულ მუდამ ერთად თამაშობენ, იმათ უნებურად, ისე დაწვრილებით დაისწავლეს ერთი მეორეს თამაში, რომ გამარჯვება უმეტეს ნაწილად გადადის მათ მხარეზე, რასაკვირველია სხვა მოთამაშეების საზარალოდ.

თუ მაინც და მაინც ფულზე თამაშს არ მოიშლი, ითამაშე იმდენზე, რაძდენსაც შენი ჯიბე შეიძლებს, მაშინ ვერც მოგება და ვერც წაგება ვერ აგაღელვებს, ე. ი. მოგება ვერ გამოგაჩენს ნამეტან მხიარულად და წაგება ნამეტან მწუხარედ. ეს ერთი. მეორედ, ბანქოს თამაშობის წინ უფრო წაგებას უნდა მოელოდე, ვიდრე მოგებას და თუ ეგრეთი ფიქრების შემდეგ წააგე, მაშინ აღარ აღელვდები.

როცა თქვენი ამხანაგები ბანქოს თამაშობენ, მაშინ არ არის რიგი, რომ თქვენ ფორტოფიანს, ან შუზიკას უკრავდეთ.

ბანქოს თამაშობის დროს შეიკავეთ თავი, რომ ხშირად არ მისცეთ შენიშვნა თქვენს პარტნიორს, რადგანაც ამისთანა მოქმედება არ მოეწონება სხვა მოთამაშეებს; ეს შეგიძლიათ შეასრულოთ ბაქნოს რიგების დროს და მაშინაც კი უნდა ეცადოთ, რომ თქვენი ხმა არ გამოხატავდეს თქვენს უპირატესობას, არამედ გამოცდილი მოთამაშის კეთილ რჩევას. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ მოთამაშეები საზოგადოდ კოხტა ხალხია, მათში იმისთანაებიც ურევიან, რომლებიც თავის ინტერესის გულისათვის მზათ არიან, დაივიწყონ: ზრდილობაც, შეგობრობაც და სტუმართ-მოყვარეობაც.

თუ ბანქოს თამაშშიდ წააგე და გთხოვეს, რომ წაგებული ფულის უკანვე ამოსაგებლად, კიდევ გააგრძელო თამაში, ნუ დაეთანხმები, ფორემ ეგ უმეტეს ნაწილად მოსარიდებელი მახეა, რომელსაც მოსდევს თითქმის ყოველთვის კიდევ ახალი წაგება.

თუ თქვენ ბედი გეწიათ და თამაშშიდ მოიგეთ და მეტი თამაში აღარ გნებავთ, სთხოვეთ წამგებს, რომ გააგრძელოს ბანქოობა თქვენთან და დაიბრუნოს წანაგები ფული და თუ დაგეთანხმოს, მის პატივის ცემისთვის გააგრძელეთ თამაში. თუ არ დაგეთანხმოს, ადექით, თქვენი ადგილი სხვა მოთამაშეს დაუთმეთ და იმ სტოლს სრულიად მოშორდით, რომ მოთამაშეებში არ აღძრა უნებურად შური.

თუ არ იცით ბანქოს თამაშობა და გსურთ, რომ უყურეთ მის თამაშობას, წინდაწინ გამოითხოვეთ ნებართვა ყველა მოთამაშეებისაგან და, მათი ნებართვით უყურეთ, რადგანაც უამისოდ მათში ხშირად მოხდება ხოლმე ცრუ მორწმუნეობა და თავის წაგებას მოგაწერენ თქვენ, ვითომც, რომ თქვენ გლახა ფეხის იყოთ.

თუ მოთამაშეები ნებას მოგცემენ სტოლთან ჯდომისას, თქვენ ნუ დაუწყებთ ცქერას მათ ბანქოებს და ნურც თვითონ მათ დაუწყებთ ლაპარაკს.

XV.

ზრდილობის დაცვა ლაპარაკის და საუბრის დროს.

მისთვის, რომ თქვენი ლაპარაკი იყოს სასიამოვნო, თქვენ ლაპარაკის დროს უნდა დაივიწყოთ თავის თავი და გახსოვდეს მხოლოდ ისინი, ვისაც ელაპარაკებით. თვითან ხმაც უნდა გამოიცვალოთ თანახმად მისა, თუ ვის ემუსაიფებით: ვაჟს, თუ ქალს? ამ უკანასკნეთან ლაპარაკი უნდა დაწეულის ხმით; მოდულიაცია, ე. ი. ერთი ხმიდან მეორე ხმაზე გადასვლა უნდა იყოს უფრო რბილი და გამოთქმა აზრისა ზრდილობიანი.

როგორის ენით უნდა ვლაპარაკობდეთ ჩვენ? როგორც ჩვენ, ისე ყოველი კაცი სიზოგადოებაში უნდა ლაპარაკობდეს უბრალო ენით, რომ ჩვენი ნათქვამი აზრი ყველასათვის გასაგები იყოს. ენის შემუშავებისათვის საჭიროა კარგი მანდილოსნების საზოგადოების გაცნობა, ზრდილობიან ყმაწვილ კაცებში მისვლა-მოსვლა და საუკეთესო თხზულების კითხვა. ამითა კაცი შეეჩვევა იმ გამოთქმების გამორჩევას და ხმარებას, რომელიც საჭიროა საზოგადოებაში მიღებული ლაპარაკისათვის.

ეხლა სრულიად გადავარდა ხმარებიდგან მანდილოსნის ან გასათხოვარი ქალის ქალბატონად წოდება; ამის მაგივრად, როდესაც მიიქცევიან მასთან, უწოდებენ სახელს და მამის სახელს; მაგ.: ნატალია დავითის ასულო! ნინო ივანეს ასულო! და სხ. თუ მას აქვს ტიტული (ხარისხის წოდება) ეუბნებიან: კნიაგინია, კნიაჟნა, გრაფინია ან ბარონესსა. თუ ვისმეს ელაპარაკებიან მისის ცოლის შესახებ, მაშინ ეტყვიან: ,,თქვენი მეუღლე და არა თქვენი ცოლი".

გამოთქმა: ,,იგი ორსულად არის", ანუ ,,იგი მძიმეთ არის" არ იხმარება. ეს გამოთქმები უნდა გამოიცვალოს პერიფრაზით: ,,იგი საინტერესო მდგომარეობაშია". ეგრეთვე შემდეგი გამოთქმები უნდა გამოიცვალოს ამ ნაირად:

,,დაჯედის" მაგივრად უნდა ითქვას ,,დაბრძანდით".

წადით	—	—	—	წაბრძანდით.
როგორ ხართ	—	—	—	როგორ ბრძანდებით.
მიუტანე	—	—	—	მიართვი.
დაწევით და დაიძინე	—	—	—	მოისვენეთ.
დალიე, ჭამე	—	—	—	მიირთვით.
ადექი	—	—	—	აბრძანდით.
რა გინდა	—	—	—	რა გნებავსთ.
ქუდი დაიხურე	—	ქუდის		დახურვა ინებეთ.

და სხვ.

უფროსი უმცროსს უბრძანებს, (და არა ეტყვის), უმცროსი კი უფროსს მოახსენებს (,,ეტყვის'' მაგივრად).

ჩვენს თანასწორს ვეტყვით; ,,თუ გიყვარდე გადმომეცი მე ეგ წიგნი''. ჩვენზე მეტს კი ვსთხოვთ ეგრე: ,,გთხოვ, ბრძანდებოდეთ თქვენ ეგოდენათ კეთილნი, რომ გადმომეცით მე ეგ ნივთი და სხ., ანუ ,,გავბედავ თუ არა, რომ გთხოვო, გადმომცეთ მე ეგ ნივთი'', ანუ ,,შეგკადრებ თქვენ თუ არა და ხს.

მანდილოსნებთან არ არის რიგი სამეცნიერო საგნებზე ლაპარაკის დაწყება; ამისთანა საუბარს თავისი დრო აქვს და თავისი ადგილი. მანდილოსნებთან უნდა იმუსაიფო იმაზე, რაც მათთვის საინტერესოა.

კაი ხანია, რაც ჩვენს ენას შემოეპარა უცხო ქვეყნის სიტყვები, რომლებიც შეიქმნენ საზოგადო-სახმარ სიტყვებად. ეგრეთი სიტყვები ლაპარაკში სიფრთხილით უნდა ვიხმაროთ; ამიტომ რომ უადგილოთ მათი ხმარება საზოგადოებაში გახდის მოლაპარაკე პირს სასაცილოდ, მაგ. სიტყვა: ნაჩანიკი (ნაჩალნიკი) ,,უფროსის'' მაგივრად; დოხტური (დოკტორის მაგივრად), როდესაც რომ ქართულად შეიძლებოდა გვეთქვა: ,,ექიმი'', ,,პერედინა'' (პერედნიაია)—წინა ოთახი და სხ.

ვერავის ვურჩევთ ეგრეთვე ანდაზებით ლაპარაკს; ამიტომ რომ ზოგიერთი ანდაზა არის ორაზროვანი და ძალიან ადვილად შეუძლია ასტეხოს საზოგადოებაში სიცილი და უკმაყოფილება.

საზოგადოებაში როგორც ვაჟები, ისე ქალები ცდილო-

ბენ დაივიწყონ თავისი უმჯობესობა და დაუყენონ თავისი თავი სხვა იქ მყოფ პირების სისწორეზე, მიიღონ მონაწილეობა მათ ინტერესებში, მოქმედებაში და კმაყოფილებაში. სტუმრები მოსვლისათანავე შეუერთდებიან საზოგადოებას და არ დაიწყებენ ლაპარაკს თავის ცხოვრებაზე, თავის კავშირზე და თავის მოქმედებაზე; ისინი ცდილობენ, რომ გაიგონ, გამოიკვლიონ გემო, აზრი და სურვილი მათი, ვისთანაც დროებითად ბედს მოუყვანია; ისინი ინტერესობენ ყველათი მით, რაც შეადგენს საინტერესო საგანს სხვა სტუმრებისას, თანასწორად ალერსიანად მოიკითხავენ თვითეულს და თვითეულთან აქვთ რაიმე ზრდილობიანი სათქმელი.

როდესაც ლაპარაკობენ ჩასუქებულ კაცზე, მაშინ იტყვიან: „ის სრული კაციაო“ და არა მსუქანი კაციაო.

ზოგიერთნი მეტის-მეტად ბოროტად ხმარობენ სიტყვას: „არისტოკრატი“ და უბნობენ: „მე ვიყავი არისტოკრატულ საზოგადოებაში“. ვის უნდა ვუწოდოთ არისტოკრატი? სულ ყველა იმ კაცებს კი არა ჰქვია, რომლებიც დაახლოებულნი არიან ჩინებით და სამსახურით მაღალ დადგენილ პირებთან და არც ყოველ მდიდარ ქალს, რომელსაც შეუძლია სასტუმრო ოთახის პარკეტზე დაუკრას რომელიმე სამუსიკო იარაღი, წარმოადგინოს რომელიმე მოქმედი პირი და შეასრულოს თანამდებობა სათეატრო გერცოგინების, ან ითამაშოს ბანქო, ან ნარდი. წმინდა-სისხლის დიდებული პირი და არისტოკრატი მაღალ საზოგადოებაში ყოველთვის უფრო ცოტას ილაპარაკებს თავის მნიშვნელობაზე, რომ მისი მოპყრობა და ყოფა-ქცევა სხვებთან იქმნება აღსავსე სანდომიანი ალერსისა და წვრილათ გამრჩევი ზრდილობისა.

ამ სიტყვების უკვეთეს მაგალითად ჩვენ გვემსახურება გრაფი მიხაილ მიხაილოვიჩი სპერანსკი. მისი მამა იყო უბრალო პონომარი, დედა მისი უბრალო და უსწავლელი სოფლის ქალი. თვითონ მიხეილ სპერანსკი კი აღიზარდა სემინარიაში, სადაც შესაძლებელი არაა, რომ კაცმა სასოფლო ეტიკეტი შეიძინოს; მაგრამ თავის ჭკუით და დიდის მეცადინეობით მან წარსდგა სამსახურში დიდი ბიჯი და დაიმსახურა

სიყვარული რუსეთის ორი მეფის და სპერანსკიმ ისე შეიმუშავა თავისი თავი შესახებ სასოფლო ეტიკეტისა, რომ არამც თუ უკან არ ჩამოუვარდებოდა სასახლის დიდებულ პირებს, არამედ ბევრად სჯობნიდა მათ ზრდილობით, თავაზიანობით და რბილი მიხვრა-მოხვრით.

როცა სხვა პირი უყვება ვისმეს რაიმე ანბავს და ლაპარაკი არ გაუთავებია, არ არის რიგი მის ლაპარაკში შეჭრა და დაწყებული მუსაიფის გაწყვეტინება და, აგრეთვე მოამბის სიტყვების გამტყუნება, თუ გინდ ის ცხადად კიდევაც ტრაბახობდეს და ტყუოდეს; მაგრამ როდესაც ამბავი გათავებულია, მაშინ კი შეგიძლიათ შეავსოთ იგი წვლილადობით, ანუ უპასუხოთ რაიმე.

გაფანტულობა, ანუ სხვისი ლაპარაკის ყურის დაუგდებლობა ძლიერ საწყენია მოამბისათვის.

მოლაპარაკემ მუსაიფის დროს არ უნდა მისცეს თავის ხელებს ნამეტანი ნება, როგორც ზოგიერთნი იქმოვენ; მაგ. დაადებენ მსმენელს ხელს ბეჭზე, ან მუხლზე და ან სახელოში მოჰკიდებენ ხელს, რომ ამითი იქნება უფრო დაუგდოს ყური მსმენელმა ჩემს მუსაიფსაო. ეგრეთი მოქმედება დიდი უზრდელობაა, ამიტომ რომ თუ კი მსმენელს ეგოდენათ მოეწყინა თქვენი მუსაიფი, რომ ყურს აღარ გიგდებს, სჯობს, რომ სიტყვების ხარჯვას თავი დაანებო და ლაპარაკი გასწყვიტო, ვიდრე ხელით შეეხო მის ბეჭს, სახელოს და სხვას.

როცა თქვენ ჰყვებით რაიმე შესაქცევარ ანბავს, უნდა ეცადოთ, რომ რაც შეიძლება უხუმარი შეხედულობა დაიცვათ და არ იკინოდეთ ნათქვამ სიტყვებზე, ამიტომ რომ სასაცილო ამბავს, რაც უფრო უხუმრად ჰყვებით, მით უფრო დაიჯერებენ მსმენელები.

პატარა ყმაწვილი ქალები, რომლებიც ჯერ არ გამოსრულან საზოგადოებაში, უნდა ცდილობდენ, რომ შეეჩვიონ მოკლე საუბარს, ე. ი. გადასცენ თავისი აზრი მსმენელს, უგონ მოკლე ზრდილობიანი პასუხი მოცემულ კითხვებზე და ეგრეთვე თვითონაც შეეძლოსთ სხვებისთვის ზოგიერთი უბრალო კითხვების მიცემა.

როდესაც პაწაწა ყმაწვილი ქალი მიეჩვევა ეგრეთ მოკლე საუბარს, მაშინ საზოგადოებაში გამოვა უცხო პირებთან, მათთან მსვლელობაში შეიძენს კეკლუცს სითამამეს და უფრო მაგარი ფეხით შეუძლია გამოვიდეს საამბო მოედანზე და მოჰყვეს გრძელ ამბვებს. და ამ ნაირად პაწაწა ყმაწვილმა ქალებმა ჯერ მოკლე საუბრობა უნდა შეისწავლონ და, როდესაც ამას კარგათ შეეჩვევიან, მერე უფრო გაგრძელებული მუსაიფი.

ზოგიერთ ყმაწვილ ქალებს გაუგონიათ, რომ ,,შეჯახება აზრებისა დაჰბადებს ჭეშმარიტებასაო'' და ამიტომაც ძლიერ უყვარსთ დავობა, მაგრამ უნდა იცოდეთ ესეც, რომ თუ თქვენი აზრის დამტკიცება არ შეგიძლიათ, დავობას ისევ ისა სჯობს, რომ სულ გაჩუმდეთ, ბევრი ისმინოთ და ცოტა იდავოთ.

ქვეყანაში საჭიროა, რომ ვიცოდეთ ტაკტის (ზომის) დაცვა. ტაკტის დაცვა არის ზომის ხმარება როგორც სიტყვებში, ისე საქმეში;—სიტყვებში მიტომ, რომ არა სთქვა იმისთანა რაიმე, რომელმაც აწყენიოს ვისმეს თქვენთან მყოფს. ტაკტის დაცვა არის ძვირფასი საკუთრება სულიერის ნიჭისა, ამიტომ რომ საქვეყნო ტაკტი წარმოსდგება მოყვსის სიყვარულისაგან: ვისაც მოყვასი უყვარს, ის ყოველთვის ცდილობს, რომ არამც თუ სიტყვით, არამედ უბრალო ნიშნებითაც არ აწყენიოს მას. ეს ნიჭი მანდილოსნებს უფრო მეტი აქვსთ, ვიდრე ვაჟება. აი, მაგ. პატიოსანი მდიდარი ქალი არ გამოჰფენს სხვების საჩვენებლად თავის ძვირფას ნივთეულობას, არ გამოეკიდება იმ მცირე ფულს, რომელიც ნიძლევში წაუგია; არ ტრაბახობს, რომ მას შეუძლია იმყოფებოდეს დიდ-კაცების ბალზე. მან კარგათ იცის, რომ საზოგადოებაში არიან ქალები, რომლებთაც ეხარბებათ მისი სიმდიდრე, ეხარბებათ მისი კავშირი კარგ საზოგადოებასთან და სასოფლო ტაკტი და ამიტომაც იგი ცდილობს, რომ არ გააჯავროს ის ღარიბი გვამები, რომლებსაც შური სენათ გადაქცევიათ. ტაკტი ასწავლის კაცს, გამოიცნოს სუსტი ძალი მისი თანამესაუბრისა და სამუსაიფოდ მონახოს საგანი, სასიამოვნო მდელის საზო-

გადოებისა; ტაკტი გაგვხდის ჩვენ კეთილ კაცად, მოწყალედ, წინდაწინ მცნობელად და სასარგებლოდ თვისის მოყვსისა; უტაკტოთ არ შეიძლება რომ იყოს კეთილად აღზრდილი კაცი. უტაკტო კაცების შეხვედრის დროს პატიოსანი პირები გვერდზე ჩამოუდგებიან ხოლმე მათ, რადგანაც ერიდეიბან მათ უტაკტობას და მაშასადამე უზრდელობას; მაგ. თქვენ თუ რომელიმე პატიოსანი პირი დაჰპატიჟეთ სადილათ და მან შეიტყო, რომ იმ წვეულებაში არიან კიდევ დაპატიჟებულნი ეგრეთვე იმისთანა უზრდელი კაცები, რომლებსაც საინების და სტაქნების მტვრევა, გინება, თრევა, მუშტის და ხანჯლის ცემა კარგ კაცობათ და ზრდილობათ მიაჩნიათ, მას უეჭველად ძლიერ დაეზარება თქვენთან სტუმრად წამოსვლა და თუ მოახერხა, არც კი წამოვა.

უტაკტო და მაშასადამე უზრდელ საგნებად საზოგადოებაში უნდა ჩაითვალოს კითხვები მასზე, თუ რამდენ ჯამაგირს იღებს თქვენი მესაუბრე, ან მასზე, თუ რანაირი საშვალება აქვს ცხოვრებისა, კითხვები შესახებ მისა, თუ რა არის მიზეზი მისი ოჯახის განხექილებისა. უზრდელობაა ეგრეთვე ნება დაურთველად რჩევა შესახებ მისა, თუ როგორ მოიქცეს თქვენი თანამესაუბრე, ეგრეთვე თავისი თავის მაგალითად მთყვანა, რომ აი მაგ. მე ამისთანა შემთხვევაში ასე და ასე ვიქცევიო; ნიშნება, და ან დაცინვა თავისი მოყვასის ნაკლულევანებისა, ენის მიტანა, ერთმანეთის წაჩხუბება, ეგრეთვე ტრაბახობა და თავის ქება, ვითომც რომ თქვენ ბევრი რაიმე შეგეძლოთ, მაშინ, როდესაც მისი მესამედიც არ შეგიძლიათ, რასაც იქადნით. როდესაც შეკრებილებაში ბრძანდებით, უნდა ილაპარაკოთ იმ ენაზე, რომელიც შეადგენს მათ საზოგადო გასაგებ ენას, ანუ რომელიც მათ ესმის; თუ ამ დროს იქ იმყოფება უცხო ქვეყნის კაცი, მაგ. ანგლიჩანი, ფრანცუზი, ნემეცი და სხვა, რომლებსაც ეგ თქვენი საზოგადო ენა ესმის და ვისმეს მათგანს დაუწყე მათ სამშობლო ენაზე ლაპარაკი, მაშინ თქვენ იძულებული იქმნებით დაუთმოთ მას უპირატესობა სხვა იქ მყოფ პირებთან და ეგრეთი თქვენი მოქმედება ამ უკანასკნელებს არ მოეწყობა.

XVI

ეტიკეტი საზოგადო ცხოვრების სხვა და სხვა შემთხვევებში.

ეტლით სიარულს აქვს თავისი წესები, რომლების ცოდნა საჭიროა ყოველი კაცისთვის. თქვენ თუ იწვევთ თავის ნაცნობს ფაიტონში, უნდა სთხოვოთ, რომ პირველად იგი შეგრძანდეს და შესვლისთანავე უნდა დაუთმოთ მარჯვენა ადგილი, როგორც ადგილი ძალიან საპატივო.

როცა კავალერი და მისი მანდილოსანი ზიან რომელიმე ეტლში, მარცხენა მხარე უკავია კავალერს, მარჯვენა კი მანდილოსანს. მღვდლები კი ამ საეტლო კანონებს არ მისდევენ: როდესაც ჩასხდებიან ფაიტონში, მის მაგივრად, რომ მარჯვნით თავის მეულლეები მოისვან, მარჯვნით თვითონ სხდებიან, მაგრამ ეგრეთი მოქმედება მღვდლების მხრივ მაინ დამაინ არ არის შეცდომათ მისაღები; ამიტომ რომ მღვდელი არის სულიერი მამა და ამიტომაც მას უფრო ეკუთვნის ეტლში მარჯვენა ადგილი, ვიდრე მის მეულლეს.

თუ მასპინძელმა გთხოვოს ფაიტონში პირველად შესვლა, თქვენ უნდა დაეთანხმოთ და ბევრი არ ალოდინოთ. ეტლში ჩაჯდომა უნდა ნელა და სიფრთხილით. თუ ვაჟი მიჰყვება ქალს, პირველი შესვლა ფაიტონში ქალისაა., ჩამოსვლა ფაიტვნიდგან კი ვაჟის ე. ი. ფაიტონში ჩაჯდომის წინ პირველად მანდილოსანი უნდა შეიყვანო, ჩამოსვლის დროს კი პირველად ვაჟი უნდა ჩამოხვიდე, მერე ხელი უნდა მისცე მანდილოსანს და იქიდგან ჩამოიყვანო. კიბეზე ასვლის დროს წინ მანდილოსანი უნდა ადიოდეს და მერე ვაჟი უნდა მიჰყვებოდეს, მაგრამ თუ საფიქროა, რომ ძალლი წინ დაუხვდება მათ, ან მოჯალაბეს შეშა, ჩაფი, ვედრა და სხვა რაიმე ჩამოაქვს ძირს, მაშინ კი ვაჟი წინ უნდა წაუძღვეს მანდილოსანს, რომ დაიცვას იგი მოულოდნელი შეთხვევისგან.

როდესაც თქვენ ნახულობთ ავათმყოფს, არ უნდა დაიწყოთ მასთან ლაპარაკი სხვა და სხვა ავათმყოფობაზე, მიცვალებულებზე, რადგანაც ეგრეთი მსაიფი ცუდ გავლენას და-

იჭერს ავათმყოფის სიმრთელეზე. ეს მოგვაგონებს ჩვენ შემთხვევას ერთ მოხუცებულ კაცთან, რომელიც რამოდენიმე დღის წინათ სიკვდილამდი მივიდა სანახავად თავის ავათმყოფ მეგობართან და გაიგონა, რომ მისთვის ექიმს ერჩია თურმე ზელტერის წყლის სმა რძით, რასაკვირველია მიტომ, რომ მომაკვდავი გამხნევებულიყოს. მოხუცმა დაუფიქრებლად უთხრა ავათმყოფს: ჩემი შინა მსახური იტაჯებოდა მაგნაირი ავადმყოფობით, როგორც თქვენ და იმასაც ექიმებმა მიუწერეს ზელტერის წყლის სმა რძითაო''... მაშინ ავადმყოფმა დაიმედებით ჰკითხა მოხუცს... ,,მერე ხომ მორჩა თქვენი მსახურიო?'' მოხუცმა კიდევ დაუფიქრებლიდ უპასუხა: ,,ოჰ, არა, თქვენ ნუ მომიკვდებით! ამ დღეებნი გარდაიცვალაო'' ამისთანა დაუფიქრებელად ლაპარაკი ავადმყოფთან და ისეც ავადმყოფობაზე და სიკვდილზე რა საკვირველია არ არის რიგი. ისეთი სიტყვები უნდა უთხრა, რომ იგი გამხნევდეს და გამხიარულდეს და არა იმისთანა, რომ გამხიარულებაზე სრულიად იმედი დაჰკარგოს.

როდესაც თქვენთან ზიან სტუმრები, ნუ დაანებებ თქვენს სახლეულს ანუ მოსამსახურეს, რომ მან გაგიხმოს მეორე ოთახში, ან ჩურჩულით გაცნობოს რაიმე სტუმრებთან. სტუმრების შესახებ ეს დიდი უზრდელობაა, ამიტომ რომ მათ შეუძლიათ იფიქრონ, ვითომც იგინი გლახა დროს მოსრულან და ამიტომაც სჯობს, რომ გამოეთხოვონ მასპინძელს. თუ მასპინძელი უდროვოთ სთვლის სტუმრის მოსვლას, სახით მაინც არ უნდა უჩვენოს, რომ მისი მოსვლა უდროოა. და უნდა იხმაროს ყოველი ღონისძიება, რომ უდროოთ მნახველი მიიღოს ისე, როგორც ნამდვილი სტუმარი.

კარგ რიგზე დაწყობილ ოჯახში მოსამსახურეებს წინ და წინ დაარიგებენ, რომ მათ სტუმრის მოსვლის დროს არ დაიწყონ უბრალო ,,ფაცი-ფუცი'' არ აჩვენონ ნამეტანი მზრუნველობა და გააწყვეტიოს ოჯახის უფროსს სტუმართან ტკბილი მუსაიფი.

თვითეულ ოჯახის უფროსს უნდა ჰქონდეს ჩაბარებული თავის მოსამსახურისათვის ეგოდენი ფული, რომ ამ უკანასკნელს

არ გაუჭირდეს იყიდოს ამ ფულით ან ისესხოს ის საოჯახო ნივთები, რომლებიც საჭიროა მოულოდნელი სტუმრის პატივისცემისათვის და იძულებული არ გახდეს, რომ მივიდეს თავის ოჯახის უფროსის ქალთან, რომელიც თავისი ტკბილი საუბრითსტუმრებს იყოლიებს.

თუ რომელიმე თქვენს მეგობარს აქვს დანიშნული დღე სტუმრების მისაღებად, და ის დღე მოულოდნელად გადადებულ იქნა მისის უეცრათ ავადმყოფობის მიზეზით, საზოგადო ცხოვრების ვალი მოითხოვოს, რომ მეორე, ან მესამე დღეს მაინც ნახოთ იგი, მოიკითხოთ, თუ როგორ გრძანდებიან და გამოუთქვათ თავის გულის შეტკივება

როდესაც თქვენ აძლევ ვისმეს ,,ჩაბარებით წერილს'' (рекомендательное письмо), ჯერ უნდა წააკითხო მას, ვის სასარგებლოთ ის დაიწერა, რომ თვითონ გაიგოს, თუ რანაირი სიტყვებით არის მიწერილი მფარველობის თხოვნა და მერე უნდა დაბეჭდო და გადასცე მას, ვისთვისაც დაიწერა.

ზოგიერთ პირებს აქვს ჩვეულება საჩუქრების მიცემის. ნაჩუქარი ნივთი კიდევაც რომ არ იყოს თქვენთვის ძალიან სასარგებლო და სასიამოვნო, მაინც სიხარულით და მადლობის შეწირვით უნდა მიიღო; რადგანაც საოჯახო და საზოგადო ცხოვრებაში საჩუქრები გამოხატავენ პატივისცემას; წინააღმდეგ შემთხვევაში, ე. ი. საჩუქრის დაწუნება უზრდელობაა. საჩუქრის დაწუნება შინა მსახურის საქმეა.

ლაპარაკის დროს არ შეაქციო არც ზურგი და არც გვერდი მას, ვისაც ელაპარაკები; იქით-აქეთ ხედვა ამ დროს არ არის რიგი. ეგრეთი მოქმედება შეიძლება მხოლოდ ძალიან დაახლოვებულ მეგობრებში და ნათესავებში.

სასტუმროში შამოსრული მანდილოსანი არ უნდა დასწკვრელო თავიდგან ფეხებამდის, რადგანაც ეს ურიგობაა. ეგრეთვე ფუჩუნით და ნიშნებით ლაპარაკი მაშინ, როდესაც სასტუმროში სტუმარი შემობრძანდა, ურიგობაა.

ლამაზი მანდილოსანი, როდესაც იგი გზაზე მიდის, ხშირად არ უნდა იხედებოდეს უკან; ეს ამიტომ, რომ თუ მას უკან მიჰყვებიან ვაჟები, მაშინ შეუძლიათ იფიქრონ, ვითომც

რომ იგი ანიშნებდეს მათ და სთხოვდეს: ,,მე გამომყევითო''.

სამეგობრო სალამოებზე დასერტს საზოგადოდ სდგამენ დივნის წინ სტოლზე და მასპინძელი ქალი მოიწვევს სტუმრებს, რომ მიირთვან ტკბილი ხილი უცერემონიოდ, რომ არ ულოდინებდენ ბევრს მოკითხვას, რადგანაც წესიერ საზოგადოებაში ბევრი პატიჟი მიღებული არ არის.

ხანდისხან ჩვენ, ბევრის საქმეების გამო, იძულებულნი ვართ, ვსთხოვოთ ჩვენს ნაცნობებს, რომ სანახავად არ მოვიდენ ჩვენთან დღის რომელიმე დროს; მაგ. ამ საათებში დედა ბავშების ზრდაშია გართული, მამა საქმითი კორრესპონდენციით, ღებულობს მხოლოდ საქმისთვის მომსვლელ პირებს და სხ., დანარჩენ საათებში კი ისინი მზათ არიან, რომ მისრული სტუმრები მიიღონ. დიდი უზრდელობა იქნება თქვენის მხრით, რომ თქვენის მისვლით შეაწუხოთ ოჯახის უფროსები იმ დროს, როდესაც ისინი გართული არიან სხვა და სხვა საქმეებში და წინდაწინ კი ნათხროვნი აქვთ თქვენთვის, რომ იმ დროს არ მიხვიდეთ.

თუ ვისმეს სურს ხელის ჩამორთმევა შემოსრული მეგობრისთვის, მაგრამ არ შეუძლია მასთან საკმაოდ ახლოს მისვლა თავის მეზობლის შეუწუხებლად, უნდა გაუწვადოს მას ხელი უკანასკნელის ზურგის უკან და არა სახის წინ. თუ თქვენ ძალიან შორს ბრძანდებით იმ ნაცნობიდგან, ვისთვისაც ხელის ჩამორთმევა გინდოდა და ვერ ახერხებ, სჯობს ალერსიანად თავი დაუკრა.

რომ თქვენი საზოგადო ცხოვრება იყოს მოხერხებული, წყნარი და სასარგებლო, უნდა ხშირად დაივიწყო თავისი თავი სხვების გულისთვის; ამიტომ რომ ვისაც ჰსურს იგი სასიამოვნო და მოსაწონი იყოს სხვებისთვის, მას არ შეუძლია, რომ მოელოდეს თავისთვის სხვების ყურადღებას.

არც მანდილოსნებს და არც მოხუცებულებს არ უნდა ჰკითხო, თუ როდის დაბადებულან, ანუ რამდენი წლის ბრძანდებიან; თუ თქვენ მოგიტანეს ვისმესგან გამოგზავნილი წერილი მაშინ, როდესაც თქვენთან იმყოფებიან სტუმრები, ზრდილობის ვალი მოითხოვოს თქვენგან, რომ წინდაწინ სტუმ-

რებთან ბოდიშს მოუხდელათ არ გახსნა და არ წაიკითხო. თქვენ ბოდიში მოითხოვეთ იქ მყოფ პირებთან და მხოლოდ მაშინ გახსენით და წაიკითხეთ. სტუმრის ვალი კი არის, რომ ნება მისცეს წერილის წაკითხვის, მაშინვე წამოდგეს და მკითხველს უჩვენოს სახე, ვითომც რომ მას ჰსურს ფანჯარაში გადახედვა, გაზეთის წაკითხვა ან სხ.

როგორ უნდა ვიქცეოდეთ ჩვენზე უმცროსებთან? 1, ჩვენზე უმცროსებთან უნდა ვიქცეოდეთ ზრდილობიანად; 2, შევუსრულოთ მათ წმინდათ ყოველი ჩვენი პირობა; 3, მოვითხოვდეთ მათგან მხოლოდ მას, რაც მათგან შესაძლებელია და 4, არასოდეს არ დავუახლოვდეთ მათ ამხანაგურის ხუმრობით, მუსაიფით ანუ ნამეტანი გულწრფელობით, ან ალალ-მართლობით.

სარჩევი.

	გვერდი.
წინასიტყვაობა	3
ზრდილობა	5
ზრდილობის დაცვა ეკკლესიაშიდ	6
აუდიენცია	9
რაუტი	11
სამუსიკო საღამოებზე	20
სატანცავო საღამოებზე	22
საღამოს დროის წვეულება	31
ჩაი	35
მსახური	37
შინაური სტოლი	40
სასადილო სტოლი ანუ ჩვეულებრივი სადილი	43
მიწვეული ანუ საპარადო სადილი	48
ზრდილობის დაცვა სეირნობის დროს	56
დილის და საღამოს ვიზიტები	59
ბანქოს თამაშობა	66
ზრდილობის დაცვა ლაპარაკის და საუბრის დროს	69
ეტიკეტი საზოგადო ცხოვრების სხვა და სხვა შემთხვევებში	75

შეცდომების გასწორება.

დაბეჭდილია:	უნდა იყოს:
	გვერდი. პწკარი
ცოდნასა	ცოდნასო'', 3—26
დაწყებულია. სჯობს	დაწყებულია, სჯობს, 6—27
მოითხოვ	მოხთხოვს, 8— 4
სამღვრთო	საღმრთო, 8—16
ქვია	ჰქვია, 9— 2
დკარგა	დაჰკარგა, 10— 4
მოექცეს	მოიქცეს, 11—19
იამენდეს	ისმენდეს, 13—32
კმიტომაც	ამიტომაც, 16— 4
შეიძლება	შეეხება 23—17
გამოიჩიონ	გამოირჩიონ, 24—29
ყიმწვილ	ყმაწვილ, 27— 4
8), 9), 10, 11)	14), 15), 16), 17), 27—
12), 13), 14)	18), 19, 20)—28—
15), 16), 17)	21), 22), 23)—29—
18), 19), 20), 21), 22), 23)—24), 25), 26), 27), 28), 29)	30—
სიტყის	სიტყვის, 31—22
შესახებს	შესახებ, 33—26
კარგ კილო	კარგი კილო, 37— 2
რამე საქმე	რაიმე საქმე, 39—27
რღმა საინები	ღრმა საინები, 41—16
დიდის ტ საღამოს ვიზიტები	— დილის ტ საღამოს ვიზიტები 59—

17
2 325